37.014.1
ლ-81

დავით ლომინაშვილი

ზოგადი განათლების სამართალი

ს-81

ზოგადი განათლების

სამართალი

№ 11969
ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის
ინტელექტუალური საკუთრების
ობიექტად აღიარებული ტექსტის
ელექტრონული ასლის
ავტორი: ბ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დავით ლომინაშვილი

ზოგადი განათლების სამართალი

პირველი გამოცემა

უნივერსიტეტის გამომცემლობა

ავტორი

დავით ლომინაშვილი
სამართლის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის
პროფესორი

სამეცნიერო რედაქტორი

მირანდა გურგენიძე
სამართლის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი,
ასოცირებული პროფესორი

რეცენზენტი

ჯემალ გაბელია
სამართლის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის
პროფესორი, დეკანის მოადგილე

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საბჭოს მიერ (2024 წლის 14 მარტის №4 ოქმი) მოწონებულ და რეკომენდებულ იქნა დასაბეჭდად „ზოგადი განათლების სამართალი“, სახელმძღვანელო.

© დ. ლომინაშვილი, 2024

ISBN 978-9941-36-230-9

სარჩევი

From the Author 9

ავტორისაგან 11

თავი I. ზოგადი განათლების სამართალი 13

1. ზოგადი განათლების სამართალი, როგორც განათლების სამართლის ერთ-ერთი ქვედარგი 13

2. საქართველოს განათლების სისტემის ზოგადი დახასიათება 17

თავი II. ზოგადი განათლება 25

1. ზოგადი განათლების მიღება 25

2. არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სრული ზოგადი განათლების მიღება და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში მიმდინარე სასწავლო პროცესის რეგულირება 36

შეამოწმე შენი ცოდნა 42

თავი III. ზოგადი განათლების ძირითადი პრინციპები 47

შეამოწმე შენი ცოდნა 54

თავი IV. საქართველოს კანონმდებლობა ზოგადი განათლების სფეროში 58

შეამოწმე შენი ცოდნა 71

თავი V. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები 75

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ცნება 75

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების
დაფუძნება 82

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების
ავტორიზაცია 84

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების
რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია 99

შეამოწმე შენი ცოდნა 104

**თავი VI. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების
სტრუქტურა** 114

1. საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭო 115

1.1. საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრების
არჩევა 118

1.2. საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს არჩევნებთან
დაკავშირებით საჩივრების განხილვა 132

1.3. საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს არჩევნების
შედეგების ძალაში შესვლა და სამეურვეო საბჭოს
უფლებამოსილების წარმოშობა 135

1.4. საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს
უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა 136

2. საჯარო სკოლის დირექცია 139

2.1. საჯარო სკოლის დირექტორი 139

2.2. საჯარო სკოლის დირექტორის არჩევა/დანიშვნა
და დირექტორისთვის უფლებამოსილების შეწყვეტა 152

3. საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭო და საჯარო
სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა 160

4. საჯარო სკოლის დისციპლინური კომიტეტი 163

შეამოწმე შენი ცოდნა 166

თავი VII. მასწავლებელი 174

1. მასწავლებელი 174

2. მასწავლებლის უფლებები და მოვალეობები 184

3. მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა
და შეწყვეტის წესი 189

3.1 მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე კონკურსის
ჩატარება 189

3.2. შრომითი ხელშეკრულების დადება 195

3.3. მასწავლებლის საქმიანობის შეწყვეტა 201

შეამოწმე შენი ცოდნა 206

თავი VIII. მოსწავლე 215

1. მოსწავლის ცნება და მოსწავლის სტატუსის
მოპოვება 215

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში
მოსწავლეთა მობილობა 221

3. მოსწავლის ქცევის კოდექსი 226

4. მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა, სკოლაში
უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა 228

5. მოსწავლის სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა 237

შეამოწმე შენი ცოდნა 241

თავი IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების
ფინანსები და ქონება 250

1. ზოგადი განათლების დაფინანსება 250

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ვაუჩერის
გაცემა და გადატანა 253

3. სკოლის საბუღალტრო აღრიცხვა და ქონება 259

შეამოწმე შენი ცოდნა 261

თავი X. ზოგადსაგანმანათლებლო დანესებულების სახელმწიფო კონტროლი 266

შეამოწმე შენი ცოდნა 268

კაზუსები 274

გამოყენებული ნორმატიული აქტები 285

From the Author

This general education law book is the first attempt to create a general education law book in Georgia. through this book, I tried to share the knowledge about the legal relations regulated by the law of General Education for a wide range of readers and for society interested in the Law of General Education.

Although a number of reforms have been carried out in the field of general education since 1995, effective steps have been launched for the purpose of compatibility and compliance with the international educational field, a number of laws and many subordinate normative acts were adopted for legislative regulation of the field of general education, Educational law is taught as an independent course in higher educational institutions. Literally, there is no literature, work, manual that will give the student and a wide range of society interested in the law of general education, the knowledge of: the general education system, general education regulatory norms, the process of implementing general education activities in Georgia, the basic principles of general education, the legal bases of the activities of the general education institution, the structure of the general education institution, about the state control of the school director, board of trustees, teacher, student, general education financing, finances of a general educational institution, property of a general educational institution and will prepare students for practical activities in law of general education.

The manual of the law of general education is intended for higher educational institutions, undergraduate and master's students, academic staff, employees in general educational institutions and a wide range of society interested in the law of general education of Georgia.

David Lominashvili Doctor of Law,
Professor of Technical University of Georgia

ავტორისაგან

წინამდებარე **„ზოგადი განათლების სამართალი“, სახელმძღვანელო,** საქართველოში ზოგადი განათლების სამართლის სახელმძღვანელოს შექმნის პირველი ცდაა. წარმოდგენილი სახელმძღვანელოთი შევეცადე, მკითხველთა ფართო წრისათვის და ზოგადი განათლების სამართლით დაინტერესებული პირებისათვის გამეზიარებინა ცოდნა „ზოგადი განათლების სამართლით“ მოწესრიგებული სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ 1995 წლიდან ზოგადი განათლების სფეროში გატარდა არაერთი რეფორმა, საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან თავსებადობისა და შესაბამისობის მიზნით გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები, ზოგადი განათლების სფეროს საკანონმდებლო რეგულირების მიზნით მიღებულ იქნა არაერთი კანონი და მრავალი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დამოუკიდებელ სასწავლო კურსად ისწავლება განათლების სამართალი, ფაქტობრივად არ მოიპოვება ლიტერატურა, ნაშრომი, სახელმძღვანელო, რომელიც სტუდენტსა და ზოგადი განათლების სამართლით დაინტერესებულ ადამიანთა ფართო წრეს მისცემს ცოდნას ზოგადი განათლების სისტემის, ზოგადი განათლების მარეგულირებელი ნორმების, საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პროცესის, ზოგადი განათლების ძირითადი პრინციპების, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლების, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების

სტრუქტურის, სკოლის დირექტორის, სამეურვეო საბჭოს, მასწავლებლის, მოსწავლის, ზოგადი განათლების დაფინანსების, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფინანსების, ქონების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმწიფო კონტროლის შესახებ და მოამზადებს სტუდენტებს ზოგადი განათლების სამართლის მიმართულებით პრაქტიკული საქმიანობისთვის.

„ზოგადი განათლების სამართლის“ სახელმძღვანელო განკუთვნილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის, აკადემიური პერსონალისთვის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებული პირებისა და საქართველოს ზოგადი განათლების სამართლით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების
ფაკულტეტის პროფესორი, სამართლის დოქტორი
დავით ლომინაშვილი

თავი I

ზოგადი განათლების სამართალი

1. ზოგადი განათლების სამართალი, როგორც განათლების სამართლის ერთ-ერთი ქვედარგი

განათლება კაცობრიობის განვითარებასთან ერთად ვითარდება და გადაეცემა თაობიდან თაობებს. განათლება განაპირობებს ქვეყნის სახელმწიფოებრივ განვითარებას. იმისათვის, რომ საზოგადოებამ იარსებოს და განვითარდეს, აუცილებელია საზოგადოებაში განათლების ხარისხის ამაღლება; განათლებამ პიროვნება უნდა მოამზადოს, მისცეს მინიმალური ცოდნა, რომლის საფუძველზეც ადამიანს ექნება შესაძლებლობა, დასაქმდეს და გახდეს მოთხოვნადი მისი ცოდნის შესაფერის სფეროში. ადამიანმა უნდა შეძლოს მის მიერ მიღებული ცოდნის შესაბამისად დასაქმება. სწორედ ესაა განათლების სოციალური ფუნქცია. განათლების სოციალური ფუნქცია შესრულებული იქნება, თუ ქვეყანაში არსებული განათლების სისტემები უზრუნველყოფენ პიროვნებისათვის ისეთი განათლების მიცემას, რომელიც აუცილებელია თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის.

განათლების სოციალური ფუნქციის მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ განათლების სოციალური ფუნქციები ასახულია მრავალ საერთაშორისო ხელშეკრულება/კონვენციასა და სახელმწიფოების შიდა სამართლებრივ აქტებში, რომელთა შორის აღსანიშნავია:

„ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ 26-ე მუხლი. მასში აღნიშნულია, რომ „განათლება მიმართული უნდა

იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის გადიდებისაკენ. განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ყველა ხალხის, ყველა რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფის ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობასა და მეგობრობას და ხელი უნდა შეუწყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობას მშვიდობის შესანარჩუნებლად."[1]

„ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტის (1966 წლის 16 დეკემბერი) მონაწილე სახელმწიფოები, მათ შორის საქართველო (1994 წლის 3 აგვისტოდან) შეთანხმდნენ, „რომ განათლება მიმართულ იქნეს ადამიანის პიროვნებისა და მისი ღირსებების შემეცნების სრულად განვითარებისაკენ და განამტკიცებდეს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემას. ისინი ასევე თანხმდებიან, რომ განათლებამ ყველას უნდა მისცეს თავისუფალ საზოგადოებაში ქმედითი მონაწილეობის შესაძლებლობა, ყველა ერს, რასობრივ, ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფს შორის განავითაროს ურთიერთგაგება, შემწყნარებლობა და მეგობრობა და ხელი შეუწყოს გაერთიანებული ერების საქმიანობას მშვიდობის შესანარჩუნებლად."[2]

„ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების" დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის №84 დადგენილების თანახმად, განათლება „უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს

---

1 „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია", 1948 წლის 10 დეკემბერი, 26-ე მუხლი.

2 „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტი, 1966 წლის 16 დეკემბერი, ნაწილი III, მე-13 მუხლი.

უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში."[3]

განათლების უფლება არა მარტო სოციალურ-ეკონომიკურ უფლებათა ელემენტია, არამედ ადამიანის უფლებების ჯგუფში გაერთიანებული მრავალი უფლების რეალიზაციის საშუალებაა. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, ყველა ადამიანს მიეცეს მაღალი ხარისხის განათლება და შეიქმნას მისი უზრუნველყოფის საკანონმდებლო მექანიზმები, რასაც ასევე ითვალისწინებს „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტი, რომლის მონაწილე სახელმწიფოებმა აიღეს ვალდებულება, თანდათანობით უზრუნველყონ ამ პაქტით აღიარებული უფლებების სრული განხორციელება ყველა მართებული საშუალებით, მათ შორის, საკანონმდებლო ღონისძიებათა მიღებით.[4]

განათლების სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა იწვევს ამ სფეროს მარეგულირებელი არაერთი ნორმატიული აქტის მიღებას, რის შედეგადაც ყალიბდება სამართლის სხვა ნორმებისაგან განსხვავებული, სპეციფიკური ურთიერთობებისა და პრობლემების მარეგულირებელ ნორმათა ერთობლიობა, რაც, საბოლოო ჯამში, გაერთიანდა განათლების სამართალში. ამგვარად, ჩამოყალიბდა სამართლის ახალი დარგი, რომელიც შეიცავს ისეთ ქვედარგებს, როგორებიცაა: **ზოგადი განათლების სამართალი, პროფესიული განათლების სამართალი, უმაღ-**

---

[3] „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების" დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის №84 დადგენილებით დამტკიცებული ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები.

[4] „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტი, 1966 წლის 16 დეკემბერი, ნაწილი II, მე-2 მუხლი.

ლესი განათლების სამართალი, დაწყებითი და სკოლამდელი განათლების სამართალი.

საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები ხვეწენ და, იმავდროულად, გამოსცემენ ახალ ნორმატიულ აქტებს. საზოგადოების წევრები კი ყოველდღიურად მონაწილეობენ ისეთ სამართლებრივ ურთიერთობებში, რომლებიც მოითხოვენ ზოგადი განათლების სისტემის, ზოგადი განათლების მარეგულირებელი ნორმების, საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პროცესის, ზოგადი განათლების ძირითადი პრინციპების, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლების, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურის, სკოლის დირექტორის, სამეურვეო საბჭოს, მასწავლებლის, მოსწავლის, ზოგადი განათლების დაფინანსების, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფინანსების, ქონების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმწიფო კონტროლისა და სხვათა შესახებ ცოდნას. ეს მოცემულობა კი განაპირობებს ზოგადი განათლების სამართლის, როგორც განათლების სამართლის ერთ-ერთი ქვედარგის, არსებობას.

ზოგადი განათლების სამართალი, როგორც განათლების სამართლის ერთ-ერთი ქვედარგი, სამართლის სხვა დარგებისგან განსხვავდება იმით, რომ მას აქვს რეგულირების თავისი საგანი, სფერო და მეთოდი, ე.ი. აწესრიგებს, არეგულირებს გარკვეული სახის საზოგადოებრივ ურთიერთობებს გარკვეულ სუბიექტებს შორის და განსხვავებული, მათთვის დამახასიათებელი წესით, მეთოდით.

ზოგადი განათლების სამართლის შესწავლის საგანია თვით სამართლის ამ ქვედარგის რეგულირების საგანი, კერძოდ, ზოგადი განათლების სისტემა და მისგან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობები.

2. საქართველოს განათლების სისტემის ზოგადი დახასიათება

საქართველოს განათლების სისტემა შედგება ოთხი ქვესისტემისაგან: ადრეული და სკოლამდელი აღზრდა და განათლება, ზოგადი განათლება, პროფესიული განათლება, უმაღლესი განათლება. საქართველოს განათლების სისტემა, ევროპული სისტემის მსგავსად, განლაგებულია კვალიფიკაციების ჩარჩოს რვა დონეზე.

კვალიფიკაციის დონე არის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში კვალიფიკაციის სირთულის განმსაზღვრელი ელემენტი, რომელიც აერთიანებს „ცოდნითა და გაცნობიერებით" (სწავლის ან საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის, ფაქტების, პრინციპების, თეორიების, თეორიული და პრაქტიკული მეთოდების ასიმილაციის შედეგი), „უნარით" (კონკრეტული დავალების შესრულებისა და პრობლემების გადაჭრისათვის შესაბამისი ცოდნის გამოყენების შესაძლებლობა) ან/და „პასუხისმგებლობითა და ავტონომიურობით" (ღირებულებებითა და დამოუკიდებლობის შესაბამისი ხარისხით პირის მიერ ცოდნისა და უნარების გამოყენება) აღწერილ, განზოგადებულ სწავლის შედეგებს – აღმწერებს.[5]

64971

კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის საქართველოში დაძლევის შემთხვევაში პირს ენიჭება კვალიფიკაცია და გაიცემა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც აღიარებულია განათლების ევროპულ სივრცეში.

ზოგადი განათლება განლაგებულია კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2 და მე-4 დონეებზე.

---

[5] „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების დანართი N1, 1-ელი მუხლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა
№

- მე-2 დონის დაძლევის შემთხვევაში გაიცემა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის გავლის დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი.
- მე-4 დონის დაძლევის შემთხვევაში გაიცემა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი.

პროფესიული განათლება განლაგებულია კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3, მე-4 და მე-5 დონეებზე.

- მე-3 დონის დაძლევის შემთხვევაში გაიცემა საბაზო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი.
- მე-4 დონის დაძლევის შემთხვევაში გაიცემა საშუალო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი.
- მე-5 დონის დაძლევის შემთხვევაში გაიცემა უმაღლესი პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი.

უმაღლესი განათლება განლაგებულია კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6, მე-7 და მე-8 დონეებზე.

- მე-6 დონის დაძლევის შემთხვევაში გაიცემა ბაკალავრის დამადასტურებელი დიპლომი.
- მე-7 დონის დაძლევის შემთხვევაში გაიცემა მაგისტრის დამადასტურებელი დიპლომი, დიპლომირებული მედიკოსის დამადასტურებელი დიპლომი, დიპლომირებული სტომატოლოგის დამადასტურებელი დიპლომი, განათლების მაგისტრის დამადასტურებელი დიპლომი, ვეტერინარიის მაგისტრის დამადასტურებელი დიპლომი.
- მ-8 დონის დაძლევის შემთხვევაში გაიცემა დოქტორის დამადასტურებელი დიპლომი.

საქართველოში ადრეული და სკოლამდელი აღზრდა და განათლება რეგულირდება საქართველოს კანონით „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ და სხვა კანონქვემდებარე აქტებით.

ადრეული აღზრდა და განათლება არის დაბადებიდან 2 წლამდე (ადრეული) ასაკის ბავშვისთვის და მისი მშობლის-

თვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის მიწოდებული მომსახურება, რომელიც მოიცავს: მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განათლებასა და მხარდაჭერას, აღნიშნული ასაკის ბავშვზე ზრუნვის დაწესებულების, ჯანმრთელობის დაცვის, კვების, ჰიგიენისა და სანიტარიული უსაფრთხოების, ბავშვთა ადრეული ინტერვენციისა და ინკლუზიური განათლების მომსახურებებს.

სკოლამდელი აღზრდა და განათლება არის 2 წლის ასაკიდან ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში შესვლამდე ბავშვის ყოველმხრივი განვითარების უზრუნველსაყოფად მისთვის მიწოდებული სააღმზრდელო და საგანმანათლებლო მომსახურება; სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სავალდებულო კომპონენტია სასკოლო მზაობის პროგრამა.

საქართველოში უზრუნველყოფილია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებაში ბავშვთა უფასო აღზრდა და განათლება, აგრეთვე მათი კვება. სკოლამდელი აღზრდა და განათლება, მათ შორის, სასკოლო მზაობის პროგრამა, არის ნებაყოფლობითი, საყოველთაო და ხელმისაწვდომი შესაბამისი ასაკის ყველა ბავშვისთვის.[6]

საქართველოში ზოგადი განათლება რეგულირდება საქართველოს კანონებით: „ზოგადი განათლების შესახებ" და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ"; ეროვნულ სასწავლო გეგმით და სხვა კანონქვემდებარე აქტებით.

ზოგადი განათლება არის განათლება, რომლის მიზანია საქართველოს მოქალაქის აღზრდა და ზოგადი განათლების შემდგომი პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის მომზადება.

სრული ზოგადი განათლება მოიცავს 12 წელს და ხორციელდება სამ საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო). დაწყ-

---

[6] „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონი.

ებითი განათლება მოიცავს 6 წელს და ხორციელდება I-VI კლასებში; საბაზო განათლება მოიცავს 4 წელს, ხორციელდება VII-X კლასებში; საშუალო განათლება მოიცავს 2 წელს, ხორციელდება XI-XII კლასებში. დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების მიღება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმების შესაბამისად. ზოგად განათლებას, კანონით დადგენილი წესით, სრულად აფინანსებს სახელმწიფო ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი ვაუჩერით.[7]

საბაზო საფეხურის დაძლევის საფუძველზე პირს აქვს უფლება, გავიდეს სკოლიდან, სწავლა გააგრძელოს ზოგადი განათლების საშუალო საფეხურზე ან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

პირს, რომელიც ფლობს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს, უფლება აქვს, სწავლა გააგრძელოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ან უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე.

საქართველოში პროფესიული განათლება რეგულირდება საქართველოს კანონით „პროფესიული განათლების შესახებ"; „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" და სხვა კანონქვემდებარე აქტებით.

პროფესიული განათლება არის განათლება, რომელიც უზრუნველყოფს პირისთვის იმ კომპეტენციის/კომპეტენციების გამომუშავებას, რომელსაც/რომლებსაც მოითხოვს კონკრეტული პროფესია ან/და შრომის ბაზარი და რომელიც/რომლებიც მიმართულია მთელი სიცოცხლის განმავლობაში პირის პროფესიული, სოციალური და პიროვნული განვითარებისკენ.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები უფლებამოსილია, განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებ-

[7] „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი.

ლო პროგრამები, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული მომზადების პროგრამები, პროფესიული გადამზადების პროგრამები და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამები. საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს, სულ მცირე, საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი. პირი, რომელსაც აქვს:

ა) სულ მცირე, საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, დაიშვება იმ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;

ბ) სულ მცირე, სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი, დაიშვება საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი. პროფესიული მომზადების პროგრამაზე ან პროფესიული გადამზადების პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი პროგრამით დადგენილ პირობებს.

სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება წელიწადში ორჯერ და მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

ა) აპლიკანტთა რეგისტრაციას;

ბ) პროფესიული ტესტირების ჩაბარებას;

გ) გასაუბრებას საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

პროფესიულ ტესტირებას ადმინისტრირებას უწევს სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. ტესტირების წარმატებით გავლის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის

სწავლა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

კერძო სამართლის იურიდიულ პირებში პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვა ხორციელდება საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ან პროფესიული ტესტირების გზით.[8]

საქართველოში უმაღლესი განათლება რეგულირდება: საქართველოს კანონებით „უმაღლესი განათლების შესახებ"; „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" და სხვა კანონქვემდებარე აქტებით.

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა სამსაფეხურიანია და ხორციელდება უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურებზე.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პირველ საფეხურზე – ბაკალავრიატზე – სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით შეიმუშაოს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს.

დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პროგრამის სახით ხორციელდება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ისწავლება არანაკლებ 1 სასწავლო წლის განმავლობაში, მოიცავს 60 კრედიტს. კურსდამთავრებულზე გაიცემა საგნის ან საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის მომზა-

---

[8] „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონი.

დების სერტიფიკატი. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და საგნობრივი კომპეტენციის დადასტურება, გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული საგნობრივი გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.

დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პროგრამის სახით ხორციელდება ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ისწავლება არანაკლებ 1 სასწავლო წლის განმავლობაში, მოიცავს 60 კრედიტს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ვეტერინარიის ბაკალავრის ხარისხი. კურსდამთავრებულზე გაიცემა ვეტერინარის სერტიფიკატი. ვეტერინარის სერტიფიკატის მფლობელს შეუძლია, სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე (დოქტორანტურაში) შესაბამისი მიმართულებით.

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა არის 360-კრედიტიანი, ხოლო დიპლომირებული სტომატოლოგის/ვეტერინარის/მასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამა – 300-კრედიტიანი.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მეორე საფეხურზე (მაგისტრატურაში) სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. მიღების წინაპირობაა სამაგისტრო გამოცდები. მიღების დამატებითი პირობები განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით შეიმუშაოს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მესამე საფეხურზე (დოქტორანტურაში) სწავლის უფლება აქვს არანაკ-

ლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. მიღების წინაპირობა განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს.[9]

[9] „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი.

თავი II

ზოგადი განათლება

1. ზოგადი განათლების მიღება

ზოგადი განათლება არის განათლება, რომლის მიზანია საქართველოს მოქალაქის აღზრდა და ზოგადი განათლების შემდგომი პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის მომზადება. საქართველოში სრული ზოგადი განათლება მოიცავს 12 წელს და სრულ ზოგად განათლებას აქვს სამი საფეხური: დაწყებითი (6 წელი), საბაზო (4 წელი) და საშუალო (2 წელი). სრული ზოგადი განათლების მიღება კი გულისხმობს:

ა) ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის დაძლევას, რის საფუძველზეც გაიცემა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) იმ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევას, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, და აღნიშნულის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით დადასტურებას, რის საფუძველზეც გაიცემა საშუალო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – დიპლომი, რომელიც გათანაბრებულია სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან.[10]

ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების ასაკია 6 წელი. დაუშვებელია მოსწავლის დატოვება ზოგადი განათლების სისტემის მიღმა საბაზო საფეხურის მიღწევის დონის დაძლევამდე. ზოგადი განათლების რომელიმე საფეხურის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე პირებს

---

[10] „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი, I თავი.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აქვთ ზოგადი განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლება.[11]

სახელმწიფო უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის) მიერ ზოგადი განათლების თავის საცხოვრებელ ადგილთან მაქსიმალურად ახლოს სახელმწიფო ან მშობლიურ ენაზე მიღების უფლებას. სახელმწიფო ასევე უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღებას თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში პატიმრობის კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად. ზოგადი განათლების მიღების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო აყალიბებს ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმების, მათი განმახორციელებელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების, იმ სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ერთობლიობას (ზოგადი განათლების სისტემას), რომლებიც უზრუნველყოფენ ზოგადი განათლების მიღებას და ქმნიან სათანადო სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს.

ზოგადი განათლების მიღება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს მოსწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში/სკოლაში; მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და შრომითი და ოჯახური პირობების გათვალისწინებით, ალტერნატიული ფორმებით; ექსტერნატის ფორმით და დისტანციური სწავლების ფორმით.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში/სკოლაში ზოგადი განათლების მიღება გულისხმობს პირის მიერ ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების/ სემესტრის, ასევე ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების დაძლევას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში/სკოლაში მასწავლებლების ჩართულობით და საგანმანათლებლო რესურსის გამოყენებით.

---

[11] იქვე.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში/სკოლაში სწავლა უნდა მიმდინარეობდეს პოზიტიურ და მოწესრიგებულ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, სადაც მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე. მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობა სასწავლო პროცესში. მოსწავლეები არა მხოლოდ აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ განათლების მიღების პროცესში, ასევე საშუალება უნდა ჰქონდეთ, ერთმანეთს დაეხმარონ და მონაწილეობა მიიღონ თანატოლების სწავლა-სწავლების პროცესშიც.[12]

სკოლაში სასწავლო წელი იყოფა ორ სემესტრად. მას სემესტრებად ყოფს ზამთრის არდადეგები. საჯარო სკოლებისთვის სასწავლო კვირა ხუთდღიანია. საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია კვირაში ექვსდღიანი სწავლებაც, კერძოდ, ექვსდღიანი სწავლება დასაშვებია, თუ:

ა) სკოლის სასწავლო გეგმიდან გამომდინარე, სკოლა გადაწყვეტს ყოველდღიური საათობრივი ბადის განტვირთვას;

ბ) გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო სკოლაში გაცდება სასწავლო დღე/დღეები. ამ შემთხვევაში სკოლა ვალდებულია, ინფორმაცია მიაწოდოს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს;

გ) ობიექტური მიზეზების გამო სკოლა მიზანშეწონილად მიიჩნევს, კვირის რომელიმე დღე განსაზღვროს დასვენების დღედ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებით.[13]

---

[12] „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ეროვნული სასწავლო გეგმის" მე-10 მუხლი, მე-15 მუხლი.

[13] იქვე, მე-16 მუხლი.

მოსწავლეს კლასი დაძლეულად ჩაეთვლება, თუ მოსწავლის მიერ კონკრეტული კლასის თითოეული საგნის წლიური ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და მოსწავლეს მიღებული აქვს ჩათვლა 31-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ საგნებში, რაც აძლევს მას მომდევნო კლასში გადასვლის უფლებას. დაძლეული კლასის განმეორებით გავლა დაუშვებელია.

დაწყებითი საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დაძლეული აქვს V-VI კლასები, რაც აძლევს მას საბაზო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას.

საბაზო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და, ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაძლეული აქვს საბაზო საფეხურში შემავალი ყველა კლასი, რაც აძლევს მას საბაზო განათლების ატესტატის აღების ან/და საშუალო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას.

საშუალო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და, ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაძლეული აქვს საშუალო საფეხურში შემავალი ყველა კლასი.[14]

მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და შრომითი და ოჯახური პირობების გათვალისწინებით, ალტერნატიული ფორმებით ზოგადი განათლების მიღების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს მოსწავლის შინ სწავლებას და ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლებას.

სკოლა ვალდებულია, შინ სწავლების რეჟიმზე გადაიყვანოს ის მოსწავლეები, რომლებიც არ არიან სპეციალური საგან-

[14] იქვე, 35-ე მუხლი.

მანათლებლო საჭიროების მქონე, მაგრამ სჭირდებათ მკურნალობა ერთ თვეზე მეტი ვადით და ეს ცნობილი ხდება სკოლისათვის სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე. სკოლა ვალდებულია, დაადგინოს განრიგი, რომლის მიხედვითაც სკოლის მიერ განსაზღვრული მასწავლებელი/მასწავლებლები განახორციელებს/განახორციელებენ მოსწავლესთან ვიზიტს. მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლისთვის შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული საგნისთვის (გარდა სპორტის საგნობრივი ჯგუფით გათვალისწინებული საგნებისა) კვირაში მინიმუმ 1 გაკვეთილის ჩატარებას.[15]

თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეს ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევს სკოლაში სიარულის საშუალებას, სკოლა მიმართავს მულტიდისციპლინურ გუნდს, რომლის დასკვნის საფუძველზეც სსსმ მოსწავლე სწავლას განაგრძობს შინ სწავლების ფორმით. ამ შემთხვევაში მოსწავლე ირიცხება სკოლაში, მაგრამ არ ესწრება გაკვეთილებს. სკოლა უდგენს მას ინდივიდუალური სწავლების განრიგს, რომლის მიხედვითაც მოხდება სსსმ მოსწავლის შინ სწავლება. სსსმ მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს შინ სწავლებაზე მყოფი მოსწავლისათვის შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული საგნის (გარდა ფიზიკური აღზრდისა) კვირაში მინიმუმ ერთი აკადემიური საათის ოდენობით ჩატარებას.[16]

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის, საჭიროების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის მოსწავლის სპეციალური

---

[15] იქვე, 39-ე მუხლი.

[16] იქვე, 44-ე მუხლი.

საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციით შექმნილი სასწავლო გეგმა, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ასახავს შესაბამისი კლასის დამთავრებისთვის მოსალოდნელ სასწავლო შედეგებს, მათ მისაღწევად განსაზღვრულ სწავლების სტრატეგიასა და დამატებით საშუალებებს/ღონისძიებებს, შესაბამისი სასწავლო გარემოს შესაქმნელად გასატარებელ ზომებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი მიღწევის გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, რომლებიც აუცილებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.[17]

სკოლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფი მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურებიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო მანამდე უკვე იდენტიფიცირებული სსსმ მოსწავლეებისთვის – ორი კვირის ვადაში ქმნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება მოიცავდეს ყველა საგანს ან რომელიმე კონკრეტულ საგანს/საგნებს სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად. ყოველი სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში დეტალურად უნდა განისაზღვროს:

ა) სასწავლო შედეგები, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო (როგორც საკლასო, ისე საშინაო) აქტივობები შერჩეულ საგანში/საგნებში;

ბ) დრო, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას თითოეულ საგანში;

---

[17] იქვე, 42-ე მუხლი.

გ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ჯგუფური/ინდივიდუალური მეცადინეობები, მეცადინეობების გრაფიკი, ადგილი და ხანგრძლივობა;

დ) დამატებით ჯგუფურ/ინდივიდუალურ მეცადინეობებზე პასუხისმგებელი პირი: საგნის მასწავლებელი, მშობელი და/ან სპეციალური მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში სხვა სპეციალისტი;

ე) სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი რესურსი (სახელმძღვანელოები და მოსწავლისათვის საჭირო სხვა საგანმანათლებლო/განმავითარებელი რესურსი) და რესურსით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, მათ შორის, მშობელიც;

ვ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ტექნიკური რესურსები.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ბავშვის კოგნიტური, აკადემიური, საგნობრივი კომპეტენციების, ინტერესების, სოციალური, ქცევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების შესახებ, ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.[18]

ზოგადი განათლების მიღება შეიძლება **ექსტერნატის ფორმით.**[19] ექსტერნატის ფორმით ამა თუ იმ საფეხურზე ზოგადი განათლების მიღება ითვალისწინებს პირის მიერ ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების/ სემესტრის, ასევე ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების დამოუკიდებლად დაძლევას. ექსტერნი წარმოადგენს პირს, რომელიც დარეგისტრირდება როგორც ექსტერნატის ფორმით განათლების მიღების მსურველი პირი. პირს უფლება აქვს, ექსტერნატის ფორმით ჩააბაროს ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების/ სემესტრის, ასევე ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგ-

---

[18] იქვე, 42-ე მუხლი.

[19] „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი, მე-9 მუხლი.

ნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამა/-პროგრამები იმ შემთხვევაში, თუ მისი ასაკი შეესაბამება ან აღემატება ექსტერნატის ფორმით დასაძლევი კლასის მოსწავლეთა ასაკობრივ ჯგუფს და მას დაძლეული აქვს წინმსწრები კლასის/სემესტრის საგანმანათლებლო პროგრამა. ასაკობრივ შეზღუდვასთან დაკავშირებით, ობიექტური გარემოების არსებობის შემთხვევაში, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი უფლებამოსილია, განსაზღვროს გამონაკლისი შემთხვევები.[20]

ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების/სემესტრის, ასევე ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა ტარდება წერითი ფორმით, ტესტირების გზით და მას ატარებს ის სკოლა, რომელშიც სწავლობს მოსწავლე ან რომელშიც პირს სურს, რომ გააგრძელოს სწავლა ან რესურსცენტრის მიერ მის სამოქმედო ტერიტორიაზე განსაზღვრული სკოლა. სპორტის საგნის ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა ტარდება სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესით.[21]

მე-12 კლასში შემავალი საგნის/საგნების (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, ინგლისური ენა, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება) ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა ტარდება ცენტრალიზებულად, საქართვე-

---

[20] „ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №18/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულების" 1-ელი-მე-2 მუხლები.

[21] იქვე, მე-3 მუხლი.

ლოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ, ელექტრონული ფორმით, სისტემის მიერ შერჩეულ სკოლებში.

ექსტერნზე სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი გაიცემა ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების საშუალო საფეხურისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის დაძლევის შემთხვევაში. თუ პირი ექსტერნატის ფორმით წარმატებით დაძლევს რამდენიმე კლასის სასწავლო პროგრამას, რომელიც მოიცავს საბაზო საფეხურის დამამთავრებელ კლასს, მასზე უნდა გაიცეს ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის დამადასტურებელი დოკუმენტი.[22]

დისტანციური სწავლება ითვალისწინებს სასწავლო პროცესის დისტანციური/ელექტრონული ფორმით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით წარმართვას. დისტანციური სწავლება ხორციელდება სინქრონული ან ასინქრონული კომუნიკაციის ფორმით. სინქრონული კომუნიკაცია გულისხმობს ისეთ ინტერაქციას, როდესაც ინფორმაციის გამგზავნსა და მიმღებს შორის კომუნიკაცია ერთსა და იმავე დროს ხორციელდება, ხოლო ასინქრონული კომუნიკაცია ისეთ ინტერაქციას, როდესაც ინფორმაციის გამგზავნსა და მიმღებს შორის კომუნიკაცია ერთსა და იმავე დროს არ ხორციელდება. დისტანციური სწავლების პროგრამა აგებულია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისათვის ან/და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნისათვის/საგნობრივი ჯგუფისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.[23]

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დისტანციური სწავლების დაშვებისა და დისტანციური

---

[22] იქვე, მე-16 მუხლი.

[23] „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6[1] მუხლი.

სწავლების განხორციელების პერიოდის შესახებ გადაწყვეტილებას, აგრეთვე იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების თაობაზე გადაწყვეტილებას, რომელმაც ზოგადი განათლების მისაწოდებლად დისტანციური სწავლება უნდა გამოიყენოს, იღებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით.[24]

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ენაა ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – ქართული ან აფხაზური. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, სადაც სწავლება ხორციელდება ერთ-ერთ სახელმწიფო ენაზე, მეორე სახელმწიფო ენის სწავლება სავალდებულოა. საქართველოს მოქალაქეებს, რომლებისთვისაც ქართული ენა მშობლიური არ არის, უფლება აქვთ, მიიღონ სრული ზოგადი განათლება თავიანთ მშობლიურ ენაზე, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სავალდებულოა სახელმწიფო ენის სწავლება, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – ორივე სახელმწიფო ენისა.[25]

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაძლებელია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლება განხორციელდეს უცხოურ ენაზე. ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სავალდებულოა სახელმწიფო ენის სწავლება, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – ორივე სახელმწიფო ენისა.[26]

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, საჭიროების შემთხვევაში, სმენის დარღვევის მქონე მოსწავლის სწავლების

---

[24] იქვე.

[25] „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლი.

[26] იქვე.

ენად გამოიყენება ქართული ჟესტური ენა და ბილინგვური სწავლების პრინციპები, ხოლო იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, სადაც განათლებას მხოლოდ სმენის დარღვევის მქონე მოსწავლეები იღებენ, სავალდებულოა ქართული ჟესტური ენის ან/და ბილინგვური სწავლების პრინციპების გამოყენება. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, საჭიროების შემთხვევაში, მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლესთან გამოიყენება ბრაილის სისტემა ან/და შესაბამისი დამხმარე ტექნოლოგიები, ხოლო იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, სადაც განათლებას მხოლოდ მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეები იღებენ, სავალდებულოა ბრაილის სისტემის ან/და შესაბამისი დამხმარე ტექნოლოგიების გამოყენება.[27]

საქართველოს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო წელი 15 სექტემბერს იწყება. თუ 15 სექტემბერი დასვენების დღეს ან უქმე დღეს ემთხვევა, სწავლა მის მომდევნო პირველ სამუშაო დღეს დაიწყება. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით ყველა ან კონკრეტული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის შეიძლება განისაზღვროს სასწავლო წლის დაწყების განსხვავებული თარიღი:

ა) კანონმდებლობის შესაბამისად საჯარო სკოლაში პილოტირების განხორციელებისას;

ბ) „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საგანგებო სიტუაციის არსებობისას, აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/დაწესებულებების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებისას;

გ) კერძო სკოლის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე.[28]

---

[27] იქვე.

[28] „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი, მე-7^1 მუხლი.

საქართველოს ზოგადი განათლების საფეხურების შესაბამისობა განათლების კლასიფიცირების საერთაშორისო სტანდარტის (ISCED) დოკუმენტებთან შემდეგნაირია:

დაწყებითი საფეხური – Primary education (ISCED level 1),

საბაზო საფეხური – Lower secondary education (ISCED level 2),

საშუალო საფეხური – Upper secondary education (ISCED level 3).

სრული ზოგადი განათლების მიღება გულისხმობს ზოგადი განათლების სამივე საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევების დონის დაძლევას და შესაბამისი დოკუმენტით სახელმწიფოს მიერ ამის დადასტურებას,[29] რომლის საფუძველზეც პირს უფლება აქვს, სწავლა გააგრძელოს განათლების შემდგომ საფეხურზე, კერძოდ, მიიღოს პროფესიული ან/და უმაღლესი განათლება.

2. არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სრული ზოგადი განათლების მიღება და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში მიმდინარე სასწავლო პროცესის რეგულირება[30]

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სწავლების და განათლების უწყვეტობის უზრუნველყოფის გზით პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული მოსწავლეების საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობის, ასევე 18 წელს მიღწეული

---

[29] „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ეროვნული სასწავლო გეგმის" მე-3 მუხლი.

[30] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 1 სექტემბრის №110/ნ/№124 ერთობლივი ბრძანება.

მსჯავრდებულის, რომელიც პირადი განცხადებით დატოვებული იქნება სასჯელის მოსახდელად იმავე პენიტენციურ დაწესებულებაში, რომელშიც სრულწლოვანების მიღწევამდე იხდიდა სასჯელს, რესოციალიზაციისა და ზოგადი განათლების მიღების მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებთან ერთად, უზრუნველყოფს სრული ზოგადი განათლების მიღებას პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული მოსწავლეებისათვის და 18 წელს მიღწეული მსჯავრდებულებისათვის, რომლებიც პირადი განცხადებით დატოვებული იქნებიან სასჯელის მოსახდელად იმავე პენიტენციურ დაწესებულებაში, რომელშიც სრულწლოვანების მიღწევამდე იხდიდნენ სასჯელს.

არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს:

ა) მიიღოს სრული ზოგადი განათლება, რაც გულისხმობს ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის დაძლევას.

ბ) ექსტერნატის ფორმით ჩააბაროს ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების/სემესტრის, ასევე ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამა/პროგრამები იმ შემთხვევაში, თუ მისი ასაკი შეესაბამება ან აღემატება ექსტერნატის ფორმით დასაძლევი კლასის მოსწავლეთა ასაკობრივ ჯგუფს და მას დაძლეული აქვს წინმსწრები კლასის/სემესტრის საგანმანათლებლო პროგრამა.

გ) მონაწილეობა მიიღოს ერთიან ეროვნულ გამოცდებში.

ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების/სემესტრის, ასევე ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის/პროგრამების ექსტერნატის ფორმით ჩაბარების სურვილის შემთხვევაში, პენიტენციურ დაწესებულებებში ზოგადსაგანმა-

ნათლებლო პროგრამების განმახორციელებელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, დაეხმაროს არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს ექსტერნის გამოცდისათვის მომზადებაში.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის ზოგადი განათლების მიღების უფლებების რეალიზების მიზნით ვალდებულია, უზრუნველყოს არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის ექსტერნატის გამოცდებზე და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დასწრებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პენიტენციურ დაწესებულებებში არასრულწლოვანი ბრალდებულისათვის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფენ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დაქირავებული მასწავლებლები, იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელით, რომელშიც სწავლობდა არასრულწლოვანი ბრალდებული აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებამდე, ან იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელით, რომელშიც ჩაირიცხა არასრულწლოვანი ბრალდებული აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შემდგომ. ხოლო პენიტენციურ დაწესებულებებში არასრულწლოვან მსჯავრდებულთათვის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას უზრუნველყოფს/უზრუნველყოფენ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/დაწესებულებები, რომელთანაც/რომლებთანაც საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო უზრუნველყოფს პენიტენციურ დაწესებულებებში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებას.

იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი მსჯავრდებული არ არის განთავსებული არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში, და სასჯელს იხდის სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში, ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შესაძლებელია, უზრუნველყონ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დაქირავებულმა მასწავლებლებმა, იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელით, რომელშიც სწავლობდა არასრულწლოვანი ბრალდებული აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებამდე/არასრულწლოვანი მსჯავრდებული მის მიმართ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებამდე, ან იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელით, რომელშიც ჩაირიცხა არასრულწლოვანი ბრალდებული აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შემდგომ/არასრულწლოვანი მსჯავრდებული, მის მიმართ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის შეფარდების შემდგომ.

მასწავლებელი უზრუნველყოფს:

ა) ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შესაბამისი საგნის/საგნების სწავლებას;

ბ) არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის აკადემიური მიღწევების შეფასებას ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად;

გ) ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის გაცდენების აღრიცხვას მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალში;

დ) არაუგვიანეს შესაბამისი სემესტრის დასრულებიდან მეორე სამუშაო დღისა, არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის შეფასებისა და გაცდენების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის, რომელშიც სწავლობდა არასრულწლო-

ვანი ბრალდებული აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებამდე/არასრულწლოვანი მსჯავრდებული, მის მიმართ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებამდე, ასევე იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის, რომელშიც ჩაირიცხა არასრულწლოვანი ბრალდებული აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შემდგომ/არასრულწლოვანი მსჯავრდებული, მის მიმართ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის შეფარდების შემდგომ;

ე) სემესტრული, წლიური ან/და საშემოდგომო გამოცდების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჩატარებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ მიღებული შეფასების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის, რომელშიც სწავლობდა არასრულწლოვანი ბრალდებული აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებამდე/არასრულწლოვანი მსჯავრდებული, მის მიმართ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებამდე, ასევე იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის, რომელშიც ჩაირიცხა არასრულწლოვანი ბრალდებული აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შემდგომ/არასრულწლოვანი მსჯავრდებული, მის მიმართ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის შეფარდების შემდგომ.

პენიტენციურ დაწესებულებებში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, შემდეგი სპეციფიკის გათვალისწინებით:

- პენიტენციურ დაწესებულებებში სასწავლო კვირა ექვსდღიანია.
- პენიტენციურ დაწესებულებებში გაკვეთილის ხანგრძლივობა განისაზღვრება 30 წუთით.
- პენიტენციურ დაწესებულებებში გაკვეთილებს შორის შესვენების ხანგრძლივობა განისაზღვრება 5 წუთით.

- პენიტენციურ დაწესებულებებში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში იმ კლასს, რომელშიც ირიცხება მხოლოდ არასრულწლოვანი მსჯავრდებული, შესაძლებელია, არ ჰყავდეს დამრიგებელი.
- არასრულწლოვანი მსჯავრდებულის სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის შემთხვევაში პენიტენციურ დაწესებულებებში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელმა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა მოამზადოს ინფორმაცია მისი აკადემიური მიღწევისა და გაკვეთილებზე დასწრების შესახებ მოსწავლის პირად საქმეში შესატანად.

არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის, მიმდინარე სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით ქმნის სამეთვალყურეო საბჭოს, რომელიც დაკომპლექტებული იქნება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებისაგან. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში, სათათბირო ხმის უფლებით, შესაძლებელია, მოიწვიონ საქართველოს სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია:

ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, დაესწროს პენიტენციურ დაწესებულებებში მიმდინარე სასწავლო პროცესს;

ბ) გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მოთხოვნით მიმართოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ან/და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და განახორციელოს ხარვეზების აღმოფხვრის მონიტორინგი;

გ) მოითხოვოს ჩატარებული გაკვეთილების შესახებ ანგარიშების წარდგენა მასწავლებლებისაგან, ასევე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლებისაგან.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება და მასწავლებელი ვალდებული არიან, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შეასრულონ სამეთვალყურეო საბჭოს მოთხოვნები.

შეამოწმე შენი ცოდნა:

ტესტი 1. სრულ ზოგად განათლებას აქვს:

ა) სამი საფეხური: დაწყებითი (6 წელი), საბაზო (3 წელი) და საშუალო (2 წელი);

ბ) ოთხი საფეხური: დაწყებითი (6 წელი), საბაზო (2 წელი), საშუალო (2 წელი), უმაღლესი (1 წელი);

გ) ორი საფეხური: დაწყებითი (6 წელი), საბაზო (6 წელი);

დ) სამი საფეხური: დაწყებითი (6 წელი), საბაზო (4 წელი) და საშუალო (2 წელი).

ტესტი 2. დასაშვებია თუ არა მოსწავლის დატოვება ზოგადი განათლების სისტემის მიღმა საბაზო საფეხურის მიღწევის დონის დაძლევამდე?

ა) დიახ;

ბ) არა;

გ) დიახ, მაგრამ განსაზღვრული პერიოდით;

დ) დიახ, თუ მოსწავლე ბრალდებული ან მსჯავრდებულია.

ტესტი 3. რა არის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა?

ა) ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით, ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციით, შექმნილი სასწავლო გეგმა, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია;

ბ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის კონკრეტული სკოლის მიერ შექმნილი სასწავლო გეგმა;

გ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით, ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციით, შექმნილი სასწავლო გეგმა, რომელიც არ არის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი;

დ) ყველა პასუხი არასწორია.

ტესტი 4. ექსტერნატის გამოცდა ტარდება:

ა) ზეპირი ფორმით და მას ატარებს ის სკოლა, რომელშიც სწავლობს მოსწავლე ან რომელშიც პირს სურს, რომ გააგრძელოს სწავლა, ან რესურსცენტრის მიერ მის სამოქმედო ტერიტორიაზე განსაზღვრული სკოლა;

ბ) წერითი ან ზეპირი ფორმით და მას ატარებს ის სკოლა, რომელშიც სწავლობს მოსწავლე, ან რომელშიც პირს სურს, რომ გააგრძელოს სწავლა, ან რესურსცენტრის მიერ მის სამოქმედო ტერიტორიაზე განსაზღვრული სკოლა;

გ) წერითი ფორმით, ტესტირების გზით და მას ატარებს ის სკოლა, რომელშიც სწავლობს მოსწავლე, ან რომელშიც პირს სურს, რომ გააგრძელოს სწავლა, ან რესურსცენტრის მიერ მის სამოქმედო ტერიტორიაზე განსაზღვრული სკოლა;

დ) ყველა პასუხი არასწორია.

ტესტი 5. რას ნიშნავს სინქრონული კომუნიკაცია?

ა) ინტერაქციას, როდესაც ინფორმაციის გამგზავნსა და მიმღებს შორის კომუნიკაცია ერთსა და იმავე დროს არ ხორციელდება;

ბ) ინტერაქციას, როდესაც ინფორმაციის გამგზავნსა და მიმღებს შორის კომუნიკაცია ერთსა და იმავე დროს ხორციელდება;

გ) ინტერაქციას, როდესაც ინფორმაციის გამგზავნსა და მიმღებს შორის კომუნიკაცია ხორციელდება ერთსა და იმავე ან სხვადასხვა დროს;

დ) ყველა პასუხი სწორია.

ტესტი 6. რომელი დებულებაა ჭეშმარიტი?

ა) საქართველოს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო წელი 15 სექტემბერს იწყება. თუ 15 სექტემბერი დასვენების დღეს ან უქმე დღეს ემთხვევა, სწავლა მის წინა სამუშაო დღეს დაიწყება;

ბ) საქართველოს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ყოველი სასწავლო წლის დაწყება განისაზღვრება „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე;

გ) საქართველოს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო წელი 15 სექტემბერს იწყება. თუ 15 სექტემბერი დასვენების დღეს ან უქმე დღეს ემთხვევა, სწავლა მის მომდევნო პირველ სამუშაო დღეს დაიწყება;

დ) ყველა პასუხი არასწორია.

ტესტი 7. რომელი დებულებაა ჭეშმარიტი?

ა) არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, მიიღოს სრული ზოგადი განათლება, რაც გულისხმობს ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის დაძლევას;

ბ) არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, ექსტერნატის ფორმით ჩააბაროს ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების/სემესტრის, ასევე ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამა/პროგრამები იმ შემთხვევაში, თუ მისი ასაკი შეესაბამება ან აღემატება ექსტერნატის ფორმით დასაძლევი კლასის მოსწავლეთა ასაკობრივ ჯგუფს

და მას დაძლეული აქვს წინმსწრები კლასის/სემესტრის საგანმანათლებლო პროგრამა;

გ) არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს ერთიან ეროვნულ გამოცდებში;

დ) ყველა პასუხი სწორია.

ტესტი 8. იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი მსჯავრდებული არ არის განთავსებული არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში და სასჯელს იხდის სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში, ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შესაძლებელია უზრუნველყონ:

ა) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დაქირავებულმა მასწავლებლებმა იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელით, რომელშიც სწავლობდა არასრულწლოვანი ბრალდებული აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებამდე/არასრულწლოვანი მსჯავრდებული მის მიმართ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებამდე;

ბ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით განსაზღვრულმა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ/დაწესებულებებმა, რომელთანაც/რომლებთანაც საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო უზრუნველყოფს პენიტენციურ დაწესებულებებში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებას;

გ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დაქირავებულმა მასწავლებლებმა ნებისმიერი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელით;

დ) ყველა პასუხი სწორია.

ტესტი 9. რომელი დებულებაა ჭეშმარიტი?

ა) პენიტენციურ დაწესებულებებში სასწავლო კვირა ხუთ-დღიანია, ხოლო გაკვეთილის ხანგრძლივობა განისაზღვრება 40 წუთით;

ბ) პენიტენციურ დაწესებულებებში სასწავლო კვირა ხუთ-დღიანია, ხოლო გაკვეთილის ხანგრძლივობა განისაზღვრება 30 წუთით;

გ) პენიტენციურ დაწესებულებებში სასწავლო კვირა ექ-ვსდღიანია, ხოლო გაკვეთილის ხანგრძლივობა განისაზღვრე-ბა 30 წუთით;

დ) პენიტენციურ დაწესებულებებში სასწავლო კვირა და გაკ-ვეთილის ხანგრძლივობა განისაზღვრება ინდივიდუალურად.

ტესტი 10. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში სათათბი-რო ხმის უფლებით შესაძლებელია მოიწვიონ:

ა) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზ-რდობის სამინისტროს წარმომადგენლები;

ბ) პენიტენციური დაწესებულების წარმომადგენლები;

გ) საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლები;

დ) საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლები.

ტესტების სწორი პასუხები:									
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
დ	ბ	ა	გ	ბ	გ	დ	ა	გ	გ

თავი III

ზოგადი განათლების ძირითადი პრინციპები

„ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი განამტკიცებს ფუძემდებლურ პრინციპებს, რომლებიც საქართველოში ზოგადი განათლების ძირითად მახასიათებლებს განსაზღვრავენ და უდიდესი როლი აქვთ საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული განათლების უფლების რეალიზაციაში. ეს პრინციპებია:

ზოგადი განათლების მიღების უფლება – ყველას აქვს სრული ზოგადი განათლების მიღების თანაბარი უფლება, რათა სრულად განავითაროს თავისი პიროვნება და შეიძინოს ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობებისთვის. დაწყებითი და საბაზო განათლების მიღება სავალდებულოა. სახელმწიფო იცავს მოსწავლისა და მშობლის საგანმანათლებლო არჩევანის თავისუფლებას. მშობლის საგანმანათლებლო არჩევანის თავისუფლება არ გულისხმობს სავალდებულო განათლებისთვის თავის არიდების უფლებას და ისეთ განათლებას, რომელიც ხელს შეუშლის ამ კანონის მიზნების მიღწევას. მოსწავლეს უფლება აქვს, გადავიდეს ერთი სკოლიდან სხვა სკოლაში ზოგადი განათლების იმავე საფეხურზე, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლიდან გარიცხულ მოსწავლეს უფლება აქვს, სწავლა სხვა სკოლაში განაგრძოს.[31]

საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ცოდნის უფლება – მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს

---

[31] „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლი.

უფლება აქვთ, ფლობდნენ ინფორმაციას თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე მათი შეზღუდვის საფუძვლების შესახებ. სკოლა ვალდებულია, ყოველ ახალ მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს გააცნოს მათი უფლებები და თავისუფლებები. სკოლა ვალდებულია, უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვისას მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს გონივრულ ვადაში განუმარტოს შეზღუდვის საფუძველი. ზემოხსენებული ინფორმაცია მოსწავლეს უნდა მიეწოდოს მისი ასაკისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაბამისად, კომუნიკაციის ხელმისაწვდომი საშუალებებით.[32]

სკოლის მართვაში მონაწილეობის უფლება – მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს უფლება აქვთ, პირადად ან არჩეული წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობა მიიღონ სკოლის მართვაში. მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს უფლება აქვთ, მიიღონ სკოლაში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია, გარდა პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციისა. მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს უფლება აქვთ, მოითხოვონ და მიიღონ სკოლის მიერ მათთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტისას მათი აზრის მოსმენისა და განხილვაში უშუალოდ ან წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობის შესაძლებლობა.[33]

გასაჩივრების უფლება – მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს უფლება აქვთ, თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ მასწავლებლის, სკოლისა და საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები, აგრეთვე მიიღონ მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება. სკოლა ვალდებულია, შექმნას საჩივრების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი განხილვის ეფექტიანი საშუალება. საჯარო სკოლის

---

[32] იქვე, მე-10 მუხლი.

[33] იქვე, მე-11 მუხლი.

დირექტორსა და ამ საჯარო სკოლის თანამშრომლებს, სამეურვეო საბჭოსა და დირექტორს შორის, აგრეთვე საჯარო სკოლის დირექტორსა და სამინისტროს შორის წარმოშობილ შრომით დავებს, როგორც სამოქალაქო დავებს, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილავს სასამართლო.[34]

ნეიტრალურობა და არადისკრიმინაციულობა – დაუშვებელია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო პროცესის პოლიტიზება, საჯარო სკოლაში სასწავლო პრცესის რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმის ან იძულებითი ასიმილაციის მიზნებისათვის გამოყენება. ნეიტრალურობა და არადისკრიმინაციულობა არ ზღუდავს საჯარო სკოლაში სახელმწიფო დღესასწაულებისა და ისტორიული თარიღების აღნიშვნას, აგრეთვე ისეთი ღონისძიების ჩატარებას, რომელიც მიმართულია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებისაკენ.[35]

დაუშვებელია სკოლაში მიღებისას რაიმე სახის დისკრიმინაცია და სკოლის მიერ საკუთარი უფლებამოსილებისა და რესურსების იმგვარად გამოყენება, რამაც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად გამოიწვიოს მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის, აგრეთვე მათი გაერთიანებების რაიმე დისკრიმინაცია. ნებისმიერი განმასხვავებელი ქმედება ან გამონაკლისის დაშვება ჩაითვლება დისკრიმინაციად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი ქმედება ან გამონაკლისი სამართლიანი და გონივრულია, ემსახურება თითოეული პირისა და ჯგუფის თავისუფალი განვითარებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას.[36]

სკოლა ვალდებულია, დაიცვას და ხელი შეუწყოს მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებლებს შორის შემწყნარებ-

---

[34] იქვე, მე-12 მუხლი.

[35] იქვე, მე-13 მუხლი.

[36] იქვე.

ლობისა და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებას, განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა. სკოლა თანასწორობის საფუძველზე იცავს უმცირესობების წევრების ინდივიდუალურ და კოლექტიურ უფლებას, თავისუფლად ისარგებლონ მშობლიური ენით, შეინარჩუნონ და გამოხატონ თავიანთი კულტურული კუთვნილება.[37]

გამოხატვის თავისუფლება – მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს უფლება აქვთ, კანონით დადგენილი წესით, სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე მოიძიონ, მიიღონ, შექმნან, შეინახონ, დაამუშაონ ან გაავრცელონ ნებისმიერი ინფორმაცია და იდეები, აგრეთვე გამოიყენონ სკოლის რესურსები ინფორმაციისა და იდეების მოსაძიებლად, მისაღებად, შესაქმნელად, შესანახად, დასამუშავებლად ან გასავრცელებლად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით. მოსწავლეს უფლება აქვს, გამოთქვას საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა.[38]

დაუშვებელია სასკოლო გამოცემათა სარედაქციო დამოუკიდებლობის ხელყოფა და სასკოლო ბიბლიოთეკაში წიგნების ცენზურა. ეს პრინციპი არ ზღუდავს სკოლას, დაანწესოს არადისკრიმინაციული და ნეიტრალური შეზღუდვები, რათა უზრუნველყოს არასრულწლოვანთა დაცვა ასაკის შეუსაბამო ლიტერატურის მავნე ზეგავლენისაგან.[39]

მოსწავლესა და მასწავლებელს აქვთ სწავლის, სწავლებისა და კვლევის აკადემიური თავისუფლება იმ ფარგლებში, რომელიც არ ეწინააღმდეგება ეროვნული სასწავლო გეგმით დასახული მიზნების მიღწევას.[40]

---

[37] იქვე.

[38] იქვე, მე-14 მუხლი.

[39] იქვე.

[40] იქვე.

სკოლას უფლება აქვს, დააწესოს სასკოლო ფორმა ისე, რომ არ შეზღუდოს მოსწავლისა და მასწავლებლის გამოხატვის თავისუფლება. მოსწავლესა და მასწავლებელს უფლება აქვთ, დასაბუთებული უარი თქვან სასკოლო ფორმის ტარებაზე. სასკოლო ფორმის დაწესებისას სკოლამ უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის ფინანსური შესაძლებლობები და თუ მას არ შეუძლია ფორმის შეძენა, სკოლამ უნდა უზრუნველყოს იგი ფორმით.[41]

შეკრების თავისუფლება – მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს აქვთ წინასწარი შეტყობინების საფუძველზე სკოლის ტერიტორიაზე კანონით დადგენილი წესით შეკრების თავისუფლება. დაუშვებელია, სკოლამ წარმართოს ან აკონტროლოს მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა შეკრების მსვლელობა მათი სურვილის საწინააღმდეგოდ. სკოლას უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში, დაესწროს მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა შეკრებას. გარეშე პირს უფლება აქვს, დაესწროს მოსწავლეთა შეკრებას მხოლოდ მათი მიწვევით, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, რაც დაკავშირებულია სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან.[42]

გაერთიანების თავისუფლება – მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს აქვთ კანონით დადგენილი წესით გაერთიანების თავისუფლება. დაუშვებელია, სკოლა ჩაერიოს მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა გაერთიანების საქმიანობაში, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. დაუშვებელია, გარეშე პირმა წარმართოს ან აკონტროლოს მოსწავლეთა გაერთიანება.[43]

---

[41] იქვე.
[42] იქვე, მე-15 მუხლი.
[43] იქვე, მე-16 მუხლი.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა – მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლის პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია. მათ არ შეიძლება მოეთხოვოთ, გაამჟღავნონ ინფორმაცია თავიანთ პირად ცხოვრებაზე. დაუშვებელია მოსწავლისა და მასწავლებლის პირადი ცხოვრების, კერძო კომუნიკაციის, აგრეთვე მოსწავლისა და მასწავლებლის პირად სარგებლობაში გადაცემული, სკოლის საკუთრებაში არსებული ქონების ხელშეუხებლობის უფლების თვითნებური შეზღუდვა. სკოლას უფლება აქვს, მოსთხოვოს მოსწავლესა და მასწავლებელს, გაიარონ სამედიცინო შემოწმება დაავადებებზე, ალკოჰოლზე, ნარკოტიკებზე. სკოლა ვალდებულია, უზრუნველყოს შესაბამისი სამედიცინო შემოწმების გავლის ხელმისაწვდომობა.[44]

რწმენის თავისუფლება – მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს, კანონით დადგენილი წესით, აქვთ რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება, ნებისმიერი ან არცერთი რწმენისა თუ მსოფლმხედველობის ნებაყოფლობით არჩევის და შეცვლის უფლება, და დაუშვებელია, მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს დაეკისროთ ისეთი ვალდებულებების შესრულება, რომლებიც ძირეულად ეწინააღმდეგება მათ რწმენას, აღმსარებლობას ან სინდისს, თუ ეს არ ლახავს სხვათა უფლებებს, ან ხელს არ შეუშლის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიღწევის დონის დაძლევას.[45]

საჯარო სკოლის ტერიტორიაზე რელიგიური სიმბოლოების განთავსება არ უნდა ემსახურებოდეს არააკადემიურ მიზნებს. საჯარო სკოლის მოსწავლეებს უფლება აქვთ, სასკოლო დროისგან თავისუფალ დროს ნებაყოფლობით შეისწავლონ რელიგია, ან ჩაატარონ რელიგიური რიტუალი, თუ იგი ემსახურება რელიგიური განათლების მიღებას.[46]

---

[44] იქვე, მე-17 მუხლი.

[45] იქვე, მე-18 მუხლი.

[46] იქვე.

დისციპლინა – სასკოლო დისციპლინა დაცულ უნდა იქნეს იმ მეთოდების მეშვეობით, რომლებიც ეფუძნება მოსწავლისა და მასწავლებლის თავისუფლებისა და ღირსების პატივისცემას. დისციპლინური დევნა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, ჯეროვანი და სამართლიანი პროცედურით. სკოლის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები, დისციპლინური დევნა და სახდელი უნდა იყოს გონივრული, დასაბუთებული და თანაზომადი. დისციპლინური დევნისას სკოლა ვალდებულია, განუმარტოს მოსწავლეს ან მასწავლებელს მის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის არსი. მოსწავლის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების, აგრეთვე დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მის მშობელს. მოსწავლეს უფლება აქვს, მასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტისას მშობელთან ერთად წარდგეს. დაუშვებელია სასტიკი ან ისეთი დისციპლინური სახდელის გამოყენება, რომელიც ლახავს პირის პატივსა და ღირსებას. სკოლა ვალდებულია, მიიღოს ზომები, რათა დისციპლინურმა სახდელმა არ გამოიწვიოს მოსწავლის არსებითი ჩამორჩენა სასწავლო პროცესისგან. დაუშვებელია სკოლის მიერ მოსწავლის ან მასწავლებლის დისციპლინური დევნა იმ ქმედებისთვის, რომელიც მან სასკოლო დროისგან თავისუფალ დროს ან სკოლის ტერიტორიის გარეთ ჩაიდინა.[47]

ძალადობის დაუშვებლობა – დაუშვებელია სკოლაში ძალადობა მოსწავლის ან ნებისმიერი სხვა პირის მიმართ. ფიზიკური ან/და სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევაში სკოლა ვალდებულია, დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.[48]

---

[47] იქვე, მე-19 მუხლი.

[48] იქვე, მე-20 მუხლი.

სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილავს სასამართლო.

ტესტი 6. ნეიტრალურობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპი:

ა) ზღუდავს საჯარო სკოლაში ისეთი ღონისძიების ჩატარებას, რომელიც მიმართულია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებისაკენ;

ბ) არ ზღუდავს საჯარო სკოლაში ისეთი ღონისძიების ჩატარებას, რომელიც მიმართულია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებისაკენ;

გ) ზღუდავს საჯარო სკოლაში სახელმწიფო დღესასწაულების თარიღების აღნიშვნას;

დ) ზღუდავს საჯარო სკოლაში ისტორიული თარიღების აღნიშვნას.

ტესტი 7. რომელი დებულებაა ჭეშმარიტი?

ა) მოსწავლესა და მშობელს უფლება აქვთ, კანონით დადგენილი წესით გამოიყენონ სკოლის რესურსები ინფორმაციისა და იდეების მოსაძიებლად;

ბ) მასწავლებელს უფლება აქვს, ნებისმიერ შემთხვევაში გამოიყენოს სკოლის რესურსები ინფორმაციისა და იდეების მოსაძიებლად;

გ) მოსწავლესა და მშობელს უფლება არ აქვთ, გამოიყენონ სკოლის რესურსები ინფორმაციისა და იდეების მოსაძიებლად;

დ) ყველა პასუხი არასწორია.

ტესტი 8. სასკოლო ფორმის ტარებაზე უარი:

ა) შესაძლებელია მხოლოდ მასწავლებლის მიერ;

ბ) შესაძლებელია ნებისმიერ შემთხვევაში;

გ) შესაძლებელია მხოლოდ მოსწავლის მიერ, საკითხის ინდივიდუალურად გადაწყვეტის შემთხვევაში;

დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი 9. აქვს თუ არა გარეშე პირს უფლება, დაესწროს მოსწავლეთა შეკრებას?

ა) დიახ, მხოლოდ მათი მიწვევით;

ბ) არა;

გ) დიახ, მხოლოდ მათი მიწვევით, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

დ) დიახ, მხოლოდ მათი ან სკოლის დირექტორის მიწვევით.

ტესტი 10. შესაძლებელია თუ არა, გარეშე პირმა წარმართოს მოსწავლეთა გაერთიანება?

ა) დიახ;

ბ) არა;

გ) დიახ, მათი თანხმობით;

დ) დიახ, სკოლის დირექტორის თანხმობით.

ტესტების სწორი პასუხები:									
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ბ	ბ	გ	გ	დ	ბ	ა	დ	გ	გ

თავი IV

საქართველოს კანონმდებლობა ზოგადი განათლების სფეროში

საქართველოში ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნებია:

ა) მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა;

ბ) მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობა.[49]

ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნების მისაღწევად აუცილებელია სრულყოფილი და დახვეწილი საკანონმდებლო ბაზის არსებობა, რომელიც, თავის მხრივ, ქმნის ზოგადი განათლების სამართალს. ზოგადი განათლების სამართალი მოიცავს საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონს, სხვა კანონებს და კანონქვემდებარე აქტებს.

ზოგადი განათლების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის საფუძველია **საქართველო კონსტიტუცია,** რომლის

---

[49] იქვე, მე-3 მუხლი.

თანახმად, დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა. ზოგად განათლებას, კანონით დადგენილი წესით, სრულად აფინანსებს სახელმწიფო.[50]

საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან და შეთანხმებებიდან, რომლებიც ზოგადი განათლების სფეროს მარეგულირებელ კანონმდებლობას მიეკუთვნებიან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს:

- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია;
- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმი;
- „განათლებაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ" კონვენცია;
- „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტი.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო 1948 წლის 10 დეკემბერს და საქართველოში ძალაშია საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილებით. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია არის პირველი საერთაშორისოსამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელიც ცნობს განათლების უფლებას, როგორც ერთ-ერთ ძირითად ადამიანის უფლებას.[51] აღნიშნული დეკლარაციის 26-ე მუხლი განამტკიცებს, რომ ყველას აქვს განათლების უფლება. განათლება, დაწყებითი და ზოგადი მაინც, უფასო უნდა იყოს. დაწყებითი განათლება უნდა იყოს სავალდებულო. ამასთან, განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის განმტკიცებისაკენ. განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ყველა ხალხის, რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფების ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობასა და მეგობრობას და გაერთია-

---

[50] საქართველოს კონსტიტუცია, 27-ე მუხლი.

[51] https://www.right-to-education.org/page/united-nations-instruments

ნებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობას მშვიდობის შესანარჩუნებლად. ამავე მუხლის თანახმად, მშობლებს აქვთ უპირატესი უფლება, აირჩიონ, თუ რა სახის განათლება სურთ თავიანთი შვილებისათვის.[52]

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია ევროპის საბჭოს ფარგლებში შემუშავდა, 1948 წლის ადამიანის საყოველთაო დეკლარაციის უმთავრესი პრინციპების გათვალისწინებით. იგი ხელმოსაწერად გაიხსნა 1950 წლის 4 ნოემბერს რომში, ძალაში კი შევიდა 1953 წლის ნოემბერში.[53] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია საქართველოში რატიფიცირებულ იქნა 1999 წლის 12 მაისს.[54] კონვენციასთან ერთად საქართველოში მოქმედებს კონვენციის დამატებითი ოქმები. წინამდებარე თემის ფარგლებში აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმი (პარიზი, 1952 წლის 20 მარტი), რომელიც ითვალისწინებს განათლების უფლებას. კერძოდ, მე-2 მუხლის თანახმად, არავის შეიძლება ეთქვას უარი განათლების უფლებაზე; ნებისმიერი ფუნქციის განხორციელებისას, რომელსაც სახელმწიფო კისრულობს განათლებასა და სწავლებასთან დაკავშირებით, ის პატივს სცემს მშობელთა უფლებას, უზრუნველყონ თავიანთი რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის შესაბამისი განათლება და სწავლება.[55]

იუნესკოს კონვენცია „განათლებაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ“ (UNESCO, ქ. პარიზი, 1960 წლის 14 დეკემბერი)

---

52 ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 26-ე მუხლი.

53 http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/130

54 „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპის კონვენციის რატიფიცირების თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 12 მაისის №1940–IIს დადგენილება.

55 "European Convention on Human Rights", Council of Europe, p.34.

საქართველოსთვის ძალაშია 1993 წლის 4 ნოემბრიდან.[56] ამ კონვენციასთან მიერთებით საქართველომ იკისრა ვალდებულება, აკრძალოს განათლების სფეროში ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია და უზრუნველყოს განათლების მიღების თანასწორი შესაძლებლობების დამკვიდრება.[57]

„ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტი „მიღებულია და ღიაა ხელმოსაწერად, სარატიფიკაციოდ და შესაერთებლად გენერალური ასამბლეის 1966 წლის 16 დეკემბრის 2200A(XXI) რეზოლუციით, ძალაშია: 1976 წლის 3 იანვრიდან, 27-ე მუხლის შესაბამისად."[58]

„ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ" საერთაშორისო „პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის განათლების მიღების უფლებას. ისინი თანხმდებიან, რომ განათლება მიმართულ იქნეს ადამიანის პიროვნებისა და მისი ღირსებების შემეცნების სრულად განვითარებისაკენ და განამტკიცებდეს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემას. ისინი ასევე თანხმდებიან, რომ განათლებამ ყველას უნდა მისცეს თავისუფალ საზოგადოებაში ქმედითი მონაწილეობის შესაძლებლობა, ყველა ერს, რასობრივ, ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფს შორის განავითაროს ურთიერთგაგება, შემწყნარებლობა და მეგობრობა და ხელი შეუწყოს გაერთიანებული ერების საქმიანობას მშვიდობის შესანარჩუნებლად. ამავე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ზემოაღნიშნული უფლების სრულად განხორციელებისათვის:

---

56 http://unesco.ge/?page_id=534

57 Convention against Discrimination in Education.

58 „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი".

ა) დაწყებითი განათლება უნდა იყოს ყველასათვის სავალდებულო და უფასოდ ხელმისაწვდომი;
ბ) საშუალო განათლების მიღება მისი სხვადასხვა ფორმით, ტექნიკური და პროფესიული საშუალო განათლების ჩათვლით, უნდა გახდეს საყოველთაოდ შესაძლებელი და ხელმისაწვდომი ყველა შესაფერისი საშუალებით, კერძოდ, უფასო განათლების თანდათანობით შემოღების გზით;
გ) უმაღლესი განათლება უნდა გახდეს ყველასათვის თანაბარი ხელმისაწვდომი თითოეულის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ყველა შესაფერისი საშუალებით და კერძოდ, უფასო განათლების თანდათან შემოღების გზით;
დ) ძირითადი განათლება უნდა წახალისდეს და გახდეს შეძლებისდაგვარად ინტენსიური იმ ადამიანებისათვის, რომელთაც არ მიუღიათ ან არ დაუსრულებიათ დაწყებითი განათლების სრული კურსი;
ე) აქტიურად გატარდეს ყველა საფეხურის სკოლათა სისტემის განვითარების პოლიტიკა, შეიქმნას სტიპენდიების შესაფერისი სისტემა და განუწყვეტლივ უმჯობესდებოდეს საგანმანათლებლო პერსონალის მატერიალური პირობები."[59]

ზოგადი განათლების სფეროში შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტები იყოფა ორ ჯგუფად: საკანონმდებლო აქტებად და კანონქვემდებარე აქტებად.

საკანონმდებლო აქტებიდან აღსანიშნავია **„ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი. „ზოგადი განათლების შესახებ"** საქართველოს კანონი საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა 2005 წლის 8 აპრილს.[60] „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში არსებული სამართლებრივი ნორმები შეეხება: ზოგადი განათლების სფე-

---

[59] იქვე, მე-13 მუხლი.
[60] https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=0

როში ტერმინთა განმარტებას; ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიზნებს; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ენას; ეროვნული სასწავლო გეგმის შედგენის პრინციპებს და ძირითად საკითხებს; ზოგადი განათლების არსს; დისტანციურ სწავლებას; ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობას; საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო წლის დაწყებას; მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს; ზოგადი განათლების მიღების უფლებას; მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლის გასაჩივრების უფლებას; ნეიტრალურობასა და არადისკრიმინაციულობას; გამოხატვის თავისუფლებას; შეკრების თავისუფლებას; გაერთიანების თავისუფლებას; პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას; რწმენის თავისუფლებას; სასკოლო დისციპლინას; ძალადობის დაუშვებლობას, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას; მასწავლებლის მიერ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას; მასწავლებლის პროფესიას; მასწავლებლის თანამდებობის სახეებს და მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს; მასწავლებლის განათლებას; მასწავლებლობის მაძიებელს; მასწავლებლის საქმიანობის დაწყებას და შეწყვეტას, მასწავლებლის პროფესიულ განვითარებას და კარიერულ წინსვლას; მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების რეგისტრაციას; სახელმწიფოს მიერ ზოგადი განათლების დაფინანსებას; დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების დაფინანსებას; ზოგადი განათლების სისტემის მართვას; საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილებას ზოგადი განათლების სფეროში; საქართველოს მთავრობის უფლებამოსილებას ზოგადი განათლების სფეროში; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უფლებამოსილებას ზოგადი განათლების სფეროში; საქართველოს სამინისტროების უფლებამოსილებას ზოგადი განათლების სფეროში; საჯა-

რო სამართლის იურიდიული პირის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დაფუძნებასა და მის უფლებამოსილებებს; საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დაფუძნებასა და მის უფლებამოსილებებს; საჯარო სამართლის იურიდიული პირის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დაფუძნებასა და მის უფლებამოსილებებს; აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროთა უფლებამოსილებებს ზოგადი განათლების სფეროში; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს უფლებამოსილებას ზოგადი განათლების სფეროში; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტიპებს; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციას და აკრედიტაციას; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვალდებულებებს და უფლებამოსილებებს; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების რეორგანიზაციას და ლიკვიდაციას; საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საქართველოში განხორციელებას; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის პრინციპებს; კანონმდებლობისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტების შესრულებისათვის, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესისა და ფინანსების მიზნობრივი ხარჯვისათვის პასუხისმგებლობას; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურას; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ინტერესთა კონფლიქტს; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სამეურვეო საბჭოს შემადგენლობას და უფლებამოსილების ვადას; სამეურვეო საბჭოს ფუნქციებს; სამეურვეო საბჭოს არჩევის წესს; სამეურვეო საბჭოს წევრისა და სამეურვეო საბჭოსათვის უფლებამოსილების შეწყვეტას; ზოგადსაგანმანათლებლო და-

წესებულების დირექციის სტრუქტურას; დირექტორისათვის წაყენებულ მოთხოვნებს, დირექტორის არჩევის წესს; დირექტორის ფუნქციებს; დირექტორისთვის უფლებამოსილების შეწყვეტას; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგიური საბჭოს შემადგენლობას; პედაგოგიური საბჭოს ფუნქციებს; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეთა თვითმმართველობის არსს; მოსწავლეთა თვითმმართველობის ფუნქციებს; საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის შექმნას; საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურისა და მანდატურის სამსახურის უფროსისათვის წაყენებულ მოთხოვნებს; საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის უფლება-მოვალეობებს; საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამართლებრივ დაცვას; საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სოციალურ დაცვას; საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის მიერ ფიზიკური ძალის გამოყენების შემთხვევებსა და წესს; არასრულწლოვნის გადამისამართების (რეფერალის) წესს; არასრულწლოვნის მიმართ გადამისამართების ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებას; არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული გადამისამართების ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილების გადასინჯვას; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმწიფო კონტროლს, ქონებას, დაფინანსებას, ანგარიშგებასა და ბუღალტრულ აღრიცხვას; ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას; პასუხისმგებლობას ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში შეტანილი ინფორმაციის სისწორისა და სისრულისათვის; გარდამავალ და დასკვნით დებულებებს."[61]

ზოგადი განათლების სფეროში კანონქვემდებარე აქტები იყოფა ორ ჯგუფად: ნორმატიულ და ინდივიდუალურ ადმინის-

[61] „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი.

ტრაციულსამართლებრივ აქტებად, რომლებსაც კანონის საფუძველზე და მათ შესასრულებლად გამოსცემენ შესაბამისი უფლებამოსილი პირები, კერძოდ:

საქართველოს მთავრობა:

ა) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ წარდგენიდან ერთი თვის ვადაში იღებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტს და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს პარლამენტს;

ბ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს:

ბ.ა) ერთ მოსწავლეზე გათვლილ ფინანსურ ნორმატივებს და მათი შესაბამისი სტანდარტული და გაზრდილი ვაუჩერების ოდენობებს;

ბ.ბ) შესაბამისი მიზნობრივი პროგრამის/პროგრამების ფარგლებში კერძო სკოლის დაფინანსების წესსა და პირობებს;

ბ.გ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემას;

გ) ადგენს ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის გაცემის საფასურებს დაჩქარებული წესით გაცემისა და დუბლიკატის გაცემისათვის;

დ) ამტკიცებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ უცხო ქვეყნის იმ უფლებამოსილ ინსტიტუტთან ხელშეკრულების გაფორმების კრიტერიუმებსა და სტანდარტებს, რომელიც ახორციელებს საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აღიარებას.[62]

---

[62] იქვე, 25-ე მუხლი.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

ა) ამტკიცებს ეროვნულ სასწავლო გეგმას;

ბ) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის დამადასტურებელი დიპლომის მისაღებად ამტკიცებს იმ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების შეფასების ფორმას, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, და პროგრამას;

გ) ამტკიცებს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებასა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებასა და საფასურებს;

დ) ამტკიცებს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესსა და პირობებს;

ე) ამტკიცებს ვაუჩერის გაცემისა და გადატანის წესს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ერთად;

ვ) ამტკიცებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში გადაყვანის დებულებას;

ზ) ამტკიცებს ალტერნატიული ფორმით განათლების მიღების დებულებას;

თ) ამტკიცებს ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესებს, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმს;

ი) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით აფუძნებს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს და ამტკიცებს მის წესდებას;

კ) ამტკიცებს უცხოეთში მიღებული სრული ზოგადი განათლების ან სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების აღიარებისა და საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურების წესსა და საფასურს;

ლ) ამტკიცებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესს;

მ) ამტკიცებს ეროვნული შეფასებების ჩატარების განრიგს;

ნ) ამტკიცებს ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის ჩატარების წესს. სამინისტრო უფლებამოსილია, ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადასთან დაკავშირებით დაადგინოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულისგან განსხვავებული ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენისა და განხილვის ვადები და წესი;

ო) ამტკიცებს სკოლების ბრენდირების ჩატარების წესს. სამინისტრო უფლებამოსილია, სკოლების ბრენდირებასთან დაკავშირებით დაადგინოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულისგან განსხვავებული ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენისა და განხილვის ვადები და წესი;

პ) ამტკიცებს იმ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესს, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. სამინისტრო უფლებამოსილია, ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით დაადგინოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულისგან განსხვავებული ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენისა და განხილვის ვადები და წესი;

ჟ) ამტკიცებს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესს";

რ) ამტკიცებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესსა და საფასურს. სამინისტრო უფლებამოსილია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირებასთან დაკავშირებით დაადგინოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულისგან განსხვავებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა;

ს) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარდგინებით ამტკიცებს:

ს.ა.) მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს;

ს.ბ.) მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსს;

ს.გ.) მასწავლებლობის მაძიებელთა რეგისტრაციისა და მაძიებლობის პერიოდის გავლის წესს, აგრეთვე მაძიებლობის პერიოდის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ნიმუშს და მისი გაცემის წესს;

ს.დ.) მოსწავლის ქცევის კოდექსს;

ს.ე.) დირექტორის ეთიკის კოდექსს;

ს.ვ.) ამტკიცებს წარმატებული მასწავლებლის წოდების მინიჭებისა და მასწავლებლის დაჯილდოების წესს;

ტ) ამტკიცებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალის ფორმას;

უ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად ამტკიცებს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტს;

ფ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სა-

მინისტროსთან ერთად ამტკიცებს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესს;

ქ) ამტკიცებს საჯარო სკოლების დირექტორებისა და არჩევითი ორგანოების წევრების რეგისტრაციის წესს;

ღ) ამტკიცებს საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალურ ოდენობასა და პირობებს, ამტკიცებს სკოლების მიერ მასწავლებელთან დადებული შრომითი ხელშეკრულებების სავალდებულო პირობებს;

ყ) ამტკიცებს მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესს;

შ) ამტკიცებს მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების რეგისტრაციის დებულებასა და საფასურს;

ჩ) ამტკიცებს ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის ფორმას; საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით ამტკიცებს ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის გაცემის წესს;

ც) ამტკიცებს საჯარო სკოლისთვის სახელის მინიჭების წესს;

ძ) ამტკიცებს მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების აღრიცხვის წესს;

წ) ამტკიცებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხას;

ჭ) ამტკიცებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესსა და პირობებს;

ხ) ამტკიცებს ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულებას;

ჯ) და სხვ.[63]

---

[63] იქვე, 26-ე მუხლი.

ზოგადი განათლების სფეროში **ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტების გამოცემაზე** უფლებამოსილი პირები არიან საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი, შესაბამისი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელები (მაგ.: სკოლის დირექტორი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დირექტორი და სხვ.).

ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი სამართლებრივი აქტები არაა სრულყოფილი ჩამონათვალი იმ სამართლებრივი აქტებისა, რომლებიც ქმნიან ზოგადი განათლების სამართალს, თუმცა ისინი წარმოადგენენ იმ საკანონმდებლო ბაზას, რომლებიც არეგულირებენ ზოგად განათლებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ურთიერთობებს.

შეამოწმე შენი ცოდნა:

ტესტი 1. საქართველოში ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნებია:

ა) მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობა;

ბ) მასწავლებლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა;

გ) „ა" და „ბ";

დ) ყველა პასუხი არასწორია.

ტესტი 2. ზოგადი განათლების სფეროში საქართველოს კანონმდებლობა უნდა შეესაბამებოდეს:

ა) საქართველოს კონსტიტუციას;

ბ) „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონს;

გ) „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს";

დ) „საქართველოს სამოქალაქო კოდექსს".

ტესტი 3. ზოგადი განათლების სფეროში ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტების გამოცემაზე უფლებამოსილი პირია:

ა) სკოლის დირექტორი;

ბ) სამეთვალყურეო საბჭო;

გ) სკოლის სასწავლო ნაწილი;

დ) ყველა პასუხი არასწორია.

ტესტი 4. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია:

ა) გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო 1948 წელს;

ბ) გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო 1991 წელს;

გ) გაეროს გენერალურ ასამბლეას არ მიუღია;

დ) ყველა პასუხი არასწორია.

ტესტი 5. რომელი დებულებაა ჭეშმარიტი?

ა) ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია საქართველოში რატიფიცირებული არ არის;

ბ) ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია საქართველოში რატიფიცირებულია;

გ) მიმდინარეობს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის საქართველოში რატიფიცირების პროცესი;

დ) ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია საქართველოში რატიფიცირებულია 1890 წლიდან.

ტესტი 6. რომელი დებულებაა მცდარი:

ა) „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ" საერთაშორისო „პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ დაწყებითი განათლება უნდა იყოს ყველასათვის სავალდებულო და უფასოდ ხელმისაწვდომი;

ბ) „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ" საერთაშორისო „პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ უმაღლესი განათლება უნდა გახდეს ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომი, თითოეულის შესაძლებლობებიდან გამომდინარე;

გ) „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ" საერთაშორისო „პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ძირითადი განათლება უნდა წახალისდეს და გახდეს შეძლებისდაგვარად ინტენსიური იმ ადამიანებისათვის, რომელთაც არ მიუღიათ ან არ დაუსრულებიათ დაწყებითი განათლების სრული კურსი;

დ) „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ სრული ზოგადი განათლება უნდა იყოს ყველასათვის სავალდებულო და უფასოდ ხელმისაწვდომი.

ტესტი 7. ზოგადი განათლების სფეროში შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტები იყოფა:

ა) საკანონმდებლო აქტებად;
ბ) კანონქვემდებარე აქტებად;
გ) საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებად;
დ) ყველა პასუხი არასწორია.

ტესტი 8. ზოგადი განათლების სფეროში კანონქვემდებარე აქტები:

ა) იყოფა ორ ჯგუფად;

ბ) იყოფა სამ ჯგუფად;

გ) იყოფა ოთხ ჯგუფად;

დ) მხოლოდ ერთი ჯგუფისაა.

ტესტი 9. საქართველოს მთავრობა:

ა) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ წარდგენიდან ერთი თვის ვადაში იღებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტს და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს პრემიერმინისტრს;

ბ) სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს მოსწავლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემას;

გ) სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს მოსწავლეთა რაოდენობას;

დ) ყველა პასუხი არასწორია.

ტესტი 10. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო:

ა) ამტკიცებს ეროვნულ სასწავლო გეგმას;

ბ) ამტკიცებს სასწავლო ნაწილის ეთიკის კოდექსს;

გ) „ა" და „ბ" პასუხებია სწორი;

დ) ამტკიცებს საჯარო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობას.

ტესტების სწორი პასუხები:									
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ა	ა	ა	ა	გ	დ	გ	ა	დ	ა

თავი V

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ცნება

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა არის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო იურიდიული პირი[64], რომელიც საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მიერ განსაზღვრული წესით არის ავტორიზებული და ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და სრულად მოიცავს ზოგადი განათლების ერთ საფეხურს მაინც; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ასევე განეკუთვნება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნილი იურიდიული პირი, რომელიც საქართველოში ახორციელებს საზღვარგარეთ აღიარებულ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას.[65]

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა შეიძლება იყოს საჯარო სკოლა ან კერძო სკოლა. საჯარო სკოლას მიეკუთვნება საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება[66], რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო სკოლას. ხოლო კერძო სკოლას მიეკუთვნება კერძო სამართლის იურიდიული პირის სახით

---

[64] იქვე, 31-ე მუხლი.

[65] იქვე, მე-2 მუხლის ჟ პუნქტი, 34^1-ე მუხლი.

[66] იქვე, მე-2 მუხლის ჯ პუნქტი.

დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება[67], რომელიც, ძირითადად, წარმოადგენს არასახელმწიფო სკოლას, თუმცა კერძო სამართლის იურიდიული პირის სახით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება შეიძლება განეკუთვნებოდეს სახელმწიფო სკოლას, იმ შემთხვევაში, თუ ის დაფუძნებულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახით.

სკოლის მიზანია:

ა) ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა;

ბ) მოზარდის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, მოსწავლეთა ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, მოსწავლის მიერ ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელშეწყობა.[68]

დასახულ მიზნებსა და დაკისრებულ ფუნქციებს სკოლა ახორციელებს სპეციალური უფლებაუნარიანობის ფარგლებში. იგი საკუთარი სახელით იძენს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და გამოდის სასამართლოში მოსარჩელედ და

---

[67] იქვე, მე-2 მუხლის ქ პუნქტი.

[68] „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სკოლის წესდება, მე-2 მუხლი.

მოპასუხედ. საჯარო სკოლას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მრგვალი ბეჭედი, არაუმეტეს ორი საბანკო ანგარიში და საჯარო სამართლის იურიდიული პირის სხვა ატრიბუტიკა.[69]

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღებას დაწყებით ან/და საბაზო ან/და საშუალო საფეხურზე[70] და ვალდებულია:

ა) მოსწავლეებს მიაწოდოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი განათლება, რომელიც ეფუძნება ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, ჯანსაღი ცხოვრების, დემოკრატიისა და თანასწორობის პრინციპებს;

ბ) შექმნას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის საჭირო ყველა პირობა;

გ) დაიცვას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილი ეროვნული სასწავლო გეგმა;

დ) ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობა განახორციელოს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით ან/და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებული სახელმძღვანელოებით. სახელმძღვანელოს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმების წესი და ვადები განისაზღვრება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით;

ე) უზრუნველყოს ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების განხორციელება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად;

---

69 იქვე, 1-ელი მუხლი.

70 „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

ვ) შექმნას ზოგადი განათლების ალტერნატიული ფორმებით მიღების შესაძლებლობა, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, შესაბამისი საფეხურის სხვა მოსწავლეთაგან განცალკევებით;

ზ) შექმნას ინკლუზიური განათლების განხორციელების პირობები;

თ) არ დაუშვას არამეცნიერული შეხედულების ან თეორიის, როგორც მეცნიერული თეორიის ან ფაქტის, სწავლება;

ი) ჰქონდეს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;

კ) უზრუნველყოს სასკოლო დროს სკოლის ტერიტორიაზე მყოფი მოსწავლის უსაფრთხოება;

ლ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს მასწავლებლობის მაძიებელი სკოლაში;

მ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარუდგინოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებული მასწავლებლების პერსონალური მონაცემები, აგრეთვე ინფორმაცია სკოლაში არსებული მასწავლებლებისა და მასწავლებლობის მაძიებლების ვაკანსიების შესახებ;

ნ) მის ხელთ არსებული რესურსების ფარგლებში ხელი შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას, მათ შორის, პროფესიული მზადების პროგრამაში მათი მონაწილეობის ხარჯების დაფინანსების ან თანადაფინანსების გზით;

ო) ფორმალურ განათლებაში პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სისტემის ფარგლებში უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება;

პ) ხელი შეუწყოს პირის/მოსწავლის ეფექტიან ტრანზიციას;

ჟ) მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვისა და მათი სრულყოფილი განვითარებისათვის უზრუნველყოს ზოგადსაგანმა-

ნათლებლო დაწესებულებაში/სკოლაში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია:

ა) შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოს იმ მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურება, რომლებსაც არ აქვთ დამოუკიდებლად დაწესებულებამდე მისვლის და შინ დაბრუნების საშუალება;

ბ) მოსთხოვოს საქართველოს კანონმდებლობითა და დაწესებულების წესდებით დადგენილი მოთხოვნების შესრულება ამ დაწესებულების მასწავლებლებს, სხვა თანამშრომლებს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს;

გ) უზრუნველყოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/სკოლის ტერიტორიაზე კვების უსაფრთხო პირობების შექმნა;

დ) უზრუნველყოს მოსწავლეები სასკოლო ბიბლიოთეკით, რომელიც ეფუძნება მოსაზრებათა პლურალიზმს და უზრუნველყოფს მოსწავლის ყოველმხრივ განვითარებას, მის მიერ ქვეყნის თვითმყოფადობის, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისა და კულტურული მრავალფეროვნების შეთვისებას;

ე) მასწავლებლის პროფესიული განვითარების დონის შესაბამისად მიიღოს ზომები მისი შრომის ანაზღაურების გაზრდის მიზნით.

საჯარო სკოლას უფლება აქვს, მშობლებთან შეთანხმებით შესთავაზოს მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი ფასიანი საგანმანათლებლო მომსახურება იმ შემთხვევაში, თუ:

ა) შესაბამის მოსწავლეს ამ მომსახურებას არ გაუწევს ამავე სკოლაში დასაქმებული მასწავლებელი;

ბ) ამ მომსახურებას არ აქვს გაკვეთილის სახე;

გ) შესაბამის მოსწავლეს ეს მომსახურება არ გაეწევა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული აუცილებელი დატვირთვის ფარგლებში.

საჯარო სკოლას უფლება აქვს, მოსწავლეებს მიაწოდოს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო, მათ შორის, ფასიანი მომსახურება. საჯარო სკოლა ვალდებულია, უზრუნველყოს ასეთი მომსახურების თანაბარი ხელმისაწვდომობა დაწესებულების ყველა მოსწავლისათვის.[71]

საქართველოში დასაშვებია მხოლოდ იმ საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, რომლის აღიარებისთვისაც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს უცხო ქვეყნის უფლებამოსილ ინსტიტუტთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გასაფორმებელი ხელშეკრულების გაფორმების წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ უცხო ქვეყნის იმ უფლებამოსილ ინსტიტუტთან ხელშეკრულების გაფორმების წესითა და პირობებით, რომელიც ახორციელებს საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აღიარებას.[72]

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ხელშეკრულებას აფორმებს საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აღიარების განმახორციელებელ მხოლოდ უცხო ქვეყნის იმ უფლებამოსილ ინსტიტუტთან, რომელიც:

---

[71] იქვე, 33-ე მუხლი.

[72] იქვე, 34^1-ე მუხლი.

ა) ახდენს საკუთარი პროგრამების საერთაშორისოდ განხორციელების შეთავაზებას და გასცემს ამ პროგრამების განხორციელების უფლებას;
ბ) პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭებისათვის იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმებს;
გ) პროგრამის აღიარების პერიოდში მისი განხორციელების ადგილის მიხედვით უზრუნველყოფს გარე შეფასების სტანდარტების შემოწმებას/მონიტორინგის მექანიზმების გამოყენებას.

ხელშეკრულების საფუძველზე შესაძლებელია, აღიარებულ იქნეს მხოლოდ ის პროგრამა:
ა) რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
ბ) საზღვარგარეთ აღიარებული სტატუსის შენარჩუნების პარალელურად, საჭიროების შემთხვევაში, ექვემდებარება ადაპტირებას ეროვნული სპეციფიკის გათვალისწინებით;
გ) რომელსაც აქვს მოსწავლის შეფასების გამჭვირვალე და შედეგზე ორიენტირებული სისტემა;
დ) რომელიც ითვალისწინებს მასწავლებლის შეფასებისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობას.[73]

საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საქართველოში განხორციელების უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნილ იურიდიულ პირს, რომელზეც არ ვრცელდება „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის გათვალისწინებული მოთხოვნები, გარდა ამ კანონში საზღვარგარეთ აღიარებულ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამაზე პირდაპირი მითითების შემთხვევისა, კანონის II თავის (მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლის ძი-

[73] 2017 წლის 15 მარტის N130 საქართველოს მთავრობის დადგენილება.

რითადი უფლებები და თავისუფლებები) და XI[1] თავისა (ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა). ხოლო „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 (ზოგადი განათლების მიღების უფლება) და 21-ე (მასწავლებლის სხვა უფლებები და მოვალეობები) მუხლების მოქმედება ვრცელდება მათი შინაარსის გათვალისწინებით.

საქართველოში განხორციელებული საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შედეგად გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი გათანაბრებულია სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან და იძლევა განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას, ამასთანავე, აპოსტილით დამოწმებას ან ლეგალიზაციას არ საჭიროებს.[74]

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნება

იმისათვის, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა წარმოიქმნას, აუცილებელია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით დაფუძნდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ან კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირის, ან არასამეწარმეო იურიდიული პირის სახით და მოიპოვოს ავტორიზაცია.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნების უფლება აქვს:

ა) საჯარო სამართლის იურიდიული პირის და კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირის სახით საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს;[75]

ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (მხოლოდ იმ ზოგადსაგან-

---

[74] „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 34[1]-ე მუხლი.

[75] იქვე, 26-ე მუხლის 1-ელი პუნქტის ნ-ნ[1] ქვეპუნქტები.

მანათლებლო დაწესებულების, რომელიც ახორციელებს სამხედრო მომზადებასა და განათლებას);[76]

გ) კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახით საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ერთობლივად (მხოლოდ იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, რომელიც ზოგადი განათლების მიღებასთან ერთად უზრუნველყოფს პროფილურ სახელოვნებო და სასპორტო მომზადებასა და განათლებას);[77]

დ) კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო იურიდიული პირის სახით ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო უფლებამოსილია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დაფინანსების, მართვის წესის, სტრუქტურული ერთეულების, სასკოლო სასწავლო გეგმის, სახელმწიფო კონტროლის, ადამიანური რესურსებისთვის (მათ შორის, დირექტორისა და მასწავლებლისთვის) წასაყენებელი მოთხოვნების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით დააფუძნოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, დაამტკიცოს მისი წესდება[78] და განსაზღვროს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტიპი.[79]

თითოეული მოსწავლის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის) მიერ ზოგადი განათლების თავის საცხოვრებელ ადგილთან მაქსიმალურად ახლოს, სახელმწიფო ან მშობლიურ ენაზე მიღების უფლების რე-

---

[76] იქვე, 26-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

[77] იქვე, 27-ე მუხლის 1^1-ელი პუნქტი.

[78] იქვე, 26-ე მუხლის 1-ელი პუნქტის $ნ^2$ ქვეპუნქტი.

[79] იქვე, 31^1-ე მუხლი.

ალიზაციის მიზნით, საჯარო სკოლა ფუძნდება სახელმწიფო ქონების საფუძველზე და მის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, ხოლო აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე აგრეთვე შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტრო, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.[80]

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაცია[81]

ავტორიზაციის შედეგად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით, დაფუძნებული იურიდიული პირი მოიპოვებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსს და იგი უფლებამოსილია, გასცეს სახელმწიფოს მიერ აღიარებული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.[82] ავტორიზაცია არის განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმი, რომელსაც ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. ავტორიზაციის მიზანია დაწესებულების ინსტიტუციური შეფასება და მისი ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა. საავტორიზა-

---

80 „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სკოლის წესდება, 1-ელი მუხლის მე-3 პუნქტი.

81 „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება.

82 „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი, 32-ე მუხლის 1-ელი პუნქტი.

ციო შეფასება ხორციელდება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ და ეფუძნება დაწესებულების თვითშეფასებითა და საავტორიზაციო ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზს. ავტორიზაციის პროცესი უნდა იყოს სანდო, თანამიმდევრული და მისი შედეგები უნდა იყოს საჯარო.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისთვის იქმნება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის თაობაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს წევრებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრემიერმინისტრი. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს წევრთა უფლებამოსილება განისაზღვრება ორი წლის ვადით.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს წევრს შეიძლება უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდეს საქართველოს პრემიერმინისტრის ინიციატივით, ან:

ა) პირადი განცხადების საფუძველზე;

ბ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას;

გ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შემთხვევაში, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

დ) სხდომებზე სისტემატიურად გამოუცხადებლობის შემთხვევაში, თუკი ეს აფერხებს საბჭოს საქმიანობას;

ე) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს საქმიანობის წესისა და პრინციპების დარღვევის შემთხვევაში;

ვ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარდგინების საფუძველზე.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა დასტურდება საქართველოს პრემიერმინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით. უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში საქართველოს პრემიერმინისტრი საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარდგინებით ერთ თვეში ნიშნავს ახალ წევრს უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს წევრი საკუთარი ფუნქციების შესრულებისას უნდა იყოს დამოუკიდებელი, ობიექტური და მიუკერძოებელი. საბჭოს წევრმა უნდა შეინარჩუნოს ნეიტრალურობა ნებისმიერ სიტუაციაში და არ უნდა მოექცეს დაინტერესებული მხარეების გავლენის ქვეშ, მათი სტატუსის მიუხედავად. საბჭოს წევრმა არ უნდა გაასაჯაროოს და არ გამოიყენოს პირადი ინტერესისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოპოვებული ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია. საბჭოს წევრი ორიენტირებული უნდა იყოს თანამშრომლობაზე და არ უნდა ცდილობდეს პრივილეგირებულ პოზიციაში თავის წარმოდგენას; საჯაროდ ეჭვქვეშ არ უნდა აყენებდეს ექსპერტის, საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის, საბჭოს წევრისა და სააპელაციო საბჭოს წევრის კომპეტენტურობას, მიუხედავად იმისა, ეთანხმება, თუ არა მათ პოზიციას.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს წევრი ვალდებულია, საკითხის განხილვის დაწყებამდე განაცხადოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასთან არსებული ინტერესთა კონფლიქტისა და თვითაცილების შესახებ. ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა, თუ საბჭოს წევრი:

ა) თვითონ არის დაინტერესებული მხარე საქმეში;

ბ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია;

გ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია;
დ) იყო ექსპერტი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით;
ე) იყო მედიატორი იმავე საქმეზე ან ამ საქმესთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეზე;
ვ) შრომით ურთიერთობაშია საქმეში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან;
ზ) თვითონ ან მისი ოჯახის წევრი ფლობს აქციებს/წილებს იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომლის ავტორიზაციის საკითხიც განიხილება;
თ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ოჯახის წევრია.

ინტერესთა კონფლიქტის მიზნებისათვის ნათესავად ითვლება:
ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;
ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;
გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;
დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

ინტერესთა კონფლიქტის არსებობისას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს წევრი არ მონაწილეობს საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხის განხილვის, გადაწყვეტილების მიღებისა და კენჭისყრის პროცესებში. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს წევრი ასევე არ არის უფლებამოსილი, რომ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინოს დაინტერესებული მხარის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
ა) საავტორიზაციო განაცხადის წარდგენას;
ბ) საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლად ცნობას;

გ) ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნას;
დ) ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ თვითშეფასების ფორმისა და თანდართული დოკუმენტაციის წინასწარ შესწავლას და ვიზიტის დღის წესრიგის შემუშავებას;
ე) საავტორიზაციო ვიზიტის განხორციელებას;
ვ) ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის შედგენასა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენას;
ზ) ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის დაწესებულებისთვის გაცნობას;
თ) ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენას დასკვნის პროექტში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით;
ი) ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის საბოლოო სახით ჩამოყალიბებას და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენას;
კ) ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის დაწესებულებისთვის გაცნობას;
ლ) საავტორიზაციო განაცხადის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესაბამისი ავტორიზაციის საბჭოს წევრებისთვის გაგზავნას;
მ) ავტორიზაციის საკითხზე ზეპირი მოსმენის გამართვასა და შესაბამისი ავტორიზაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას;
ნ) დასაბუთებული გადაწყვეტილების განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის მიერ გამოქვეყნებას.

ავტორიზაციის შესახებ ან ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ავტორიზაციის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის ოფიციალურად წარდგენიდან 180 კალენდარული დღის განმავლობაში.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მიზანია შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა. სტანდარტი არის სახელმწიფოს მიერ დაწესებული მოთხოვნა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები ეხება:

ა) სკოლის ფილოსოფიას;
ბ) სასკოლო კურიკულუმს;
გ) სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერას;
დ) მოსწავლეთა მხარდაჭერას.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის თითოეული სტანდარტი შედგება კომპონენტებისაგან, კერძოდ:

ა) სკოლის ფილოსოფიასთან დაკავშირებული სტანდარტი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:
   ა.ა) სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;
   ა.ბ) სკოლის დაგეგმვა და განვითარება.
ბ) სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებული სტანდარტი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:
   ბ.ა) კურიკულუმის შემუშავება;
   ბ.ბ) კურიკულუმის განხორციელება;
   ბ.გ) კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება;
   ბ.დ) კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია.

გ) სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქ-ტურულ მხარდაჭერასთან დაკავშირებული სტანდარტი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:
   - გ.ა) პერსონალის მართვა;
   - გ.ბ) პერსონალის განვითარება;
   - გ.გ) პროცესების მართვა;
   - გ.დ) ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება;
   - გ.ე) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა;
   - გ.ვ) საინფორმაციო რესურსები;
   - გ.ზ) ფინანსური რესურსები.

დ) მოსწავლეთა მხარდაჭერასთან დაკავშირებული სტანდარ-ტი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:
   - დ.ა) მოსწავლეთა უფლებების დაცვა;
   - დ.ბ) მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მო-პოვების მიზნით, საავტორიზაციო განაცხადი შეტანილ უნდა იქნეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენ-ტრში და მას უნდა დაერთოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწე-სებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობისა და ავტორიზაციის განაცხადის განხილვის საფასურის გადახ-დის დამადასტურებელი დოკუმენტები. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს საავტორიზაციო განაცხადის შესაბამისობას დადგე-ნილ მოთხოვნებთან. ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, ცენ-ტრი განმცხადებელს განუსაზღვრავს არანაკლებ 5 და არაუმე-ტეს 15 სამუშაო დღის ვადას ხარვეზის გამოსასწორებლად. დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოსწორების შემთხვევაში, გა-ნათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი გამოს-ცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულსამართლებრივ აქტს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებ-ლად ცნობის შესახებ, ხოლო ამავე ვადაში ხარვეზის გამოუს-წორებლობის შემთხვევაში – ინდივიდუალურ ადმინისტრაცი-

ულსამართლებრივ აქტს განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ. ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი დაწესებულების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლად ცნობის შესახებ გამოიცემა განაცხადის წარმოდგენიდან ან ხარვეზის გამოსწორებიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღის ვადაში. თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი მაძიებლად ცნობის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში არ გადაიხდის ავტორიზაციის საფასურს, ცენტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულსამართლებრივ აქტს ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

ავტორიზაციის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 60 კალენდარული დღის განმავლობაში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულსამართლებრივ აქტს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელ დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში შედიან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის წევრები. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსი შედგება ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებისა და ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საგნობრივი ექსპერტებისგან. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი არ შეიძლება იყოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომელი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში კალენდარული წლის განმავლობაში დასაქმებულია 3 თვეზე ნაკ-

ლები ვადით კონკრეტული მოცულობის სამუშაოს შესასრულებლად. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტი ვალდებულია, განაცხადოს თვითაცილება, თუ მას აქვს ინტერესთა კონფლიქტი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელ იმ დაწესებულებასთან, რომელშიც უნდა განახორციელოს ვიზიტი. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს ხელმძღვანელობს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი დაწესებულება უფლებამოსილია, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტის/ექსპერტების აცილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელ დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი დაწესებულება ვალდებულია, დაასაბუთოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტის/ექსპერტების აცილება. აცილების საფუძველი შეიძლება გახდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარესთან ან/და წევრთან ინტერესთა კონფლიქტი. ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესით და/ან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი გარემოებების არსებობა. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი აცილების განცხადებას განიხილავს 3 სამუშაო დღის ვადაში და აცილების განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას ექსპერტთა ჯგუფის

შემადგენლობის ცვლილების შესახებ. ავტორიზაციის ექსპერტის/ექსპერტების აცილების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი იმავე შემადგენლობით აგრძელებს საქმიანობას.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თითოეულ წევრს უგზავნის შემოსულ საავტორიზაციო განაცხადს. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე საავტორიზაციო განაცხადის შესწავლისა და ავტორიზაციის სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით, უზრუნველყოფს ჯგუფის წევრებს შორის მოვალეობების განაწილებას. საავტორიზაციო ვიზიტის განხორციელებამდე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შეისწავლის საავტორიზაციო განაცხადს, რომლის საფუძველზეც შეიმუშავებს ვიზიტის დღის წესრიგს და ათანხმებს მას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, რომელიც უგზავნის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას დღის წესრიგის საბოლოო ვერსიას. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი საავტორიზაციო ვიზიტამდე მართავს ექსპერტთა მოსამზადებელ შეხვედრას, რომლის ფარგლებში დასკვნის შესადგენად ადგენს ვიზიტის ფარგლებში დამატებით შესასწავლ საკითხებს.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ვიზიტის დროს უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის მოვალეობების განაწილებას. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი მონაწილეობს ჯგუფის მუშაობაში, უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა შერჩევის, საქ-

მიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულებას. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტი წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით ვალდებულია, საავტორიზაციო ვიზიტის ფარგლებში შეისწავლოს ყველა საკითხი დასკვნის შესადგენად, მათ შორის, ჩაატაროს დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუირება, საჭიროების შემთხვევაში, გამოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია, მოახდინოს ვიზუალური დათვალიერება და ასევე საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს დღის წესრიგით გაუთვალისწინებელი აქტივობები. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, ხელი შეუწყოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს საავტორიზაციო ვიზიტის განხორციელებასა და შესაბამისი დასკვნის მომზადებაში, წარუდგინოს მათ ავტორიზაციის მიზნებისათვის საჭირო დამატებითი დოკუმენტაცია და უზრუნველყოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილ პირებთან ინტერვიუირება. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტის ბოლო დღეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას წარუდგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ძირითად მიგნებებს.

იმ შემთხვევაში, თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში ასახული შეფასება კონკრეტულ სტანდარტთან/სტანდარტებთან მიმართებით განსხვავდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასებისაგან და დაწესებულება იზიარებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინოს სტანდარტთან/სტანდარტებთან

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა ან/და შესაბამისობის მტკიცებულებები. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი უფლებამოსილია, აღნიშნული გაითვალისწინოს საბოლოო დასკვნის ჩამოყალიბებისას.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ფასდება ოთხდონიანი სკალით: „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს" და „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს".

საავტორიზაციო განაცხადის შესწავლისა და საავტორიზაციო ვიზიტის შედეგად დგება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი და წარედგინება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, რომელიც გასაცნობად უგზავნის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის გაცნობიდან 10 კალენდარული დღის ვადაში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წერილობით წარადგენს არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელიც ეგზავნება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს. არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის შემთხვევაში, მისი გაცნობის შემდგომ ან არგუმენტირებული პოზიციის წარუდგენლობის შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი აყალიბებს დასკვნას საბოლოო სახით და წარუდგენს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული დასკვნა მოიცავს ინფორმაციას

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არგაზიარების არგუმენტაციის თაობაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი უგზავნის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საავტორიზაციო დოკუმენტაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე. ზეპირი მოსმენის შესახებ დაინტერესებულ მხარეს ეცნობება ზეპირი მოსმენის გამართვამდე არანაკლებ 7 კალენდარული დღით ადრე. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია, მონაწილეობა მიიღოს ზეპირ მოსმენაში.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას უძღვება საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში – მოადგილე, ხოლო საბჭოს თავმჯდომარისა და მოადგილის არყოფნის შემთხვევაში – დამსწრეთა უმრავლესობით განსაზღვრული საბჭოს წევრი. საბჭოს მდივნის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის ფუნქციებს, სხდომის თავმჯდომარის დავალებით, ასრულებს საბჭოს ერთ-ერთი წევრი. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა.

ზეპირი მოსმენის გამართვამდე, განსახილველ საკითხზე არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების სრულყოფილად შესწავლისა და შეფასების მიზნით, საბჭოს თითოეული წევრი ვალდებულია, წინასწარ შეისწავლოს წარდგენილი დო-

კუმენტაცია. საბჭოს წევრი უფლებამოსილია, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია და მისი შესწავლის მიზნით საბჭო უფლებამოსილია, გადადოს საკითხის განხილვა ადმინისტრაციული წარმოების დარჩენილი ვადების გათვალისწინებით. სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია, უზრუნველყოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა ზეპირ მოსმენაზე, სადაც ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს, განაცხადოს შუამდგომლობა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევასთან დაკავშირებით.

საბჭოს სხდომის ოქმი ფორმდება საბჭოს სხდომის ჩატარებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში საბჭოს თავმჯდომარისა და საბჭოს მდივნის ხელმოწერებით. საბჭოს სხდომის ოქმის საფუძველზე გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოს მდივანი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭო იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) ავტორიზაციის 9 წლით გავლის შესახებ;

ბ) ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ;

გ) ავტორიზაციის გაუქმების შესახებ;

დ) კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების განხორციელების უფლების ჩამორთმევის შესახებ;

ე) სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის ავტორიზაციის გაუქმების/ავტორიზაციაზე უარის თქმის/სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების გარემოების დადგომის

შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ფუნქციონირების მიზანშეწონილობის თაობაზე შუამდგომლობით საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთვის მიმართვის შესახებ.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭო ვალდებულია, დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. გადაწყვეტილებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭო იღებს ფარული კენჭისყრით და უზრუნველყოფილია კენჭისყრის შედეგების საჯაროობა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭო დაწესებულებას ზეპირ მოსმენაზე უცხადებს გადაწყვეტილებას, მისი ძალაში შესვლისა და გასაჩივრების წესს.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, განახორციელოს მხოლოდ საავტორიზაციო განაცხადში მითითებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, აგრეთვე ის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის განხორციელების უფლებაც მან ავტორიზაციის მოქმედების პერიოდში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოიპოვა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, დამოუკიდებელი იურიდიული პირის შექმნის გარეშე განახორციელოს მხოლოდ საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამა, პროფესიული მომზადების პროგრამა ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამა.

ავტორიზაციაზე უარის თქმის შემთხვევაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი ვერ მოიპოვებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსს, ხოლო ავტორიზაციის გაუქმების შემთხვევაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება კარგავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსს. ასეთ შემთხვევებში მოსწავლემ უნ-

და ისარგებლოს მობილობის უფლებით, ან მას შეუჩერდება მოსწავლის სტატუსი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულება მოწმდება გეგმური და/ან არაგეგმური მონიტორინგის გზით, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულების ინიციატივით. გეგმური მონიტორინგი ხორციელდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით და/ან განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინიციატივით. არაგეგმური მონიტორინგი ხორციელდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შესრულებასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის საფუძველზე და/ან განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინიციატივით. მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა განისაზღვრება 90 კალენდარული დღით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემიდან.

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების რეორგანიზაციის შედეგად შესაძლებელია სკოლების შერწყმა/მიერთება/გაერთიანება ან სკოლის გაყოფა/დაყოფა/გამოყოფა, ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული სკოლის სამართლებრივი ფორმის შეცვლა, თუ იგი საჯარო სამართლის იურიდიულ პირად გარდაიქმნება, ან სამეწარმეო იურიდიული პირის სამართლებრივი

ფორმით დაფუძნებული სკოლის სხვა სამართლებრივი ფორმის სამეწარმეო იურიდიულ პირად გარდაქმნა.

საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფიზიკური ან/და ადამიანური რესურსების ოპტიმიზაციის აუცილებლობის შემთხვევაში, შეიძლება მოხდეს საჯარო სკოლის რეორგანიზაცია, რომელსაც ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო. საჯარო სკოლის რეორგანიზაცია, რომელსაც ახლავს საჯარო სკოლების გაერთიანება/მიერთება ან ერთი საჯარო სკოლის გაყოფა/გამოყოფა იწვევს რეორგანიზებული საჯარო სკოლების მართვის ორგანოების უფლებამოსილებათა შეწყვეტას. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი რეორგანიზებულ საჯარო სკოლაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დირექტორის არჩევამდე ნიშნავს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, რომელიც სამეურვეო საბჭოს არჩევამდე უფლებამოსილია, განახორციელოს სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილებანი, გარდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ განსაზღვრული შემთხვევებისა.[83]

კერძო სკოლის რეორგანიზაცია ხორციელდება „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით, მეწარმე სუბიექტისთვის დადგენილი ნორმების შესაბამისად.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც რეორგანიზაციის შედეგად მიუერთდა სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, ითვლება ავტორიზებულად რეორგანიზებული დაწესებულებებისათვის განსაზღვრული ავტორიზაციის ვადებიდან დარჩენილი უმცირესი ვადით, ხოლო თუ ეს ვადა ერთ წელზე ნაკლებია, ერთი წლის ვადით. მიერთების შედეგად ჩამოყალიბებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეთა ადგილებისა და ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის რაოდენობა შეადგენს რეორგანიზაციამდე არ-

---

[83] „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლი.

სებული რაოდენობების ჯამს, რაც აისახება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომლისგანაც გამოიყოფა სხვა დაწესებულება, ითვლება ავტორიზებულად ავტორიზაციის დარჩენილი ვადით. იგი ვალდებულია, კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოყოფის პროცესის დასრულებიდან 5 დღის ვადაში აღნიშნულის თაობაზე მიაწოდოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ინფორმაცია. აღნიშნული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ექვემდებარება მონიტორინგს, თუ ავტორიზაციის დარჩენილი ვადა 6 თვეს აღემატება. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასთან გაერთიანების ან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დაყოფის შემთხვევაში, რეორგანიზაციის შედეგად წარმოქმნილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, გაიაროს ავტორიზაცია.[84]

საჯარო სკოლის ლიკვიდაციას ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, თუ დაწესებულების საქმიანობა ანტიკონსტიტუციურია, ან დაწესებულება არსებითად გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე, ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. საჯარო სკოლის საქმიანობის შეწყვეტის – ლიკვიდაციის აქტი არ შეიძლება იყოს დაფუძნების აქტზე ნაკლები იურიდიული ძალის მქონე. თუ ეს მოთხოვნა დაცული არ არის, საჯარო სკოლა აგრძელებს არსებობას.[85] ლიკვიდაციის პროცესის განსახორციელებლად საქართველოს განათლების,

---

[84] „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ავტორიზაციის დებულების 24-ე მუხლი.

[85] საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ საქართველოს კანონი, მე-16 მუხლი.

მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ ინიშნება ლიკვიდატორი, რომელიც შეიძლება იყოს ამავე სკოლის დირექტორი. საჯარო სკოლის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება სრულად გადადის სახელმწიფო საკუთრებში.[86]

საჯარო სკოლის ლიკვიდაცია იწვევს ლიკვიდირებული საჯარო სკოლის მართვის ორგანოების უფლებამოსილებათა შეწყვეტას.

კერძო სკოლის ლიკვიდაცია ხორციელდება „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით, მეწარმე სუბიექტისთვის დადგენილი ნორმების შესაბამისად[87], კერძოდ, კერძო სკოლის დაშლის რეგისტრაცია იწვევს კერძო სკოლის ლიკვიდაციის პროცესის დაწყებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კერძო სკოლის ქონების მიმართ დაწყებულია გადახდისუუნარობის საქმისწარმოება. ლიკვიდაციის პროცესში მყოფი კერძო სკოლა ინარჩუნებს იურიდიული პირის სტატუსს და იყენებს თავის საფირმო სახელწოდებას დამატებით „ლიკვიდაციის პროცესში". ლიკვიდაციის პროცესში მყოფი კერძო სკოლის ორგანოები ინარჩუნებენ თავიანთ უფლებამოსილებებს, გარდა ხელმძღვანელი პირებისა, რომლებსაც ლიკვიდატორების რეგისტრაციისთანავე უწყდებათ ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებები.

კერძო სკოლის ლიკვიდაციის პროცესს ერთობლივად ხელმძღვანელობენ ხელმძღვანელი პირები, რომლებიც ინიშნებიან ლიკვიდატორებად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წესდება ან საერთო კრების გადაწყვეტილება ლიკვიდატორებად სხვა

---

86 „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სკოლის წესდება, 21-ე მუხლის მე-2-მე-3 პუნქტები.

87 იხ. „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი.

პირების დანიშვნას ითვალისწინებს. კერძო სკოლის იძულებითი დაშლის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე კერძო სკოლის ლიკვიდაციას ახორციელებს სასამართლოს მიერ განსაზღვრული პირი. ლიკვიდატორი უნდა აკმაყოფილებდეს სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი პირისთვის წაყენებულ მოთხოვნებს. საერთო კრება უფლებამოსილია, ნებისმიერ მომენტში გაათავისუფლოს ლიკვიდატორი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ლიკვიდატორი სასამართლოს მიერ არის დანიშნული.

ხელმძღვანელი პირი ვალდებულია, მარეგისტრირებელ ორგანოს მიმართოს განცხადებით ლიკვიდატორების რეესტრში რეგისტრაციის შესახებ. მარეგისტრირებელი ორგანოსთვის ამ განცხადებით მიმართვის უფლება აქვს პარტნიორს. განცხადებას უნდა ერთვოდეს დოკუმენტი ლიკვიდატორის დანიშვნის ან გათავისუფლების და მისი უფლებამოსილების შესახებ, ლიკვიდატორის ხელმოწერის ნიმუში, ხოლო თუ ლიკვიდატორი ხელმძღვანელი პირი არ არის – აგრეთვე ლიკვიდატორის თანხმობა. ლიკვიდატორის ან მისი უფლებამოსილების ყოველი ცვლილებისას ცვლილების რეესტრში რეგისტრაციის შესახებ განცხადებას წარადგენენ ლიკვიდატორები.

თუ წესდებით სხვა წესი არ არის დადგენილი, ლიკვიდაციის პროცესში მყოფი კერძო სკოლის ქონება ნაწილდება პარტნიორთა შორის მათ წილებთან დაკავშირებული უფლებების შესაბამისად. თუ შენატანები სრულად არ იყო განხორციელებული, თავდაპირველად ბრუნდება შენატანები ან მათი ღირებულება, ხოლო ნარჩენი ქონება ნაწილდება პარტნიორთა წილებთან დაკავშირებული უფლებების შესაბამისად. თუ ქონება შენატანების დასაბრუნებლად საკმარისი არ არის, ნარჩენი ქონება ნაწილდება წილებთან დაკავშირებული უფლებების შესაბამისად, ხოლო თუკი შენატანები სრულად არ იყო განხორციელებული – განხორციელებული შენატანების პროპორციულად.

ლიკვიდირებული კერძო სკოლის დოკუმენტაცია შენახული უნდა იქნეს მისი შექმნიდან 6 წლის განმავლობაში, ხოლო თუ ეს დოკუმენტაცია მოიცავს კერძო სკოლის მიერ დადებულ ხელშეკრულებას – ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლიდან 6 წლის განმავლობაში, უსაფრთხო ადგილზე, რომელსაც განსაზღვრავენ ლიკვიდატორები, ხოლო მათი შეუთანხმებლობის შემთხვევაში, ლიკვიდატორის ან პარტნიორის განცხადების საფუძველზე მას განსაზღვრავს სასამართლო. ყოფილ პარტნიორებსა და კრედიტორებს შეუძლიათ, დაუბრკოლებლად გაეცნონ ამ დოკუმენტაციას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.

შეამონმე შენი ცოდნა:

ტესტი 1. რომელი დებულებაა ჭეშმარიტი?

ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა არის კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირი;

ბ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა არის კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიული პირი;

გ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნილი იურიდიული პირი, რომელიც საქართველოში ახორციელებს საზღვარგარეთ აღიარებულ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას;

დ) ყველა პასუხი სწორია.

ტესტი 2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/სკოლის ტერიტორიაზე კვების უსაფრთხო პირობების შექმნა;

ბ) უზრუნველყოს მოსწავლეები სასკოლო ბიბლიოთეკით, რომელიც ეფუძნება მოსაზრებათა პლურალიზმს და უზრუნველყოფს მოსწავლის ყოველმხრივ განვითარებას, მის მიერ ქვეყ-

ნის თვითმყოფადობის, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისა და კულტურული მრავალფეროვნების შეთვისებას;

გ) ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობა განახორციელოს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით ან/და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებული სახელმძღვანელოებით;

დ) ყველა პასუხი სწორია.

ტესტი 3. საჯარო სკოლას უფლება აქვს, მშობლებთან შეთანხმებით შესთავაზოს მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი ფასიანი საგანმანათლებლო მომსახურება იმ შემთხვევაში, თუ:

ა) შესაბამის მოსწავლეს ამ მომსახურებას არ გაუწევს ამავე სკოლაში დასაქმებული მასწავლებელი;

ბ) ამ მომსახურებას აქვს გაკვეთილის სახე;

გ) შესაბამის მოსწავლეს ეს მომსახურება არ გაეწევა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული აუცილებელი დატვირთვის ფარგლებში;

დ) შესაბამის მოსწავლეს ეს მომსახურება გაეწევა მშობლის მიერ არჩეულ დროს.

ტესტი 4. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ხელშეკრულებას აფორმებს საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აღიარების განმახორციელებელ მხოლოდ უცხო ქვეყნის იმ უფლებამოსილ ინსტიტუტთან, რომელიც:

ა) პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭებისათვის იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის მხოლოდ შიდა მექანიზმებს;

ბ) პროგრამის აღიარების პერიოდში მისი განხორციელების ადგილის მიხედვით უზრუნველყოფს შიდა შეფასების სტანდარტების შემოწმებას/მონიტორინგის მექანიზმების გამოყენებას;

გ) ახდენს საკუთარი პროგრამების საერთაშორისოდ განხორციელების შეთავაზებას და გასცემს ამ პროგრამების განხორციელების უფლებას;

დ) ყველა პასუხი სწორია.

ტესტი 5. რომელი დებულებაა ჭეშმარიტი?

ა) საქართველოში განხორციელებული საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შედეგად გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი გათანაბრებულია სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან, თუმცა არ იძლევა საქართველოში განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას;

ბ) საქართველოში განხორციელებული საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შედეგად გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი გათანაბრებულია საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან;

გ) საქართველოში განხორციელებული საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შედეგად გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი გათანაბრებულია სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან, თუმცა საჭიროებს ლეგალიზაციას;

დ) საქართველოში განხორციელებული საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შედეგად გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი გათანაბრებულია სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან და არ საჭიროებს ლეგალიზაციას.

ტესტი 6. იმისათვის, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა წარმოიქმნას, აუცილებელია:

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით დაფუძნდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით;

ბ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით, ავტორიზაციის მოპოვების გარეშე, დაფუძნდეს კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირის ან არასამეწარმეო იურიდიული პირის სახით;

გ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით, ავტორიზაციის მოპოვების გარეშე, დაფუძნდეს კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირის სახით;

დ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით დაფუძნდეს არასამეწარმეო იურიდიული პირის სახით და მოიპოვოს ავტორიზაცია.

ტესტი 7. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით, კონკრეტულ შემთხვევებში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნების უფლება აქვს:

ა) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს;

ბ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს;

გ) ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს;

დ) ყველა პასუხი სწორია.

ტესტი 8. რომელი დებულებაა ჭეშმარიტი?

ა) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო უფლებამოსილია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით დააფუძნოს კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირი;

ბ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ვალდებულია, განსაზღვროს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტიპი;

გ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო უფლებამოსილია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით დააფუძნოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

დ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ვალდებულია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით დააფუძნოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

ტესტი 9. რომელი დებულებაა ჭეშმარიტი?

ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნების უფლება აქვს კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირის სახით საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს;

ბ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნების უფლება აქვს კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიული პირის სახით საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ერთობლივად;

გ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნების უფლება აქვს კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიული პირის სახით საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ერთობლივად;

დ) ყველა პასუხი სწორია.

ტესტი 10. რომელი დებულებაა ჭეშმარიტი?

ა) თითოეული მოსწავლის (გარდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის) მიერ ზოგადი განათლების თავის საცხოვრებელ ადგილთან მაქსიმალურად ახლოს, სახელმწიფო ან მშობლიურ ენაზე მიღების უფლების რეალიზაციის მიზნით, საჯარო სკოლა ფუძნდება სახელმწიფო ქონების საფუძველზე;

ბ) თითოეული მოსწავლის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის) მიერ ზოგადი განათლების თავის საცხოვრებელ ადგილთან მაქსიმალურად ახლოს, სახელმწიფო ან მშობლიურ ენაზე მიღების უფლების რეალიზაციის მიზნით, საჯარო სკოლა ფუძნდება სახელმწიფო ქონების საფუძველზე;

გ) თითოეული მოსწავლის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის) მიერ ზოგადი განათლების მშობლიურ ენაზე მიღების უფლების რეალიზაციის მიზნით, საჯარო სკოლა ფუძნდება სახელმწიფო ქონების საფუძველზე;

დ) ყველა პასუხი არასწორია.

ტესტი 11. რა არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაცია?

ა) განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი, რომელსაც ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;

ბ) განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა ან გარე მექანიზმი, რომელსაც ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;

გ) განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი, რომელსაც ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო;

დ) განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმი, რომელსაც ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

ტესტი 12. ავტორიზაციის საბჭოს წევრებს ნიშნავს და ათავისუფლებს:

ა) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი;

ბ) პრემიერმინისტრი;

გ) საქართველოს მთავრობა;

დ) ყველა პასუხი სწორია.

ტესტი 13. რომელი დებულებაა ჭეშმარიტი?

ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო უგზავნის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს;

ბ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი უგზავნის საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს;

გ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო უგზავნის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას;

დ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი უგზავნის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას.

ტესტი 14. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში შედიან:

ა) ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები და ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საგნობრივი ექსპერტები;

ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის წევრები;

გ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დანიშნული წევრები;

დ) ყველა პასუხი სწორია.

ტესტი 15. რამდენდონიანი სკალით ფასდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა:

ა) ხუთი;

ბ) ათი;

გ) ოთხი;

დ) რვა.

ტესტი 16. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების რეორგანიზაციის შედეგად შესაძლებელია სკოლების:

ა) მიერთება;

ბ) შერწყმა;

გ) გაერთიანება;

დ) ყველა პასუხი სწორია.

ტესტი 17. კერძო სკოლის რეორგანიზაცია:

ა) ხორციელდება „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით, მეწარმე სუბიექტისთვის დადგენილი ნორმების შესაბამისად;

ბ) ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ;

გ) ხორციელდება ავტორიზაციის საბჭოს მიერ;

დ) ყველა პასუხი არასწორია.

ტესტი 18. რომელი დებულებაა ჭეშმარიტი:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც რეორგანიზაციის შედეგად მიუერთდა სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, ითვლება ავტორიზებულად რეორგანიზებული დაწესებულებებისათვის განსაზღვრული ავტორიზაციის ვადებიდან დარჩენილი უმცირესი ვადით;

ბ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც რეორგანიზაციის შედეგად მიუერთდა სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, ითვლება ავტორიზებულად 1 წლის ვადით;

გ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც რეორგანიზაციის შედეგად მიუერთდა სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, ითვლება ავტორიზებულად მიმდინარე წლის დასასრულამდე;

დ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც რეორგანიზაციის შედეგად მიუერთდა სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, ითვლება ავტორიზებულად 6 თვის ვადით.

ტესტი 19. რომელი დებულებაა ჭეშმარიტი:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასთან გაერთიანების შემთხვევაში, რეორგანიზაციის შედეგად წარმოქმნილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, გაიაროს ავტორიზაცია, ხოლო დაყოფის შემთხვევაში არ არის ვალდებული, გაიაროს ავტორიზაცია;

ბ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასთან გაერთიანების შემთხვევაში, რეორგანიზაციის შედეგად წარმოქმნილი ზოგადსაგან-

მანათლებლო დაწესებულება ვალდებული არ არის, გაიაროს ავტორიზაცია, ხოლო დაყოფის შემთხვევაში ვალდებულია, გაიაროს ავტორიზაცია;

გ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასთან გაერთიანების ან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დაყოფის შემთხვევაში, რეორგანიზაციის შედეგად წარმოქმნილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებული არ არის, გაიაროს ავტორიზაცია;

დ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასთან გაერთიანების ან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დაყოფის შემთხვევაში, რეორგანიზაციის შედეგად წარმოქმნილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, გაიაროს ავტორიზაცია.

ტესტი 20. საჯარო სკოლის ლიკვიდაცია:

ა) ხორციელდება „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით მეწარმე სუბიექტისთვის დადგენილი ნორმების შესაბამისად;

ბ) ხორციელდება ავტორიზაციის საბჭოს მიერ;

გ) ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ;

დ) ყველა პასუხი არასწორია.

ტესტების სწორი პასუხები:																			
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20
დ	გ	ა	გ	დ	დ	დ	გ	გ	ბ	დ	ბ	დ	ა	გ	დ	ა	ა	დ	გ

თავი VI

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურა

საჯარო სკოლის მიერ ეროვნული სასწავლო გეგმის, ზოგადი განათლების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის შესრულებისთვის და სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი ითვალისწინებს საჯარო სკოლის სტრუქტურას. საჯარო სკოლის სტრუქტურა მოიცავს სამეურვეო საბჭოს, სკოლის დირექციას, პედაგოგიურ საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობას და დისციპლინურ კომიტეტს. სკოლაში შეიძლება შეიქმნას სააპელაციო კომიტეტი. თითოეული სტრუქტურული ერთეული პასუხისმგებელია თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებებზე, იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელიც:

ა) ახორციელებს პროფილურ სახელოვნებო განათლებასა და მომზადებას, შეიძლება, წესდებით გათვალისწინებული იყოს სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობის არსებობა.

ბ) ახორციელებს სამხედრო მომზადებას, შეიძლება, წესდებით გათვალისწინებული იყოს:

ბ.ა) სამხედრო ხელმძღვანელის თანამდებობის არსებობა.

ბ.ბ) განსხვავებული სტრუქტურა.[88]

---

[88] „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლი.

1. საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭო[89]

საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭო არის სკოლის თვითმმართველობის უმაღლესი 3 წლით არჩეული არჩევითი ორგანო. სამეურვეო საბჭო შედგება მშობლებისა და პედაგოგიური საბჭოს მიერ თანაბარი რაოდენობით, 3 წლით არჩეული არანაკლებ 6 და არაუმეტეს 12 წარმომადგენლისგან, ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული 1 წარმომადგენლისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დანიშნული 1 წევრისგან, ხოლო იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელიც ახორციელებს სამხედრო მომზადებას, – აგრეთვე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ დანიშნული 1 წევრისგან. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, სამეურვეო საბჭოში დანიშნოს 1 წევრი. სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილ იქნეს სამეურვეო საბჭოს მიერ სკოლისთვის დადასტურებულად ქველმოქმედების გამწევ პირთაგან (მათი არსებობის შემთხვევაში) არჩეული 1 წევრი. სამეურვეო საბჭოს წევრთა რაოდენობის განსაზღვრისას მცირეკონტინგენტიანი სკოლისთვის გამონაკლისის დაშვება შეიძლება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობით. სამეურვეო საბჭოში მშობლებისგან არჩეული წევრები თანაბრად უნდა წარმოადგენდნენ სკოლაში არსებულ ზოგადი განათლების თითოეულ საფეხურს. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს უფლება აქვს, სამეურვეო საბჭოში წარგზავნოს და ნებისმიერ დროს გაიწვიოს თავისი წარმომადგენელი, რომელიც სათათბირო ხმის უფლებით სარგებლობს.

სამეურვეო საბჭოს ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე. იგი წარმოადგენს სკოლას დირექტორთან ურთიერთობებ-

---

[89] იქვე, 37-ე-38-ე მუხლები.

ში. საბჭოს თავმჯდომარე მონაცვლეობით აირჩევა საბჭოს შემადგენლობაში მშობლებისა და პედაგოგიური საბჭოსგან არჩეული წევრებისა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლისგან არაუმეტეს მათი უფლებამოსილების ვადისა. სამეურვეო საბჭოს წევრი – მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი არ შეიძლება, არჩეულ იქნეს სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარედ.

სამეურვეო საბჭო იკრიბება სასწავლო წლის განმავლობაში 3-ჯერ მაინც, ყოველი მესამედის დასაწყისში. სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე იწვევს და წარმართავს საბჭოს სხდომებს. სამეურვეო საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლება აქვს სამეურვეო საბჭოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს ან სამეურვეო საბჭოში საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დანიშნულ წარმომადგენელს. სამეურვეო საბჭოს რიგგარეშე სხდომაზე სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით აირჩიოს სხდომის თავმჯდომარე, რომელიც ამ რიგგარეშე სხდომაზე ახორციელებს სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილებებს.

სამეურვეო საბჭო:

ა) სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს სკოლის დირექტორს;

ბ) სკოლის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს, აგრეთვე ამტკიცებს სკოლის დირექტორის მიერ მომზადებულ წლიურ ანგარიშს და უზრუნველყოფს მის საჯაროობას. იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტს, რომელიც ახორციელებს სამხედრო მომზადებას, ამტკიცებს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, ხოლო აღნიშნული ბიუჯეტის პროექტს შეიმუშავებენ ამ დაწესებულების დირექტორი და სამეურვეო საბჭო;

გ) სკოლის დირექტორის წარდგინებით, ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესს, რომელიც ამომწურავად განსაზღვრავს დის-

ციპლინური გადაცდომების ნუსხას და მათთვის გათვალისწინებულ დისციპლინურ სახდელებს, სკოლიდან გადაყვანის პირობებს;

დ) გამოხატავს თანხმობას პედაგოგიური საბჭოს მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმის, სასწავლო მასალის, მათ შორის, გრიფმინიჭებული, პედაგოგების მიერ შერჩეული, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხის თაობაზე;

ე) აკონტროლებს სკოლის დირექციის მიერ ფინანსების ხარჯვასა და ქონების განკარგვას;

ვ) უფლებამოსილია, შრომითი ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში ხელშეკრულება შეუწყვიტოს სკოლის დირექტორს;

ზ) ინახავს და აღრიცხავს სამეურვეო საბჭოში მშობელთა და პედაგოგიური საბჭოს წარმომადგენელთა არჩევნების ბიულეტენებსა და ოქმებს;

თ) სკოლის წესდებით გათვალისწინებული წესით განიხილავს საჩივრებს და იღებს შესაბამის ზომებს;

ი) უფლებამოსილია, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, სასწავლო წლის დამამთავრებელი გამოცდების ჩატარების მიზნით, დაავალოს სკოლის დირექტორს, მიმართოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს და დადოს შესაბამისი ხელშეკრულება;

კ) უფლებამოსილია, მოსთხოვოს სკოლის დირექტორს, ვადამდე შეუწყვიტოს შრომითი ხელშეკრულება მასწავლებელს ხელშეკრულების პირობების დარღვევისას, სააღმზრდელო საქმიანობისათვის შეუფერებელი ქმედების ჩადენისას და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

ლ) დისციპლინური გადაცდომების განხილვის მიზნით, სკოლის წესდებით გათვალისწინებული წესით, ირჩევს დის-

ციპლინურ კომიტეტს, რომლის შემადგენლობაში შედის თანაბარი რაოდენობით მასწავლებელი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე. სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია, წესდებით გათვალისწინებული წესით, დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილებების შესახებ საჩივრები თავად განიხილოს, ან შექმნას სააპელაციო კომიტეტი. სააპელაციო კომიტეტი, სამეურვეო საბჭო განიხილავს აგრეთვე საჩივრებს, რომლებიც ეხება დირექტორის მიერ დისციპლინურ გადაცდომებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს. დაუშვებელია დისციპლინური კომიტეტის ან სააპელაციო კომიტეტის სპეციალური შემადგენლობის მოწვევა კონკრეტული შემთხვევის განხილვის მიზნით;

მ) ითანხმებს სკოლის დირექტორის მიერ წარმოდგენილ სკოლის წესდების პროექტს;

ნ) სამეურვეო საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლის არსებობის შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას სამეურვეო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

სამეურვეო საბჭო გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებს იღებს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

1.1. საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრების არჩევა[90]

სამეურვეო საბჭოში თანაბარი რაოდენობით აირჩევიან მშობელთა და პედაგოგიური საბჭოს წარმომადგენლები, აგ-

---

[90] „საქართველოს საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრების არჩევის, მათთვის უფლებამოსილების შეწყვეტისა და რეგისტრაციის წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის N30 ბრძანება.

რეთვე საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი. პირი სამეურვეო საბჭოს წევრად შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. სამეურვეო საბჭოს არჩევნები ტარდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, ფარული კენჭისყრით, გამჭვირვალობისა და საფეხურების მიხედვით, მოსწავლეთა მშობლების თანაბარი წარმომადგენლობით და შემდეგი პრინციპების დაცვით:

- **არჩევნებში ამომრჩევლები თანასწორ საფუძველზე მონაწილეობენ.** ყოველ ამომრჩეველს აქვს ერთი ხმის უფლება. მოსწავლის მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს აქვს ერთი ხმა თითო მოსწავლეზე.
- **არჩევნები პირდაპირია.** სამეურვეო საბჭოს წევრებს ამომრჩევლები ირჩევენ უშუალოდ.
- **არჩევნები ტარდება ფარული კენჭისყრით.**
- **აკრძალულია ნებისმიერი ქმედება, რომელიც ზღუდავს ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლენას.**
- **არჩევნებში ხმის მიცემის უფლება აქვს იმავე სკოლის:**
  - ა) სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი საგნების მასწავლებლებს, სპეციალურ მასწავლებლებს;
  - ბ) მოსწავლის მხოლოდ ერთ მშობელს პრინციპით: „ერთი მშობელი – ერთი მოსწავლე – ერთი ხმა“.
- **საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე წარმოადგენს მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელს სამეურვეო საბჭოში.**
- **არჩევნებში კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს მასწავლებელს და მხოლოდ ერთ მშობელს.**

სამეურვეო საბჭოს არჩევნები ტარდება სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილების ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღისა. სამეურვეო საბჭოს არჩევნების ჩატარე-

ბის დღეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით ნიშნავს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი. მინისტრი უფლებამოსილია, დანიშნოს სამეურვეო საბჭოს წევრთა რიგგარეშე არჩევნები იმ სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრთა გამოთავისუფლებულ ადგილებზე, სადაც სამეურვეო საბჭოს წევრს ვადამდე შეუწყდა უფლებამოსილება და არ არსებობს სხვა კანდიდატი, რომელმაც შესაბამის არჩევნებში მიიღო სხვა კანდიდატზე მეტი, მაგრამ საბჭოს წევრად ასარჩევად არასაკმარისი რაოდენობის ხმები, ან ეს კანდიდატი მოცემული დროისათვის აღარ აკმაყოფილებს შესაბამისი კატეგორიის სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ან მან წერილობით უარი განაცხადა სამეურვეო საბჭოს წევრობაზე, ან/და სამეურვეო საბჭოს შეუჩერდა უფლებამოსილება. რიგგარეშე არჩევნების დროს არჩეულ წევრთა უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება იმავე სამეურვეო საბჭოს დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.

სკოლაში საარჩევნო პროცესს ორგანიზებას უკეთებს და ხელმძღვანელობს საარჩევნო კომისია. საარჩევნო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს:

ა) ამავე სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატი;
ბ) ამავე სკოლის დირექტორი/დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
გ) ამავე სკოლის დირექტორის მოადგილე/სასწავლო ნაწილის გამგე;
დ) ამავე სკოლის ბუღალტერი/ სამეურნეო ნაწილის გამგე;
ე) პირი, რომელიც ქმედუუნაროა;
ვ) პირი, რომელიც შეზღუდულქმედუნარიანია (გარდა სრული ზოგადი განათლების მესამე საფეხურის მოსწავლისა);
ზ) პირი, რომელიც არის სხვა სკოლის საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატი.

საარჩევნო კომისიის წევრი – გარეშე პირი არ შეიძლება იყოს ზემოხსენებული პირები, ასევე ამავე სკოლის მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი, მათი ახლო ნათესავი.

სკოლაში, რომელშიც სწავლობს 1000-ამდე მოსწავლე, საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა შეადგენს 5 (ხუთს), შემდეგი თანაფარდობით:

ა) საშუალო საფეხურის 1 მოსწავლე;

ბ) 1 მასწავლებელი;

გ) 1 მშობელი;

დ) 2 გარეშე პირი.

5. სკოლაში, რომელშიც სწავლობს 1000-ზე მეტი მოსწავლე, საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა შეადგენს 8-ს (რვას), შემდეგი თანაფარდობით:

ა) საშუალო საფეხურის 1 მოსწავლე;

ბ) 2 მასწავლებელი;

გ) 2 მშობელი;

დ) 3 გარეშე პირი.

თუ სკოლას არ აქვს საშუალო საფეხური, საარჩევნო კომისიაში, მოსწავლის ნაცვლად, საარჩევნო კომისიის წევრად შეყვანილ უნდა იქნეს გარეშე პირი. იმ შემთხვევაში, თუ სკოლის საკმარისი რაოდენობის მასწავლებელი, მშობელი ან საშუალო საფეხურის მოსწავლე არ გამოთქვამს საარჩევნო კომისიის წევრობის სურვილს, მათ ნაცვლად საარჩევნო კომისიის წევრი უნდა იყოს გარეშე პირი.

საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატების რეგისტრაციას ახორციელებს სკოლის დირექტორი. კომისიის წევრების რეგისტრაცია იწყება არჩევნებამდე 21 დღით ადრე და წყდება არჩევნებამდე 16 დღით ადრე. რეგისტრაციის შესახებ გაიცემა შესაბამისი მოწმობა. სკოლის დირექტორი კომისიის წევრობის კანდიდატების რეგისტრაციის ვადის დასრულებიდან არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა ვალდებულია, კოორდინატორს წარუდგინოს მის მიერ რეგისტრირებული საარჩევნო

კომისიის წევრობის კანდიდატების სრული ნუსხა. დაინტერესებული პირები უფლებამოსილნი არიან, გადაამოწმონ ნუსხა კოორდინატორთან. იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო კომისიის წევრობის კონკრეტული კატეგორიის რეგისტრირებულ კანდიდატთა (საშუალო საფეხურის მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი) რაოდენობა აღემატება განსაზღვრულ რაოდენობას, არჩევნებამდე 14 დღით ადრე კოორდინატორი რეგისტრირებულ კანდიდატთა, აგრეთვე სხვა დაინტერესებული პირების თანდასწრებით წილისყრით გამოავლენს საარჩევნო კომისიის წევრებს. საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატთა და სხვა დაინტერესებულ პირთა დასწრება ნებაყოფლობითია. წილისყრა ტარდება შემდეგი წესით:

ა) წილისყრამდე კოორდინატორი ერთნაირ ფურცლებზე, ერთი და იმავე საწერი საშუალებით წერს საარჩევნო კომისიის წევრობის კონკრეტული კატეგორიის კანდიდატთა სახელსა და გვარს;

ბ) ფურცელი უნდა დამოწმდეს კოორდინატორის ხელმოწერით. ფურცელი იმგვარად იკეცება, რომ შეუძლებელი იყოს ტექსტის წაკითხვა. ფურცლების საერთო რაოდენობა წილისყრაში მონაწილე საარჩევნო კომისიის წევრობის კონკრეტული კატეგორიის კანდიდატთა რაოდენობის ტოლი უნდა იყოს;

გ) დამოწმებულ შევსებულ ფურცლებს კოორდინატორი ათავსებს ყუთებში, რომლებიც განკუთვნილი უნდა იყოს საარჩევნო კომისიის წევრობის კონკრეტული კატეგორიის კანდიდატთათვის (საშუალო საფეხურის მოსწავლე, მასწავლებელი ან მშობელი);

დ) კოორდინატორი საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატთა თანდასწრებით ურევს ყუთებში მოთავსებულ ფურცლებს და თითოეული ყუთიდან იღებს დადგენილი რაოდენობის ფურცლებს საარჩევნო კომისიის წევრი საშუ-

ალო საფეხურის მოსწავლის, მასწავლებლისა და მშობლის გამოსავლენად.

იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო კომისიის წევრობის კონკრეტული კატეგორიის რეგისტრირებულ კანდიდატთა (საშუალო საფეხურის მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი) რიცხვი ნაკლებია განსაზღვრულ რაოდენობაზე, დანაკლისის შევსება უნდა მოხდეს გარეშე პირებით. საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატ გარეშე პირებთან დაკავშირებით წილისყრა არ ტარდება. იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატი გარეშე პირების რიცხვი აღემატება განსაზღვრულ რაოდენობას, კოორდინატორი, თავისი სამოქმედო ტერიტორიის ფარგლებში, მის მიერ შედგენილი ოქმის საფუძველზე, განსაზღვრავს იმ გარეშე პირთა ვინაობას, რომლებიც შეყვანილ იქნებიან საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი საარჩევნო კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით, რომელსაც დაუყოვნებლივ უგზავნის შესაბამის სკოლას და აქვეყნებს საგანმანათლებლო რესურსცენტრის შენობაში ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას. სკოლა ვალდებულია, უზრუნველყოს რესურსცენტრის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის დაუყოვნებლივ საჯაროდ განთავსება სკოლის შენობაში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას.

კომისია პირველ სხდომაზე, რომელიც იმართება შექმნიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში, თავისი შემადგენლობიდან ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს ხმათა უბრალო უმრავლესობით. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე:

ა) ასრულებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს საარჩევნო კომისიაში;

ბ) უძღვება საარჩევნო კომისიის სხდომას;

გ) ზედამხედველობას უწევს სამეურვეო საბჭოს არჩევნებში მონაწილე კანდიდატების რეგისტრაციაში გატარებას;
დ) საარჩევნო კომისიის სხდომის მიმდინარეობისას განსაზღვრული წესით დავალებას აძლევს მდივანს, კომისიის სხვა წევრებს;
ე) ახორციელებს მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

საარჩევნო კომისიის წევრთა ხმების გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ხმა.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს კომისიის მდივანი. საარჩევნო კომისიის მდივანი აირჩევა კომისიის პირველ სხდომაზე, კენჭისყრით, დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით. საარჩევნო კომისიის მდივანი:

ა) ადგენს კომისიის სხდომის ოქმებს და სხვა საჭირო დოკუმენტაციას;
ბ) იღებს და რეგისტრაციაში ატარებს საარჩევნო კომისიაში შეტანილ საარჩევნო საბუთებსა და კომისიის სახელზე შესულ კორესპონდენციას;
გ) რეგისტრაციაში ატარებს არჩევნებში მონაწილეობის მსურველ კანდიდატებს, აძლევს მათ შესაბამის მოწმობებს;
დ) ადგენს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს;
ე) ახორციელებს მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

საარჩევნო კომისიის მდივნის არყოფნის ან მის მიერ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილების შესრულების შემთხვევაში, საარჩევნო კომისია დამსწრეთა ხმების უმრავლესობით ირჩევს საარჩევნო კომისიის კონკრეტული სხდომის მდივანს.

არჩევნების ჩატარების ხელშეწყობისა და ზედამხედველობის განხორციელების მიზნით, საქართველოს განათლების,

მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით ნიშნავს არჩევნების კოორდინატორებს და ამავე აქტით განსაზღვრავს კოორდინატორებისათვის სამოქმედო ტერიტორიას. ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული სკოლების სამეურვეო საბჭოების არჩევნების კოორდინატორებს, ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით ნიშნავს და მათ სამოქმედო ტერიტორიას განსაზღვრავს ამავე ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი განათლების სამინისტრო. კოორდინატორი მინდობილ ტერიტორიაზე საჯარო სკოლებში:

ა) ზედამხედველობს საარჩევნო კომისიის წევრებისა და სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატების რეგისტრაციის პროცედურას;

ბ) ხელს უწყობს საარჩევნო კომისიების მუშაობას;

გ) უფლებამოსილია, საარჩევნო კომისიას მისცეს შესასრულებლად სავალდებულო მითითებები დებულებით დადგენილი მოთხოვნების შესასრულებლად;

დ) ახორციელებს მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

არჩევნების პროცესზე შესაძლებელია, დაკვირვება განხორციელდეს შემდეგი პირების მიერ:

ა) კანდიდატის დამკვირვებლები. თითოეულ კანდიდატს შეიძლება ჰყავდეს მხოლოდ ერთი დამკვირვებელი.

ბ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს/ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი სამინისტროს მიერ უფლებამოსილი დამკვირვებელი;

გ) დამოუკიდებელი დამკვირვებლები;

დ) კოორდინატორი;

ე) საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომელი.

დამკვირვებელთა რეგისტრაციას ახორციელებს საარჩევნო კომისია მსურველის სახელის, გვარისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობა, პასპორ-

ტი) მიხედვით პირადი ნომრის შესაბამის ჟურნალში მითითებით. საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომელი უფლებამოსილია, განახორციელოს დაკვირვება შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე მდებარე სკოლაში მიმდინარე არჩევნების პროცესზე. საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომელთა ვინაობა საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მიერ ეცნობება საგანმანათლებლო რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე განაწილებულ კოორდინატორს და ამავე ტერიტორიაზე მდებარე სკოლების საარჩევნო კომისიებს.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს/ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით მტკიცდება სამინისტროს/შესაბამისი სამინისტროს თანამშრომელთა (დამკვირვებელთა) ნუსხა, რომლებიც უფლებამოსილნი არიან, განახორციელონ დაკვირვება საქართველოს ყველა სკოლაში მიმდინარე არჩევნების პროცესზე, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო/ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი სამინისტრო გასცემს შესაბამის მოწმობებს.

დამკვირვებელს უფლება აქვს:

ა) კენჭისყრის დღეს ნებისმიერ დროს იმყოფებოდეს საარჩევნო ტერიტორიაზე, შეუზღუდავად გადაადგილდეს საარჩევნო ტერიტორიაზე და თავისუფლად, დაუბრკოლებლად დააკვირდეს კენჭისყრის პროცესის ყველა ეტაპს ნებისმიერი ადგილიდან;

ბ) მიიღოს მონაწილეობა საარჩევნო ყუთების შემოწმებაში მათ დალუქვამდე და მათი გახსნის შემდეგ;

გ) დააკვირდეს ამომრჩეველთა სიებში ამომრჩეველთა რეგისტრაციას, საარჩევნო ბიულეტენების გაცემას და დამოწმებას კენჭისყრის პროცესისათვის ხელშეუშლელად;

დ) დაესწროს ხმების დათვლისა და შედეგების შეჯამების პროცედურებს;

ე) დააკვირდეს საარჩევნო კომისიის მიერ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმისა და სხვა დოკუმენტების შედგენას;

ვ) საჩივრით მიმართოს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ხმის მიცემისა და კენჭისყრის პროცედურებთან დაკავშირებულ დარღვევებზე;

ზ) დადგენილი წესით გაასაჩივროს კოორდინატორის ქმედება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში/ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამის სამინისტროში;

თ) დააკვირდეს საარჩევნო ყუთს, საარჩევნო ყუთში ბიულეტენის ჩაყრას, საარჩევნო ყუთების გახსნას, ბიულეტენების დათვლას და ოქმების შედგენას;

ი) გაეცნოს საარჩევნო კომისიების მიერ შედგენილ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს.

დამკვირვებელს ეკრძალება:

ა) ჩაერიოს საარჩევნო კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში;

ბ) გავლენა მოახდინოს ამომრჩეველთა მიერ ნების თავისუფალ გამოვლენაზე;

გ) აგიტაცია გაუწიოს ამომრჩეველს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ;

დ) კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში იმყოფებოდეს სამკერდე ნიშნის გარეშე;

ე) დაარღვიოს ამ დებულების სხვა მოთხოვნები.

საარჩევნო კომისია ვალდებულია, რეგისტრაციაში გაატაროს და მიანიჭოს რეგისტრაციის ნომერი კანდიდატს, რომელიც განცხადებით მიმართავს კომისიას. რეგისტრაცია იწყება არჩევნებამდე 12 დღით ადრე და წყდება არჩევნებამდე ხუთი დღით ადრე. საარჩევნო კომისია ვალდებულია, ერთი დღის ვა-

დაში განცხადების მიღების დღიდან მოახდინოს კანდიდატთა რეგისტრაცია.

საარჩევნო კომისია პასუხისმგებელია მასწავლებელთა და მშობელთა ერთიანი საარჩევნო სიების შედგენაზე. მშობელთა სიები დგება თითოეული საფეხურისთვის ცალ-ცალკე. არჩევნებამდე შვიდი დღით ადრე სკოლის დირექცია საარჩევნო კომისიას აწვდის ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან ამოღებულ მასწავლებელთა სიას და მოსწავლეთა მშობლების სიას. მშობელთა სიაში კონკრეტული მოსწავლის სახელისა და გვარის გასწვრივ მითითებული უნდა იყოს ამ მოსწავლის ორივე მშობლის სახელი, გვარი და პირადი ნომერი მათი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით. მოწოდებული სიები დაუყოვნებლივ უნდა გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას სკოლაში. სიებში ხარვეზის აღმოჩენისას დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს, სამი დღის განმავლობაში მიმართოს საარჩევნო კომისიას ხარვეზის გამოსწორების მოთხოვნით. საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული. ხარვეზის შესახებ გადაწყვეტილება საარჩევნო კომისიამ უნდა გამოიტანოს ერთი დღის ვადაში.

საარჩევნო კომისია ვალდებულია, არჩევნებამდე ერთი დღით ადრე მოახდინოს საარჩევნო ტერიტორიის მოწყობა. საარჩევნო ტერიტორია უნდა განთავსდეს ყველაზე დიდი ფართობის მქონე საკლასო ოთახში/დარბაზში. მოწყობის შემდეგ ოთახი უნდა ჩაიკეტოს. საარჩევნო ტერიტორიის გახსნამდე გასაღები ინახება საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან. პასუხისმგებლობა კენჭისყრის მომზადების, ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლენის, კენჭისყრის ფარულობის უზრუნველყოფისა და არჩევნების ადგილის ამ დებულების მოთხოვნების შესაბამისად მოწყობისათვის ეკისრება საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.

ბიულეტენის რაოდენობა უნდა იყოს მინიმუმ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ტოლი და სკოლის დირექცია ვალდე-

ბულია, უზრუნველყოს სკოლის ბეჭდით დამოწმებული ბიულეტენების საარჩევნო კომისიისათვის მიწოდება არაუგვიანეს არჩევნებამდე ერთი დღით ადრე.

კენჭისყრა იმართება არჩევნების (კენჭისყრის) დღის 10:00 საათიდან 16:00 საათამდე. კენჭისყრა შესაძლოა დასრულდეს 16:00 საათამდე იმ შემთხვევაში, თუ სრულად გამოცხადდა ამომრჩეველი. კენჭისყრის დროს აკრძალულია კენჭისყრის ადგილის ჩაკეტვა, კენჭისყრის შეწყვეტა ან შეჩერება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეუძლებელია არჩევნების საყოველთაოობის, თანასწორობისა და ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინების უზრუნველყოფა. კენჭისყრის შენობის დროებით ჩაკეტვის ან კენჭისყრის შეჩერების (ისევე, როგორც შემდგომ კენჭისყრის შენობის გახსნისა და კენჭისყრის გაგრძელების) გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად იღებს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. ამომრჩეველი კენჭისყრის შენობაში შეიძლება იმყოფებოდეს მხოლოდ ხმის მიცემისათვის საჭირო დროის განმავლობაში.

კენჭისყრის დროს თითოეული ამომრჩეველი ხმას აძლევს პირადად. დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა პირის ნაცვლად. მასწავლებელი უფლებამოსილია, ხმა მისცეს მხოლოდ მასწავლებელს და მშობელი – მხოლოდ იმავე საფეხურის მშობელს. ამომრჩეველი საარჩევნო ბიულეტენში შემოხაზავს მის მიერ არჩეული ერთი კანდიდატის რეგისტრაციის ნომერს. ბიულეტენად კი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთნაირი ხარისხის თანაბარი ზომის ქაღალდის ფურცლები. ბიულეტენზე ჩაბეჭდილი უნდა იყოს კანდიდატის რეგისტრაციის ნომერი, სახელი და გვარი, ხოლო მშობლის ბიულეტენზე, ასევე, აღნიშნული უნდა იყოს, ზოგადი განათლების რომელი საფეხურის მოსწავლის მშობელს წარმოადგენს იგი.

საარჩევნო ბიულეტენების შევსებისას აკრძალულია სხვა პირის დასწრება. ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია, დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, უფლება აქვს,

ფარული კენჭისყრისათვის მოწყობილ ადგილას დასახმარებლად მიიწვიოს ნებისმიერი პირი, გარდა:

ა) საარჩევნო კომისიის წევრისა;

ბ) კანდიდატისა;

გ) კანდიდატის წარმომადგენლისა;

დ) დამკვირვებლისა.

კენჭისყრის დამთავრების შემდეგ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით, წილისყრით შეარჩევს არანაკლებ სამ მთვლელს, ხოლო დამკვირვებლები თავისი შემადგენლობიდან ურთიერთშეთანხმებით შეარჩევენ არაუმეტეს სამ მეთვალყურეს (ერთს – მასწავლებლების დამკვირვებლებიდან, ერთს – მშობლების, ერთს – სხვა დამკვირვებლებიდან). მთვლელები ცალ-ცალკე ითვლიან მასწავლებელთა და მშობელთა არჩევნების შედეგებს, მათ შორის მშობლებისათვის ცალ-ცალკე საფეხურების მიხედვით. საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენებს ითვლის შემდეგი წესის დაცვით:

ა) პირველი მთვლელი იღებს საარჩევნო ბიულეტენს, აცხადებს, ვისთვისაა მიცემული ხმა და გადასცემს მეორე მთვლელს. მესამე მთვლელი საარჩევნო ბიულეტენებს აწყობს ცალ-ცალკე, თითოეული საარჩევნო სუბიექტისათვის მიცემული ხმების შესაბამისად;

ბ) ცალკე ეწყობა დაუდგენელი ნიმუშის, ცალკე – საარჩევნო ბიულეტენები, რომელთა ნამდვილობაც საეჭვოდ იქნა მიჩნეული.

კენჭისყრის შედეგები აისახება კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში და საარჩევნო კომისიის მდივანი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახავს შემდეგ მონაცემებს:

ა) სკოლის სახელწოდება/ნომერი და მისამართი;

ბ) არჩევნების დასახელება;

გ) კენჭისყრის ტური და თარიღი;

დ) ამომრჩეველთა სიაში მითითებული მასწავლებლებისა და თითოეულ საფეხურზე არსებულ მოსწავლეთა მშობლების (პრინციპით: „ერთი მშობელი – ერთი მოსწავლე – ერთი ხმა“) რაოდენობები ცალ-ცალკე;

ე) კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველი მასწავლებლებისა და მშობლების (საფეხურების მიხედვით) რაოდენობები ცალ-ცალკე;

ვ) არჩევნების მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა (ამომრჩეველთა სიებში ხელმოწერების მიხედვით);

ზ) მიღებულ ბიულეტენთა რაოდენობა;

თ) ბათილად მიჩნეულ ბიულეტენთა რაოდენობა;

ი) საარჩევნო სუბიექტების დასახელება, თითოეული საარჩევნო სუბიექტის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა;

კ) ნამდვილი ბიულეტენების რაოდენობა (კანდიდატებისათვის მიცემულ ხმათა რაოდენობების ჯამი);

ლ) ოქმის შედგენის თარიღი და დრო;

მ) ოქმის ის მონაცემები, რომლებსაც არ ეთანხმება კომისიის წევრი (ამ ჩანაწერს კომისიის წევრი აკეთებს გრაფაში „განსხვავებული აზრი“).

საარჩევნო კომისიის ყველა წევრი ვალდებულია, ხელი მოაწეროს ამობეჭდილი კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ყველა ეგზემპლარს. თუ საარჩევნო კომისიის წევრი უარს აცხადებს შემაჯამებელ ოქმზე ხელის მოწერაზე, აღნიშნულის თაობაზე კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერით.

დირექტორი უზრუნველყოფს არჩევნების შედეგების (კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის დამტკიცების შესახებ განკარგულების) გამოქვეყნებას სკოლის შენობაში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას და მის განთავსებას სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე (ასეთი არსებობისას) არა უგვიანეს კენჭისყრის დღის მესამე დღისა. თუ ვადის ბოლო დღე ემ-

თხვევა უქმე ან/და დასვენების დღეს, არჩევნების შედეგები ქვეყნდება არაუგვიანეს მომდევნო პირველი სამუშაო დღისა.

1.2. საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით საჩივრების განხილვა

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სამეურვეო საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით დადგენილი აქვს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულისგან განსხვავებული ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენისა და განხილვის ვადები და წესი. სამეურვეო საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს გადაწყვეტილებები საჩივრდება სასამართლოში და მათი გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტების მოქმედების შეჩერებას.

საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს არჩევნების პროცედურული დარღვევების გამო საჩივრის შეტანაზე უფლებამოსილი პირები არიან სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატი და დამკვირვებელი. ხოლო არჩევნების შედეგების (კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმისა და მისი დამტკიცების შესახებ განკარგულების) გასაჩივრების უფლება აქვს მხოლოდ სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატს.

კენჭისყრის დღეს პროცედურული დარღვევების გამო საჩივარი შეიტანება საარჩევნო კომისიაში საარჩევნო უბნის გახსნიდან ხმების დათვლის პროცედურების დასრულებამდე. კენჭისყრის დღეს პროცედურული დარღვევების გამო საჩივარი უნდა გადაეცეს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ან საარჩევნო კომისიის მდივანს, რომელიც ვალდებულია, საჩივარი რეგისტრაციაში გაატაროს საჩივრების ჟურნალში, ხოლო განმცხადებელს გადასცეს თავისი ხელმოწერით დამოწმებული ცნობა, რომელშიც აღინიშნება შესაბამისი საჩივრის საარჩევნო კომისიაში მიღების თარიღი და დრო. საარჩევნო კომისიის

თავმჯდომარე ვალდებულია, საჩივარზე დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება, შეამოწმოს საჩივრის საფუძვლიანობა, გამოასწოროს დარღვევა ან დასაბუთებული უარი უთხრას განმცხადებელს საჩივრის დაკმაყოფილებაზე. აღნიშნულის თაობაზე საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საჩივრების ჟურნალში აკეთებს შესაბამის ჩანაწერს.

საჩივარი უნდა იყოს შედგენილი წერილობითი ფორმით და მასში აღნიშნული უნდა იყოს:

ა) საჩივრის შედგენის თარიღი და დრო;
ბ) განმცხადებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობა, პასპორტი) მიხედვით და მისამართი;
გ) ორგანოს დასახელება, რომელშიც შეიტანება საჩივარი;
დ) სკოლის სახელწოდება/ნომერი და მისამართი;
ე) დარღვევის არსი და მისი ჩადენის დრო;
ვ) დასაბუთებული მოთხოვნა;
ზ) გარემოებები, რომელთაც ეფუძნება მოთხოვნა;
თ) მოწმის არსებობის შემთხვევაში მისი სახელი, გვარი და რეგისტრაციის ადგილი;
ი) დამრღვევის დადგენის შემთხვევაში მისი ის მონაცემები, რომელთა დადგენა შესაძლებელი გახდა;
კ) დამრღვევის ახსნა-განმარტება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
ლ) სხვა დამატებით ინფორმაცია.

არჩევნების შედეგებზე (კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი და მისი დამტკიცების შესახებ განკარგულება) საჩივარი შეიტანება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში/ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამის სამინისტროში არაუგვიანეს კენჭისყრის დღიდან 3 კალენდარული დღის ვადაში. კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი საჩივრდება მისი დამტკიცების შესახებ განკარგულებასთან ერთად. სადაც, საჩივრების განხილვის მიზ-

ნით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს/ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით იქმნება არჩევნების საკითხებზე საჩივრების განმხილველი და არჩევნების შედეგების შემსწავლელი კომისია. კომისიის შექმნის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და კომისიის მდივანი. კომისიის სხდომებს უძღვება კომისიის თავმჯდომარე. კომისიის თავმჯდომარის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში მის ფუნქციებს ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა. კომისიის გადაწყვეტილებები მიიღება კომისიის დამსწრეთა უმრავლესობით. ხმების გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

კომისია უფლებამოსილია, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით, კონკრეტული საჩივრის შესწავლა-განხილვის მიზნით, თავისი შემადგენლობის ფარგლებში, შექმნას ქვეკომისიები, რომლებშიც, კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, დასკვნის მომზადების მიზნით, ნაწილდება კონკრეტული საჩივარი/საკითხი. ქვეკომისიის მიერ კონკრეტულ საჩივარზე მომზადებული დასკვნა წარედგინება კომისიას, რომელიც იღებს შემაჯამებელ დასკვნას და მინისტრის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის სამინისტროში საჩივრის შეტანიდან 15 დღის ვადაში გამოცემის მიზნით, შუამდგომლობს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის წინაშე:

ა) საჩივრის მიღებაზე/განხილვაზე უარის თქმის თაობაზე;
ბ) საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე;
გ) საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილი შედეგების ძალაში დატოვების თაობაზე;

დ) კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმისა და მისი დამტკიცების შესახებ განკარგულების გაუქმების, საარჩევნო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად კენჭისყრის ახალი შედეგების დამტკიცებისა და სამეურვეო საბჭოს წევრების რეგისტრაციის თაობაზე;

ე) არჩევნების შედეგების (კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი და მისი დამტკიცების შესახებ განკარგულება) ბათილად ცნობის და ხელახალი არჩევნების დანიშვნის თაობაზე, თუ მოქმედი კანონმდებლობის დარღვევამ არსებითი გავლენა მოახდინა არჩევნების საბოლოო შედეგებზე.

საჩივრის განხილვის პროცესში საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო/ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი სამინისტრო უფლებამოსილია, სკოლიდან გამოითხოვოს არჩევნებთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია (მათ შორის: საარჩევნო სიები, ბიულეტენების პაკეტები და ა.შ.), განხილვაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიოს საარჩევნო კომისიის წევრები, კოორდინატორი, დამკვირვებელი და სხვა დაინტერესებული პირი.

1.3. საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს არჩევნების შედეგების ძალაში შესვლა და სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილების წარმოშობა

არჩევნების შედეგები ძალაში შედის მათი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში რეგისტრაციის მომენტიდან. სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილება წარმოიშობა, თუ არჩევნების შემდეგ დადასტურებულია სამეურვეო საბჭოს წევრთა არანაკლებ ორი მესამედის უფლებამოსილება. სამეურვეო საბჭოს არჩეული წევრების – მასწავლებლისა და მშობლის უფლებამოსილება ძალაში შედის მათი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში რეგისტრაციის მომენტიდან. სამეურვეო საბჭოში საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული წარმომადგენლის, საქარ-

თველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დანიშნული პირის, იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელიც ახორციელებს სამხედრო მომზადებასა და განათლებას – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ დანიშნული პირის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დანიშნული და სამეურვეო საბჭოს მიერ სკოლისათვის დადასტურებულად ქველმოქმედების გამწევი პირის (მათი არსებობის შემთხვევაში) უფლებამოსილება ძალაში შედის მათი არჩევის/დანიშვნის დღიდან.

1.4. საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

სამეურვეო საბჭოს წევრს უფლებამოსილება უწყდება, თუ:

ა) სამეურვეო საბჭოს წევრს პედაგოგიურმა საბჭომ შეუწყვიტა უფლებამოსილება, როგორც საკუთარ წარმომადგენელს საბჭოში;

ბ) სამეურვეო საბჭოს წევრს, როგორც პედაგოგიური საბჭოს წარმომადგენელს, შეუწყდა სკოლასთან შრომითი ურთიერთობა;

გ) მოსწავლე, რომლის წარმომადგენლადაც ითვლება სამეურვეო საბჭოს წევრი, გაირიცხა/ამოირიცხა სკოლიდან, შეუჩერდა მოსწავლის სტატუსი ან გადავიდა ზოგადი განათლების შემდგომ საფეხურზე;

დ) მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი გაირიცხა/ამოირიცხა სკოლიდან ან შეუჩერდა მოსწავლის სტატუსი;

ე) მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელს უფლებამოსილება ავტომატურად უწყდება არჩევიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ;

ვ) ამას მოითხოვს სკოლის შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მშობლების 1/3 პრინციპით: „ერთი მოსწავლე – ერთი ხმა“;

ზ) სამეურვეო საბჭოს წევრი გარდაიცვალა;
თ) სამეურვეო საბჭოს წევრმა უფლებამოსილება მოიხსნა პირადი განცხადების საფუძველზე;
ი) სამეურვეო საბჭოს წევრის მიმართ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
კ) სამეურვეო საბჭოს წევრი სასამართლომ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარა, გარდაცვლილად გამოაცხადა ან მხარდაჭერის მიმღებად ცნო, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
ლ) სამეურვეო საბჭოს წევრ მოსწავლის მშობელსა და სკოლას შორის წარმოიშვა შრომითი ურთიერთობა;
მ) სამეურვეო საბჭოს წევრი გახდა საჯარო სკოლის დირექციის წევრი;
ნ) სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილების 3-წლიანი ვადის ამოწურვის შემთხვევაში.

სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილება უწყდება:

ა) სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილების 3-წლიანი ვადის ამოწურვის შემთხვევაში;
ბ) სკოლის რეორგანიზაციის შემთხვევაში, რომელსაც ახლავს სკოლების გაერთიანება/მიერთება ან ერთი საჯარო სკოლის გაყოფა/გამოყოფა;
გ) სამეურვეო საბჭოსთვის საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული ფუნქციების შეუსრულებლობის შემთხვევაში – საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს გადაწყვეტილებით.

სამეურვეო საბჭოს არჩეული წევრების – მასწავლებლისა და მშობლის უფლებამოსილების შეწყვეტა ძალაში შედის ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში უფლებამოსილების შეწყვეტის რეგისტრაციის მომენტიდან. სკოლა ვალდებულია, სამეურვეო საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლის დადგომის შემთხვევაში დაუყოვნებლივ განახორციელოს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში შესაბამისი მონაცემების ასახვა.

სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილება უჩერდება, თუ არჩეულ წევრთა ნახევარზე მეტს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდა და არ არსებობს სხვა კანდიდატი, რომელმაც შესაბამის არჩევნებში მიიღო სხვა კანდიდატზე მეტი, მაგრამ საბჭოს წევრად ასარჩევად არასაკმარისი რაოდენობის ხმები, ან ეს კანდიდატი მოცემული დროისათვის აღარ აკმაყოფილებს შესაბამისი კატეგორიის სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ან მან წერილობით უარი განაცხადა სამეურვეო საბჭოს წევრობაზე. სკოლა ვალდებულია, სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილების შეჩერების თაობაზე წერილობით აცნობოს მართვის სისტემას, ხოლო მართვის სისტემა უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილების შეჩერების სტატუსის ასახვას. უფლებამოსილებაშეჩერებულ სამეურვეო საბჭოს აღუდგება სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილება, თუ ჩატარდება სამეურვეო საბჭოს რიგგარეშე არჩევნები იმ წევრთა გამოთავისუფლებულ ადგილებზე, რომლებსაც უფლებამოსილება შეუწყდათ ვადამდე და დადასტურდება სამეურვეო საბჭოს წევრთა არანაკლებ ორი მესამედის უფლებამოსილება.

სამეურვეო საბჭოს წევრის გათავისუფლებულ ადგილს დარჩენილი ვადით იკავებს ის მშობელი ან/და პედაგოგიური საბჭოს ის წევრი, რომელმაც შესაბამის არჩევნებში მიიღო სხვა კანდიდატებზე მეტი, მაგრამ საბჭოში მოსახვედრად არასაკმარისი რაოდენობის ხმები. იმ შემთხვევაში, თუ არც ერთი პირი აღარ შეესაბამება სამეურვეო საბჭოს შესაბამისი კატეგორიის წევრობის კანდიდატისათვის წაყენებულ მოთხოვნებს, ან, თუ არ არსებობს პირი, რომელიც მონაწილეობდა სამეურვეო საბჭოს შესაბამისი კატეგორიის წევრის არჩევნებში, ტარდება რიგგარეშე არჩევნები. ასეთ შემთხვევაში სამეურვეო საბჭოს წევრი აირჩევა მხოლოდ უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.

2. საჯარო სკოლის დირექცია

საჯარო სკოლის დირექცია შედგება სკოლის დირექტორის, მისი მოადგილის/მოადგილეებისა და ბუღალტერიისაგან.

2.1. საჯარო სკოლის დირექტორი

საჯარო სკოლის დირექტორი ახორციელებს სკოლის მართვას, წარმოადგენს სკოლას მესამე პირებთან ურთიერთობებში, სკოლის სახელით დებს გარიგებებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია საჯარო სკოლის მიერ ეროვნული სასწავლო გეგმის, ზოგადი განათლების სფეროში საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტების შესრულებაზე, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის წარმართვასა და ფინანსების მიზნობრივ და ეფექტურ ხარჯვაზე.

საჯარო სკოლის დირექტორის, როგორც ლიდერის, უმთავრესი მიზანია პროცესების ეფექტიანად წარმართვა მოსწავლეთა აღზრდის, აკადემიური და პიროვნული განვითარებისათვის. სკოლის მართვაში დირექტორი უნდა ითვალისწინებდეს მართვის თანამედროვე მიდგომებს, მასწავლებლების უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროებას, ადგილობრივ კონტექსტს, არსებულ გამოწვევებსა და სკოლის ძლიერ და სუსტ მხარეებს, შესაძლებლობებსა და საფრთხეებს, მოქმედ რეგულაციებსა და განათლების პოლიტიკის პრინციპებს.

საჯარო სკოლის დირექტორის, როგორც ლიდერის, მახასიათებლები მოიცავს ხუთ კომპონენტს:

პირველი კომპონენტი. დირექტორი, როგორც ლიდერი, რომელიც წარმოადგენს **მისაბაძ მაგალითს** სასკოლო საზოგადოებისთვის:

ა) საკუთარი პროფესიული და პიროვნული განვითარების გზით წარმოადგენს მოდელს სასკოლო საზოგადოებისთვის;
ბ) უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოებაში ცოდნაზე, გულწრფელობაზე, ღიაობაზე, თანამონაწილეობასა და პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული ღირებულებების, დემოკრატიის პრინციპების გაზიარებას;
გ) აყალიბებს გაზიარებულ ღირებულებებზე დაფუძნებულ სასკოლო კულტურას;
დ) ქმნის და აზიარებს ცოდნას.

მეორე კომპონენტი. დირექტორი, როგორც ლიდერი, რომელიც სასკოლო საზოგადოებასთან ერთად ავითარებს **სასკოლო კულტურას:**
ა) ავითარებს სკოლას, გრძელვადიან მიზნებსა და ხედვაზე დაფუძნებით;
ბ) ავითარებს სკოლის უნიკალურ კულტურას;
გ) ავითარებს თანამშრომლობის, პარტნიორობისა და კავშირების მდგრად სისტემას.

მესამე კომპონენტი. დირექტორი, როგორც **საგანმანათლებლო ლიდერი:**
ა) ხელს უწყობს სკოლაში მოსწავლეზე ორიენტირებული პედაგოგიური მიდგომების დანერგვას;
ბ) ფოკუსირებულია მოსწავლეთა მიღწევებსა და წინსვლაზე;
გ) კვლევისა და რეფლექსიის საშუალებით ქმნის სივრცეს სასწავლო პროცესის კრიტიკული გააზრებისათვის, ინოვაციური მიდგომების დანერგვისთვის.

მეოთხე კომპონენტი. დირექტორი, როგორც ლიდერი, რომელიც ეფექტიანად მართავს **ადამიანურ რესურსებს:**
ა) ნერგავს გაზიარებული პასუხისმგებლობისა და მიკუთვნებულობის განცდის კულტურას;

ბ) არის მოსწავლეთა აკადემიური და პიროვნული ზრდის მხარდამჭერი;
გ) უზრუნველყოფს სკოლის შიგნით როგორც ინდივიდების, აგრეთვე მთლიანად სასკოლო საზოგადოების განვითარებას;
დ) უზრუნველყოფს სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერას.

მეხუთე კომპონენტი. დირექტორი, როგორც **ადმინისტრაციული ლიდერი:**
ა) უზრუნველყოფს სკოლის მდგრად ორგანიზაციულ განვითარებასა და მართვას;
ბ) უზრუნველყოფს რესურსების მობილიზებას სასურველი შედეგების მისაღწევად;
გ) აწესებს ანგარიშვალდებულების სისტემას;
დ) სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში ქმნის თანამშრომლობით გარემოს მოსწავლეთა პიროვნული განვითარებისთვის;
ე) ქმნის განვითარებაზე ორიენტირებული აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის ორგანიზაციულ სისტემას;
ვ) ქმნის პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული განვითარების მხარდაჭერის ორგანიზაციულ სისტემას;
ზ) უზრუნველყოფს რესურსების მიზნობრივად მობილიზებას და მართვას სასურველი შედეგების მისაღწევად.

საჯარო სკოლის დირექტორი, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის მისაბაძი მაგალითი, სასკოლო კულტურის შემქმნელი, საგანმანათლებლო ლიდერი, ადამიანური რესურსების მმართველი და ადმინისტრაციული ლიდერი, ხელს უწყობს:
ა) სკოლისა და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ღირებულებებისა და ქცევების დანერგვის შესაძლებლობას

(მათ შორის, ვალდებულებას, შექმნას და შეინარჩუნოს ეფექტური პროფესიული სასწავლო საზოგადოება);

ბ) ეფექტიანი სკოლების მახასიათებლების გაცნობიერებას;

გ) სკოლის საზოგადოების მომავლის ხედვის პოპულარიზაციას, რომელიც საერთო მიზნებსა და ღირებულებებზეა დაფუძნებული;

დ) სასკოლო საზოგადოების წევრების ვალდებულებას ყველა მოსწავლის პოტენციალის რეალიზაციისათვის;

ე) სწავლის ხარისხის მართვას;

ვ) უსაფრთხო, ინკლუზიური და მიზანზე ორიენტირებული სასკოლო გარემოს შექმნას;

ზ) კონსტრუქციული და პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობების ჩამოყალიბებას თანამშრომლებს, მოსწავლეებს, მშობლებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის;

თ) თანამშრომელთა მოტივირებას, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ სკოლის განვითარებაში. სკოლის ხედვისა და მიზნების განხორციელებას სკოლის ფინანსური, ადამიანური და მატერიალური რესურსების ოპტიმიზაციით გამართული მართვის სისტემითა და პრაქტიკის მეშვეობით.

დირექტორის საქმიანობის მიმართულებები წარმოდგენილია ოთხი ძირითადი მიმართულებით, რომლებიც ურთიერთდამოკიდებული და თანაბრად მნიშვნელოვანია. ეს მიმართულებებია:

1. **სკოლის ფილოსოფია** – დირექტორს გაცნობიერებული აქვს:

   ა) სკოლის მისია და დანიშნულება საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში და იცის, როგორ ჩამოაყალიბოს, განავითაროს და მართოს სწავლაზე ორიენტირებული სასკოლო კულტურა, რომელსაც იზიარებს და მხარს უჭერს სასკოლო საზოგადოება.

ბ) სტრატეგიული დაგეგმვის მნიშვნელობა სკოლის ეფექტიანად მართვის პროცესში და იცის, როგორ გამოყოს პრიორიტეტები სტრატეგიული მიზნებისთვის და შექმნას ამ მიზნების რეალიზების ეფექტიანი მექანიზმი.

გ) სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების ციკლური ბუნება და იცის, როგორ განახორციელოს მონიტორინგი და შეფასება დაგეგმილი პროცესების გაუმჯობესებისა და განვითარებისთვის.

2. **სკოლის კურიკულუმი** – დირექტორს გაცნობიერებული აქვს:

ა) სასკოლო საზოგადოების როლი და მნიშვნელობა სასკოლო ცხოვრებასა და სწავლა/სწავლების პროცესში და იცის, როგორ შექმნას ნაყოფიერი სივრცე კონსტრუქციული კომუნიკაციისა და თანამშრომლობისათვის მოსწავლის აკადემიური წარმატებისა და პიროვნული ზრდის ხელშესაწყობად.

ბ) სასკოლო კურიკულუმი, როგორც ეროვნული სასწავლო გეგმის, საგნობრივი სტანდარტებისა და მეთოდური ორიენტირების რეალიზების ორიგინალური გზა და იცის, როგორ შექმნას პროდუქტიული გარემო მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისთვის.

გ) სწავლის კონსტრუქტივისტული ბუნება და იცის, როგორ განავითაროს მოსწავლეზე ორიენტირებული, აქტიური და შემოქმედებითი სასწავლო პროცესი.

დ) სასწავლო პროცესის გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირების მნიშვნელობა და იცის, როგორ განავითაროს მოსწავლის აკადემიური მიღწევის პროგრესსა და პიროვნულ ზრდაზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი.

ე) ზრუნვასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს მნიშვნელობა და იცის, როგორ განავითა-

როს პოზიტიური სასწავლო კლიმატი კლასისა და სკოლის დონეზე.

ვ) მონიტორინგისა და შეფასების, როგორც მიმდინარე სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილის მნიშვნელობა და იცის, როგორ გამოიყენოს ის პროცესებისა და შედეგების გაუმჯობესებისათვის.

ზ) სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის ციკლური ბუნება და იცის, როგორ გაითვალისწინოს წინარე გამოცდილება კურიკულუმის გადამუშავებისთვის.

3. **სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა –** დირექტორს გაცნობიერებული აქვს:

ა) სკოლის ორგანიზაციული მოწყობის მნიშვნელობა დასახული მიზნების მიღწევისთვის და იცის, როგორ შექმნას გაზიარებულ პასუხისმგებლობასა და დელეგირებაზე დაფუძნებული სისტემა.

ბ) ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მნიშვნელობა სკოლის განვითარებისთვის და იცის, როგორ წარმართოს საჭიროებებზე დაფუძნებული პერსონალის დაგეგმვის, შერჩევისა და მართვის პროცესები.

გ) ადამიანური რესურსების განვითარებაზე ორიენტირებული სასკოლო კულტურის როლი და მნიშვნელობა სწავლა-სწავლების პროცესში და იცის, როგორ დანერგოს პერსონალის შეფასებისა და განვითარების მხარდამჭერი სისტემა, რომელიც ორიენტირებულია მიღწევებსა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე.

დ) სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკის მნიშვნელობა და იცის, როგორ უზრუნველყოს შესაბამისი პროცედურების განხორციელება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად.

ე) სასკოლო საზოგადოების ჩართულობაზე დაფუძნებული სკოლის მართვის პოლიტიკის მნიშვნელობა და

იცის, როგორ უზრუნველყოს საგანმანათლებლო საქმიანობის თანამონაწილეობითი მართვა.

ვ) ფიზიკური და ფსიქოემოციური უსაფრთხო გარემოს როლი და მნიშვნელობა სწავლის პროცესში და იცის, როგორ უზრუნველყოს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება.

ზ) სკოლის მატერიალური რესურსისა და ინფრასტრუქტურის მნიშვნელობა დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და იცის, როგორ დაგეგმოს და განახორციელოს მათი მართვის პოლიტიკა.

თ) თანამედროვე ტექნოლოგიების მნიშვნელობა დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და იცის, როგორ უზრუნველყოს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და სკოლის მართვის პროცესში.

ი) სისტემური საქმისწარმოების მნიშვნელობა ორგანიზებული პროცესების წარმართვისთვის და იცის, როგორ უზრუნველყოს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კ) საზოგადოებასთან მიზანმიმართული ურთიერთობის მნიშვნელობა და იცის, როგორ წარმართოს სტრატეგიული კომუნიკაცია დაინტერესებულ მხარეებთან.

ლ) დაწესებულების ფინანსური მდგრადობის მნიშვნელობა და იცის, როგორ უზრუნველყოს სკოლის ფინანსური მართვა სტრატეგიული მიზნების მისაღწევად.

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა – დირექტორს გაცნობიერებული აქვს:

ა) მოსწავლეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მნიშვნელობა და იცის, როგორ შექმნას გარანტიები მათ უზრუნველსაყოფად.

ბ) სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მნიშვნელობა და იცის, როგორ უზრუნველყოს ამ პროცესის ხელშემწყობი სისტემის ჩამოყალიბება.

გ) სკოლის, როგორც მოსწავლეზე ორიენტირებული ინსტიტუციის როლი და მნიშვნელობა და იცის, როგორ შექმნას მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის სისტემა.

დ) სკოლის როლი მოსწავლის კარიერული დაგეგმვის პროცესში და იცის, როგორ შექმნას პროფესიული ორიენტაციის მხარდამჭერი სისტემა.

ე) მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინების მნიშვნელობა სასწავლო პროცესში და იცის, როგორ შექმნას ინკლუზიური გარემო მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

ვ) მოსწავლეებისთვის საჭიროებებზე მორგებული დამატებითი მომსახურების მნიშვნელობა და იცის, როგორ უზრუნველყოს მრავალფეროვანი სერვისების მიწოდება მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.[91]

საჯარო სკოლის დირექტორი თავისი ფუნქციების შესრულებისას დამოუკიდებელი, კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელია, რომელიც:

- გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს;
- ახორციელებს სკოლის მართვას;
- წარმოადგენს სკოლას მესამე პირებთან ურთიერთობებში;
- სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სკოლის შინაგანაწესს და სკოლის ბიუჯეტს;
- შეიმუშავებს საშტატო განრიგს;

---

[91] „საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 26 სექტემბრის №109/ნ ბრძანება.

- უფლებამოსილია, მოწვეული მასწავლებლისა და შემცვლელი მასწავლებლისათვის დაადგინოს საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- მონაწილეობს პედაგოგიური საბჭოს მიერ სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში;
- საქართველოს, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული პირობებისა და წესის შესაბამისად უზრუნველყოფს მასწავლებლებსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულებების დადებასა და შესრულებას;
- უფლებამოსილია, ვადამდე შეუწყვიტოს მასწავლებელს შრომითი ხელშეკრულება ხელშეკრულების პირობების დარღვევის, საალმზრდელო საქმიანობისათვის შეუფერებელი ქმედების ჩადენის ან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით არაკვალიფიციურობის დადასტურების შემთხვევაში;
- უფლებამოსილია, სამეურვეო საბჭოს წევრ მასწავლებელს შრომითი ხელშეკრულება შეუწყვიტოს მხოლოდ სამეურვეო საბჭოს თანხმობის შემთხვევაში;
- სკოლის სამეურვეო საბჭოს ყოველი წლის 10 დეკემბრამდე აბარებს ანგარიშს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, ხოლო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში – ანგარიშს ფინანსური საქმიანობის შესახებ;
- უფლებამოსილია, დადოს გარიგებები, მათ შორის, სკოლის ქონების შესახებ, გარდა იმ გარიგებებისა, რომელთათვისაც საქართველოს კანონმდებლობითა და სკოლის წესდებით გათვალისწინებულია სამეურვეო საბჭოს ან კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს თანხმობა;
- სკოლის წესდებით გათვალისწინებული წესით განიხილავს საჩივრებს და იღებს შესაბამის ზომებს;
- სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით თანამშრომლობს საჯარო სამართლის იუ-

რიდიულ პირთან – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან და საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურთან;

- საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების არაჯეროვნად განხორციელებისას უფლებამოსილია, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსს წარუდგინოს დასაბუთებული მიმართვა;
- ზედამხედველობს სკოლაში მიმდინარე სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს;
- ვალდებულია, მის მიერ განსაზღვრულ შესაბამის უფლებამოსილ პირს მიაწოდოს ინფორმაცია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შესაძლო ჩადენის ფაქტზე, თუ არსებობს ძალადობის განმეორების საშიშროება;
- შეიმუშავებს სკოლის წესდების პროექტს და მას წარუდგენს სამეურვეო საბჭოს შესათანხმებლად, ხოლო სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებულ პროექტს წარუდგენს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დასამტკიცებლად;
- სამეურვეო საბჭოს დავალების შემთხვევაში, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, სასწავლო წლის დამამთავრებელი გამოცდების ჩატარების მიზნით მიმართავს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს და დებს შესაბამის ხელშეკრულებას;
- ასრულებს საჯარო სკოლის მართვის ორგანოების ფუნქციებს ახალდაფუძნებული ან/და რეორგანიზებული საჯარო სკოლის პირველი სამეურვეო საბჭოს შექმნამდე;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით სამეურვეო საბჭოს დათხოვნის, უფლებამოსილების შეწყვეტის ან უფლებამოსილების განხორციელების შეუძ-

ლებლობის, აგრეთვე სამეურვეო საბჭოს ვერარჩევის შემთხვევაში ასრულებს საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ფუნქციებს;

- ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და სკოლის წესდებით გათვალისწინებულ სხვა საქმიანობას;
- ნიშნავს დირექტორის იმ მოადგილეს, ხოლო დირექტორის მოადგილის თანამდებობის არარსებობის შემთხვევაში – სკოლის იმ თანამშრომელს, რომელიც დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში შეასრულებს დირექტორის მოვალეობას, და ამ მონაცემს სარეგისტრაციოდ უგზავნის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას;[92]
- იჩენს თანაბარ ყურადღებას მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლის ან სკოლაში დასაქმებული სხვა პირის მიმართ, განურჩევლად სქესის, რასის, ენის, რელიგიის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების, შეზღუდული შესაძლებლობისა თუ სხვა ნიშნისა;
- უზრუნველყოფს სასკოლო დისციპლინის დაცვას ისეთი მეთოდების საშუალებით, რომლებიც არ ეწინააღმდეგება მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლისა და სკოლაში დასაქმებული სხვა პირების თავისუფლებისა და ღირსების პატივისცემას;
- უზრუნველყოფს უსაფრთხო, ეფექტური, ორგანიზებული და კეთილგანწყობილი სასწავლო და სამუშაო გარემოს შექმნას სკოლაში;
- იცავს მოსწავლესთან, მშობელთან, მასწავლებელთან და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

---

92 „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 43-ე მუხლი.

- ხელს უწყობს სკოლაში ინკლუზიური განათლების დანერგვას;
- არ ეწევა რელიგიურ (გარდა იმ სკოლების სკოლის დირექტორებისა, რომლებიც ეწევიან რელიგიურ საგანმანათლებლო საქმიანობას) და პოლიტიკურ პროპაგანდას;
- არ იყენებს პროფესიულ ან ინსტიტუციურ პრივილეგიებს პირადი მიზნებისათვის;
- არ იყენებს მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლის ან სკოლაში დასაქმებული სხვა პირის ფიზიკურ და ინტელექტუალურ შრომას ან პოტენციალს პირადი მიზნებისათვის;
- უფრთხილდება და კეთილსინდისიერად განკარგავს სკოლის ადამიანურ, ფინანსურ და მატერიალურ რესურსებს და უზრუნველყოფს მათ მიზნობრივ გამოყენებას;
- არ ავრცელებს მცდარი ინფორმაციის შემცველ საჯარო განცხადებებს სკოლის საქმიანობის ან/და მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლისა და სკოლაში დასაქმებული სხვა პირების თაობაზე;
- ინარჩუნებს სიმშვიდეს კონფლიქტურ სიტუაციებში, ისმენს დაპირისპირებულ მხარეთა აზრს და იღებს ობიექტურ და სამართლიან გადაწყვეტილებებს;
- არ აყენებს მოსწავლეს, მშობელს, მასწავლებელსა და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირს რაიმე სახის შეურაცხყოფას და არ ახდენს მათზე ემოციურ (ფსიქოლოგიურ) ზეწოლას;
- ზრუნავს მისი თანამდებობისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებასა და ცოდნის გაღრმავებაზე;
- ყოველთვის პუნქტუალურია და აცვია მოწესრიგებულად;
- მეტყველებს ეთიკური ნორმების შესაბამისად, გამართული და გასაგები ენით;
- თანასწორად, პატივისცემით ეპყრობა მასწავლებლებს და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებს, მიუხედავად მათი პროფესიული გამოცდილებისა თუ პიროვნული თავისებურებებისა;

- თანამშრომლობს ყველა მასწავლებელთან და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირთან, ითვალისწინებს მათ აზრებს სკოლის განვითარების ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში;
- ითავსებს მრჩევლის ფუნქციას სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სიძნელეების გადასალახავად და, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალურად აწვდის თავის შენიშვნებსა და შეთავაზებებს მასწავლებლებსა და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებს;
- ხელს უწყობს მასწავლებლებსა და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებს პროფესიულ განვითარებაში;
- უქმნის ყველა პირობას დამწყებ მასწავლებლებს სასკოლო გარემოში ინტეგრაციისთვის;
- უზრუნველყოფს მასწავლებლების დროულად ინფორმირებას ზოგადი განათლების სფეროში სიახლეების, დამხმარე პროფესიული ლიტერატურისა და პროფესიული განვითარების პროგრამების შესახებ;
- ხელს უწყობს მასწავლებლებს ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული სასწავლო მიზნებისა და ამოცანების მიღწევაში;
- თანამშრომლობს სკოლის მანდატურთან, ითვალისწინებს მის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას და რეაგირებს მასზე;
- ზრუნავს, რომ ყველა მოსწავლემ მიიღოს ხარისხიანი განათლება.
- ხელს უწყობს მოსწავლეს დემოკრატიული, სამოქალაქო და პატრიოტული ღირებულებების ჩამოყალიბებაში;
- პატივს სცემს მოსწავლეთა აზრებს, უქმნის მათ ყველა პირობას იდეებისა და შეხედულებების თავისუფლად გამოსახატავად;
- მაგალითს აძლევს და ეხმარება მოსწავლეებს ჯანსაღი ცხოვრების წესისათვის აუცილებელი ღირებულებებისა და უნარ-ჩვევების განვითარებაში;

- მოსწავლეებთან ურთიერთობის დროს იცავს მორალურ და ზნეობრივ ნორმებს;
- არ უწევს საკუთარი სკოლის მოსწავლეს დამატებით ფასიან საგანმანათლებლო მომსახურებას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- ზრუნავს მოსწავლის ჯანმრთელობის, პირადი უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვაზე სასწავლო პროცესის დროს;
- ხელს უწყობს მშობლების ჩართულობას სასწავლო პროცესში;
- მშობლის სურვილის შემთხვევაში, განმარტებებს აძლევს მშობლებს სასკოლო სასწავლო გეგმის შესახებ;
- თანამშრომლობს მშობლებთან, საჭიროების შემთხვევაში, ატარებს მათთან ინდივიდუალურ შეხვედრებს;
- მშობელთან ურთიერთობას თავაზიანად და თანამშრომლობის ფორმით წარმართავს.[93]

2.2. საჯარო სკოლის დირექტორის არჩევა/დანიშვნა და დირექტორისთვის უფლებამოსილების შეწყვეტა

საჯარო სკოლის დირექტორად შეიძლება აირჩეს ან დაინიშნოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება, მუშაობის 3 წლის სტაჟი და აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. დირექტორი/დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი არ შეიძლება იყოს განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირი, რომელსაც მოხსნილი არ აქვს ნასამართლეობა. დირექტორი ირჩევა/ინიშნება 6 წლის ვადით. ერთ სკოლაში პირის დირექტორად არჩევა/დანიშვნა შეიძლება ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

---

[93] „სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს №80/ნ ბრძანება.

საჯარო სკოლის დირექტორის არჩევა ეწოდება, საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის წესის შესაბამისად, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ წარდგენილი პირის, საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 6 წლის ვადით საჯარო სკოლის დირექტორად არჩევას.

საჯარო სკოლის დირექტორის დანიშვნა ეწოდება, საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის წესის შესაბამისად დირექტორის არარჩევის/ვერარჩევის შემთხვევაში, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, 6 წლის ვადით დირექტორის დანიშვნას.

დირექტორის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა ანაზღაურებად საქმიანობასთან იმავე სკოლაში. გამონაკლისის სახით, დირექტორი, თუ მას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აქვს პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების უფლება, უფლებამოსილია, ეწეოდეს პედაგოგიურ საქმიანობას, კანონმდებლობით დადგენილი წესით. იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელიც ახორციელებს პროფილურ სახელოვნებო განათლებასა და მომზადებას, დაწესებულების სამხატვრო ხელმძღვანელმა შეიძლება განახორციელოს დირექტორის უფლებამოსილება.[94]

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო საჯარო სკოლის დირექტორის კანდიდატურას საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსთვის ასარჩევად წარდგენის მიზნით, არჩევს ღია კონკურსის საფუძველზე, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით. შესარჩევი კონკურსის მიზანია, დი-

[94] „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 41-ე მუხლი.

რექტორობის კანდიდატის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამტკიცებულ „საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტთან" შესაბამისობის დადგენა და საჯარო სკოლების სამეურვეო საბჭოებისათვის დირექტორობის კანდიდატების ასარჩევად წარდგენა.

საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსთვის წარდგენის მიზნით, შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დირექტორობის კანდიდატი რეგისტრირდება ელექტრონულად. რეგისტრაციისას დირექტორობის კანდიდატი უთითებს არაუმეტეს სამ საჯარო სკოლას, სადაც სურს, წარადგინონ ასარჩევად.

საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსთვის წარდგენის მიზნით დირექტორობის კანდიდატი გადის ორ ეტაპს: ტესტირებას და გასაუბრებას. ტესტირების ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად. გასაუბრებაზე კი დაიშვება დირექტორობის კანდიდატი, რომელიც გადალახავს ტესტირებისათვის დადგენილ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს.

დირექტორობის კანდიდატს უფლება აქვს, ტესტირებასთან (ტესტირების შედეგებთან, ტესტურ დავალებათა სისწორესა და პროცედურულ დარღვევასთან) დაკავშირებული პრეტენზიები წარადგინოს საგანმანათლებლო რესურსცენტრსა ან მართვის სისტემაში ტესტირების შედეგების მართვის სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. ტესტირების შედეგებსა და ტესტურ დავალებათა სისწორესთან დაკავშირებულ საპრეტენზიო განაცხადში მითითებული უნდა იყოს იმ ტესტური დავალების/დავალებების ნომერი/ნომრები, რომლის/რომელთა თაობაზეც წარდგენილია პრეტენზია. პროცედურულ დარღვევასთან დაკავში-

რებულ საპრეტენზიო განაცხადში მითითებული უნდა იყოს დარღვეული პროცედურის აღწერა. მართვის სისტემა პრეტენზიებს განიხილავს საპრეტენზიო განაცხადის მართვის სისტემაში შემოსვლიდან ერთი თვის ვადაში და შედეგებს აცნობებს დირექტორობის კანდიდატს.

ტესტირების შედეგებთან, ტესტურ დავალებათა სისწორესა და პროცედურულ დარღვევასთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით, მართვის სისტემის უფროსი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით ქმნის საპრეტენზიო კომისიას. საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობაში შედიან: კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი და სხვა წევრები. საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას მისი არყოფნის შემთხვევაში. საპრეტენზიო კომისიის მდივანი აწარმოებს კონკურსთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტაციას და ადგენს ოქმებს. მდივანი ასრულებს მხოლოდ სამდივნოს ფუნქციას, არ იღებს კომისიის მიერ საკითხების განხილვაში მონაწილეობას და არ გააჩნია ხმის უფლება. საპრეტენზიო კომისიის თითოეულ წევრს, გარდა მდივნისა, აქვს ერთი ხმის უფლება.

საპრეტენზიო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ხმის უფლების მქონე საპრეტენზიო კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრის ფორმით დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარის ხმა.

საპრეტენზიო კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და დამსწრე წევრები. საპრეტენზიო კომისიის წევრს უფლება აქვს, თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი აღნიშვნა.

საპრეტენზიო კომისია:

ა) განიხილავს და აფასებს ნამუშევრის პასუხის შინაარსსა და სისწორეს მხოლოდ იმ კონკრეტულ ტესტურ დავალებაზე, რომლის თაობაზეც საპრეტენზიო კომისიაში შესულია საპრეტენზიო განაცხადი დირექტორობის კანდიდატისაგან;

ბ) აფასებს ტესტური დავალების ან/და ტესტური დავალების პასუხ(ებ)ის სისწორეს, მხოლოდ იმ კონკრეტულ ტესტურ დავალებაზე, რომლის თაობაზეც საპრეტენზიო კომისიაში შესულია საპრეტენზიო განაცხადი დირექტორობის კანდიდატისაგან;

გ) განიხილავს პროცედურულ დარღვევასთან დაკავშირებულ და ტესტირების პროცესში წარმოშობილ ტექნიკური გაუმართაობის შესახებ პრეტენზიებს;

დ) უფლებამოსილია, მოიწვიოს შესაბამისი პირი და მიიღოს ახსნა-განმარტება, რომელიც აუცილებელია საკითხის განხილვა/გადაწყვეტისათვის.

საპრეტენზიო კომისია არ განიხილავს საპრეტენზიო განაცხადს:

ა) თუ ის ზოგადი ხასიათისაა;

ბ) საპრეტენზიო განაცხადი წარდგენილია დადგენილი ვადის დარღვევით.

საპრეტენზიო კომისია იღებს შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) დირექტორობის კანდიდატისათვის ქულის ცვლილების შესახებ;

ბ) დირექტორობის კანდიდატისათვის ქულის უცვლელად დატოვების შესახებ;

გ) დირექტორობის კანდიდატის მიმართ პროცედურული დარღვევის დადასტურებისას – დამატებით გამოცდაზე გაშვების თაობაზე.

დირექტორობის კანდიდატი, მის მიერ რეგისტრაციისას მითითებული საჯარო სკოლების სამეურვეო საბჭოსათვის

წარდგენის მიზნით, ტესტირების წარმატებით გავლის შემთხვევაში, გადის გასაუბრებას საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით შექმნილ კომისიასთან/კომისიებთან და წარადგენს რეგისტრაციისას მითითებული სკოლის/სკოლების სტრატეგიული განვითარების ხედვას.

გასაუბრების შედეგების საფუძველზე კომისია:

ა) დირექტორობის კანდიდატს მის მიერ ელექტრონული რეგისტრაციისას მითითებულ საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს/საბჭოებს წარუდგენს ასარჩევად;

ბ) დირექტორობის კანდიდატს მის მიერ ელექტრონული რეგისტრაციისას მითითებულ საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს/საბჭოებს არ წარუდგენს ასარჩევად.

შერჩეული კანდიდატებისა და შესაბამისი სკოლების სია მტკიცდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით და 5 კალენდარული დღის ვადაში წარედგინება შესაბამის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ასარჩევად.

დირექტორობის კანდიდატები მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით ასარჩევად წარედგინება მხოლოდ იმ საჯარო სკოლების სამეურვეო საბჭოებს, რომელთაც დირექტორობის უფლების მქონე პირები მიუთითებენ ელექტრონული რეგისტრაციისას. დირექტორობის კანდიდატი დირექტორად არჩევამდე საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წარუდგენს:

ა) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლს;

ბ) ფოტოსურათს;

გ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს;

დ) ცნობას მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილების შესახებ, მათ შორის განათლების სფეროში სწავლების არანაკლებ ერთწლიანი გამოცდილების შესახებ;
ე) სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობას;
ვ) ცნობას ნასამართლეობის შესახებ;
ზ) ცნობას სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ;
თ) საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ განსაზღვრულ სხვა დოკუმენტს.

სამეურვეო საბჭო დირექტორს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 6 წლის ვადით, სამეურვეო საბჭოსათვის წარდგენილი დირექტორობის კანდიდატებისაგან ირჩევს მათი წარდგენიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში.

სამეურვეო საბჭოს მიერ დირექტორის არჩევის/არარჩევის თაობაზე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სამინისტროში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სამეურვეო საბჭოს მიერ დირექტორის შესარჩევი კონკურსის წესის შესაბამისად, დირექტორის არარჩევის/ვერარჩევის შემთხვევაში, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო უფლებამოსილია, 6 წლის ვადით დანიშნოს დირექტორობის უფლების მქონე პირი დირექტორად, რაც საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დისკრეციული უფლებამოსილებაა. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს გადაწყვეტილება დირექტორის დანიშვნის თაობაზე საჩივრდება სასამართლოში და მისი გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას.[95]

---

[95] „საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის გამართვის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის ბრძანება.

სამეურვეო საბჭო არჩეულ დირექტორთან აფორმებს შრომითი ხელშეკრულებას საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

საჯარო სკოლის დირექტორს უფლებამოსილება უწყდება უფლებამოსილი ორგანოს მიერ, საქართველოს კანონმდებლობით ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. საჯარო სკოლის დირექტორს უფლებამოსილება აგრეთვე შეიძლება შეუწყდეს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საპენსიო ასაკის მიღწევისას. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დანიშნული და არჩეული დირექტორებისათვის არ შეიძლება არსებობდეს განსხვავება საჯარო სკოლის დირექტორის უფლებამოსილების (მათ შორის, დირექტორთან შრომითი ხელშეკრულების) შეწყვეტის საფუძვლებსა და წესებში.

დირექტორს უფლებამოსილება უწყდება შესაბამისი გადაწყვეტილების განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ რეგისტრაციის მომენტიდან.

ახალი დირექტორის არჩევამდე ან საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დირექტორის დანიშვნამდე დირექტორის უფლებამოსილებებს ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დანიშნული დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

დირექტორის არჩევა ან დირექტორის/დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნა იწვევს დირექტორის მოადგილის/მოადგილეების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას.[96]

---

[96] „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი.

3. საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭო და საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა

საჯარო სკოლის სტრუქტურით თვითმმართველობის ორგანოები შექმნილია როგორც პედაგოგებისათვის, ასევე მოსწავლეებისათვისაც, რომელსაც მიეკუთვნება პედაგოგიური საბჭო, რომელიც არის სკოლის მასწავლებელთა თვითმმართველობის ორგანო და მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც არის სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანო.

პედაგოგიურ საბჭოში ყველა მასწავლებელი და მასწავლებლობის მაძიებელი სარგებლობს თანაბარი ხმის უფლებით. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი. საბჭოს წევრთა ერთ მესამედს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს მოიწვიოს პედაგოგიური საბჭოს სხდომა, მოითხოვოს სამეურვეო საბჭოში მათი წარმომადგენლის მოსმენა. პედაგოგიურ საბჭოს ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც აირჩევა 3 წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე იწვევს და წარმართავს საბჭოს სხდომებს. პედაგოგიური საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხმების უმრავლესობით, არანაკლებ საერთო ხმების ერთი მესამედისა.

პედაგოგიურ საბჭოში მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე იქმნება ცალკეული სამუშაო ჯგუფები, რომლებიც ასრულებენ საბჭოს დავალებებს და ანგარიშვალდებულნი არიან მის წინაშე.

იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელიც ახორციელებს პროფილურ სახელოვნებო განათლებასა და მომზადებას, პედაგოგიური საბჭოს უფლებამოსილებები შეიძლება განახორციელოს სამხატვრო საბჭომ.

პედაგოგიური საბჭო:

ა) ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დირექტორის მონაწილეობით შეიმუშავებს და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმებს;

ბ) საჭიროების შემთხვევაში, დირექტორთან შეთანხმებით ამტკიცებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას;

გ) სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით, საფეხურებისა და საგნების შესაბამისად, ამტკიცებს სასწავლო მასალას, მათ შორის, გრიფმინიჭებული, პედაგოგების მიერ შერჩეული, სასწავლო წლის ვანმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხას;

დ) ირჩევს მასწავლებლის პროფესიული განვითარების ფასილიტატორს;

ე) ირჩევს თავის წარმომადგენლებს სამეურვეო საბჭოში;

ვ) უფლებამოსილია, ვადამდე გადაირჩიოს თავისი წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში.[97]

მოსწავლეთა თვითმმართველობა არის მოსწავლეთა არჩევითი ორგანო. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები ირჩევენ საკუთარ თვითმმართველობებს. მოსწავლეები თავიანთ წარმომადგენლებს თვითმმართველობაში ირჩევენ თანასწორობის საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, კლასების მიხედვით თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპის დაცვით, შემდეგი წესით:

ა) საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები ტარდება სასწავლო წლის დაწყებიდან არა უგვიანეს 1 თვის ვადაში;

ბ) მოსწავლეთა თვითმმართველობების არჩევნების ჩატარების თარიღს ნიშნავს სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე;

გ) საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეთა თვითმმართველობებში თითოეული კლასის მოსწავლეები ირჩევენ თითო წარმომადგენელს, მომდევნო სასწავლო წელს სამეურვეო საბჭოს მიერ მოსწავლეთა შესაბამისი თვითმმართველობის ახალი არჩევნების ჩატარებამდე;

---

[97] „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 45-ე-46-ე მუხლები.

დ) საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობების არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს, შესაბამისად, საბაზო და საშუალო საფეხურის ყველა მოსწავლეს;

ე) საბაზო და საშუალო საფეხურების თითოეული კლასის მოსწავლე ხმას აძლევს ერთ კანდიდატს, შესაბამისად, საბაზო ან საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობაში ასარჩევად. გამარჯვებულად ითვლება მოსწავლე, რომელიც შესაბამის კლასში მეტ ხმას მოიპოვებს;

ვ) სკოლებში, სადაც საბაზო ან საშუალო საფეხურზე, თითოეულზე, კლასების რაოდენობა არ აღემატება სამს, თითოეული კლასის მოსწავლე ხმას აძლევს 3 კანდიდატს შესაბამისი საფეხურის თვითმმართველობაში ასარჩევად. ამ შემთხვევაში გამარჯვებულად ითვლება კლასში ხმების უმეტესი რაოდენობის მქონე 3 კანდიდატი;

ზ) მოსწავლეები, რომელთაც სურთ, არჩეულნი იყვნენ საბაზო ან საშუალო საფეხურის თვითმმართველობაში, რეგისტრაციას გადიან შესაბამისი კლასის დამრიგებელთან არჩევნების ჩატარებამდე არა უგვიანეს 3 დღით ადრე, დამრიგებლის არარსებობის შემთხვევაში კი – სკოლის დირექტორთან.

თ) მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრობის კანდიდატების მიერ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის წარმოებაზე ვრცელდება საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატების მიერ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის წარმოებისათვის დადგენილი წესი.

თვითმმართველობის წევრები არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან 7 დღის ვადაში საკუთარი შემადგენლობიდან სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევენ შესაბამისი საფეხურის თვითმმართველობის თავმჯდომარეს, რომელიც ხელმძღვანელობს საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველო-

ბას. საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე წარმოადგენს მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელს სამეურვეო საბჭოში.

მოსწავლეთა თვითმმართველობა:

ა) შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის შინაგანაწესის შესახებ;

ბ) უფლებამოსილია, სამეურვეო საბჭოს წარუდგინოს წინადადებები სკოლისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის, მოპოვებული გრანტის განკარვასთან დაკავშირებით;

გ) წევრთა ერთი მეხუთედის ინიციატივით ქმნის სასკოლო კლუბებს;

დ) საშუალო საფეხურზე ირჩევს თავის წარმომადგენელს დისციპლინურ კომიტეტში.

საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება ამ სკოლაში სწავლის შეწყვეტისთანავე/დასრულებისთანავე.[98]

4. საჯარო სკოლის დისციპლინური კომიტეტი

საჯარო სკოლაში მასწავლებლისა და მოსწავლის დისციპლინური გადაცდომის განხილვის მიზნით სამეურვეო საბჭო ირჩევს დისციპლინურ კომიტეტს, რომლის შემადგენლობაში თანაბარი რაოდენობით შედის პედაგოგი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე. სამეურვეო საბჭო დამსწრეთა უმრავლესობით, 1 წლის ვადით, ირჩევს დისციპლინური კომიტე-

---

[98] „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სკოლის წესდება, მე-10 მუხლი.

ტის წევრებს. დისციპლინური კომიტეტის წევრობის კანდიდატურის დაყენების უფლება აქვს:

ა) სამეურვეო საბჭოს მშობლების მიერ არჩეულ წევრს;

ბ) პედაგოგიურ საბჭოს;

გ) საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობას.

დაუშვებელია დისციპლინური კომიტეტის სპეციალური შემადგენლობის მოწვევა კონკრეტული შემთხვევის განხილვის მიზნით.[99]

დისციპლინური კომიტეტი ვალდებულია, დისციპლინური წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, დისციპლინური კომიტეტი უფლებამოსილია:

ა) გამოითხოვოს დოკუმენტები;

ბ) შეაგროვოს ცნობები;

გ) მოუსმინოს დაინტერესებულ მხარეებს;

დ) დაათვალიეროს მოვლენის ან შემთხვევის ადგილი;

ე) დანიშნოს ექსპერტიზა;

ვ) გამოიყენოს აუცილებელი დოკუმენტები და აქტები;

ზ) მტკიცებულებათა შეგროვების, გამოკვლევისა და შეფასების მიზნით მიმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ზომებს.

დისციპლინური კომიტეტის სხდომას ხსნის და დახურულად აცხადებს დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარე, რომელსაც სხდომა მიჰყავს დღის წესრიგის შესაბამისად. დისციპლინური კომიტეტის სხდომაზე მოწვეული უნდა იქნეს მისი

---

[99] „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სკოლის წესდება, მე-13 მუხლი.

ყველა წევრი. დისციპლინური კომიტეტი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა.

დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი. დისციპლინური კომიტეტი გადაწყვეტილებას მასწავლებლისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრების ან დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ, ასევე დისციპლინური სახდელის ვადაზე ადრე მოხსნის თაობაზე იღებს მიმართვის წარდგენიდან 3 კვირის ვადაში.

დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილება მიიღება დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმით. დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმში აისახება: დისციპლინური კომიტეტის დასახელება, დისციპლინური კომიტეტის სხდომის ადგილი, თარიღი, მისი დაწყების დრო, განხილვის საგანი, სხდომის მიმდინარეობა, დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობა, დამსწრეთა ვინაობა, მათი პოზიციები, მათ მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და შესაბამისი არგუმენტაცია, მათ მიერ დაყენებული შუამდგომლობების არსი და მათი განხილვის შედეგები, სხდომაზე მიწვეულ პირთა ვინაობა და მათ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციები, კენჭისყრის შედეგები, დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილების შინაარსი, სხდომის დამთავრების დრო. დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმს ხელს აწერენ დისციპლინური კომიტეტის სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი. დისციპლინური სახდელის დაკისრების, ასევე დისციპლინური სახდელის ვადაზე ადრე მოხსნის შესახებ დისციპლინური კომიტეტის ოქმი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით, ოქმის შედგენიდან 3 დღის ვადაში ეგზავნება სკოლის დირექტორს.[100]

---

[100] „მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

დირექტორისა და დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილება დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე შეიძლება გასაჩივრდეს სამეურვეო საბჭოში ან სააპელაციო კომიტეტში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილებების შესახებ საჩივრების განხილვის მიზნით, სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია, შექმნას სააპელაციო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში თანაბარი რაოდენობით შედის პედაგოგი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე. დაუშვებელია სააპელაციო კომიტეტის სპეციალური შემადგენლობის მოწვევა კონკრეტული შემთხვევის განხილვის მიზნით.

შეამონმე შენი ცოდნა:

ტესტი 1. „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, საჯარო სკოლის სტრუქტურა მოიცავს:

ა) სამეურვეო საბჭოს, სკოლის დირექციას, პედაგოგიურ საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობას და დისციპლინურ კომიტეტს;

ბ) სამეურვეო საბჭოს, სკოლის დირექტორს, მასწავლებლებს და მოსწავლეებს;

გ) სკოლის დირექტორს, მასწავლებლებს, მშობლებს და ბიბლიოთეკას;

დ) სკოლის დირექტორს, ბიბლიოთეკას, კლასებს და დამრიგებელს.

ტესტი 2. საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭო არის:

ა) სკოლისაგან დამოუკიდებელი ორგანო;

ბ) სკოლის თვითმმართველობის უმაღლესი არჩევითი ორგანო;

2014 წლის 30 დეკემბრის №167/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესი."

გ) სკოლის უმაღლესი დანიშვნითი ორგანო;

დ) დირექტორის სათათბირო ორგანო.

ტესტი 3. საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილების ვადაა:

ა) ერთი წელი;

ბ) ორი წელი;

გ) სამი წელი;

დ) ოთხი წელი.

ტესტი 4. სამეურვეო საბჭოს წევრია:

ა) მშობლებისა და პედაგოგიური საბჭოს მიერ თანაბარი რაოდენობით არჩეული არანაკლებ 6 და არაუმეტეს 12 წარმომადგენელი;

ბ) ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული 1 წარმომადგენელი;

გ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დანიშნული 1 წევრი;

დ) ყველა პასუხი სწორია.

ტესტი 5. სამეურვეო საბჭო იკრიბება სასწავლო წლის განმავლობაში:

ა) ერთჯერ მაინც;

ბ) 2-ჯერ მაინც;

გ) 3-ჯერ მაინც;

დ) 4-ჯერ მაინც.

ტესტი 6. სამეურვეო საბჭო:

ა) სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს სკოლის დირექტორს;

ბ) სკოლის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს, აგრეთვე ამტკიცებს სკოლის დირექტორის მიერ

მომზადებულ წლიურ ანგარიშს და უზრუნველყოფს მის საჯაროობას. იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტს, რომელიც ახორციელებს სამხედრო მომზადებას, ამტკიცებს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, ხოლო აღნიშნული ბიუჯეტის პროექტს შეიმუშავებენ ამ დაწესებულების დირექტორი და სამეურვეო საბჭო;

გ) სკოლის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესს, რომელიც ამომწურავად განსაზღვრავს დისციპლინური გადაცდომების ნუსხას და მათთვის გათვალისწინებულ დისციპლინურ სახდელებს, სკოლიდან გადაყვანის პირობებს;

დ) ყველა პასუხი სწორია.

ტესტი 7. სამეურვეო საბჭოს არჩევნებში ხმის მიცემის უფლება აქვს იმავე სკოლის:

ა) ადმინისტრაციულ პერსონალს, მასწავლებლებს, მშობლებს და დირექტორს;

ბ) სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი საგნების მასწავლებლებს, სპეციალურ მასწავლებლებს;

გ) მოსწავლის მხოლოდ ერთ მშობელს პრინციპით: „ერთი მშობელი – ერთი მოსწავლე – ერთი ხმა;

დ) „ბ" და „გ" პასუხებია სწორი.

ტესტი 8. „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, რომელი მსჯელობაა სწორი?

ა) საჯარო სკოლის დირექტორი თავისი ფუნქციების შესრულებისას დამოკიდებულია სამეურვეო საბჭოზე, რომელიც: გამოსცემს ნორმატიულ აქტებს, ახორციელებს სკოლის მართვას და წარმოადგენს სკოლას მოსწავლეებთან ურთიერთობებში;

ბ) საჯარო სკოლის დირექტორი თავისი ფუნქციების შესრულებისას დამოუკიდებელი, კეთილსინდისიერი და მიუკერძოე-

ბელია. იგი გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს, ახორციელებს სკოლის მართვას და წარმოადგენს სკოლას მესამე პირებთან ურთიერთობებში;

გ) საჯარო სკოლის დირექტორი თავისი ფუნქციების შესრულებისას ექვემდებარება პედაგოგიურ საბჭოს და გამოსცემს ნორმატიულ აქტებს, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა ყველა პირისათვის;

დ) საჯარო სკოლის დირექტორი თავისი ფუნქციების შესრულებისას მიკერძოებული და ამბიციურია. იგი გამოსცემს ნორმატიულ აქტებს, ახორციელებს სკოლის მართვას და წარმოადგენს სკოლას სამეურვეო საბჭოსთან ურთიერთობებში.

ტესტი 9. საჯარო სკოლის დირექტორი უზრუნველყოფს სასკოლო დისციპლინის დაცვას:

ა) ისეთი მეთოდების საშუალებით, რომლებიც არ ეწინააღმდეგება მოსწავლის თავისუფლებისა და ღირსების პატივისცემას;

ბ) სკოლის მანდატურის მეშვეობით, საჭიროების შემთხვევაში საპოლიციო ძალების გამოყენების დაშინების მეთოდის გამოყენებით;

გ) ნებისმიერი მეთოდების საშუალებით, რომლებიც უზრუნველყოფს სკოლაში დისციპლინის დაცვას;

დ) ყველა პასუხი არასწორია.

ტესტი 10. საჯარო სკოლის დირექტორი:

ა) ირჩევა/ინიშნება 4 წლის ვადით;

ბ) ირჩევა/ინიშნება 6 წლის ვადით;

გ) ირჩევა/ინიშნება 12 წლის ვადით;

დ) ირჩევა/ინიშნება უვადოდ.

ტესტი 11. საჯარო სკოლის დირექტორად შეიძლება აირჩეს ან დაინიშნოს:

ა) საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს პროფესიული განათლება და აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება, მუშაობის 6 წლის სტაჟი და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;

გ) საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება, მუშაობის 3 წლის სტაჟი და აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;

დ) საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს მუშაობის 2 წლის სტაჟი და ჩაბარებული აქვს ერთიანი ეროვნული დირექტორობის გამოცდა.

ტესტი 12. ერთ სკოლაში პირის დირექტორად არჩევა/დანიშვნა შეიძლება:

ა) შეუზღუდავად;

ბ) თითო არჩევნების გამოტოვებით;

გ) ერთჯერ;

დ) ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

ტესტი 13. დირექტორობის კანდიდატთან გასაუბრების შედეგების საფუძველზე კომისია:

ა) დირექტორობის კანდიდატს მის მიერ ელექტრონული რეგისტრაციისას მითითებულ საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს/საბჭოებს წარუდგენს ასარჩევად;

ბ) დირექტორობის კანდიდატს მის მიერ ელექტრონული რეგისტრაციისას მითითებულ საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს/საბჭოებს არ წარუდგენს ასარჩევად;

გ) „ა“ და „ბ“ პასუხებია სწორი;

დ) ყველა პასუხი არასწორია;

ტესტი 14. საჯარო სკოლის დირექტორის არჩევა ან დირექტორის/დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნა:

ა) იწვევს მასწავლებლების სადამრიგებლო კლასების თავიდან გადანაწილებას;

ბ) იწვევს დირექტორის მოადგილის/მოადგილეების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას;

გ) იწვევს სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას;

დ) ყველა პასუხი არასწორია.

ტესტი 15. პედაგოგიური საბჭო არის:

ა) სკოლის მასწავლებელთა თვითმმართველობის ორგანო;

ბ) სკოლის მასწავლებელთა პროფესიული გაერთიანება;

გ) სკოლის მასწავლებელთა ნებაყოფლობითი გაერთიანება;

დ) სკოლის მასწავლებელთა უფლებების დამცველი უმაღლესი ორგანო.

ტესტი 16. პედაგოგიური საბჭო:

ა) ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დირექტორის მონაწილეობით შეიმუშავებს და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმებს;

ბ) საჭიროების შემთხვევაში, დირექტორთან შეთანხმებით, ამტკიცებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას;

გ) სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით, საფეხურებისა და საგნების შესაბამისად, ამტკიცებს სასწავლო მასალას, მათ შორის, გრიფმინიჭებული, პედაგოგების მიერ შერჩეული, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხას;

დ) ყველა პასუხი სწორია.

ტესტი 17. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, რომელი დებულებაა სწორი?

ა) მოსწავლეთა თვითმმართველობა არის მოსწავლეთა არჩევითი ორგანო, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები ირჩევენ საკუთარ თვითმმართველობებს;

ბ) მოსწავლეთა თვითმმართველობა არის მოსწავლეთა დანიშვნითი ორგანო, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლები ნიშნავენ წევრებს თვითმმართველობაში;

გ) მოსწავლეთა თვითმმართველობა არის მოსწავლეთა არჩევითი ორგანო, ყველა საფეხურის მოსწავლეები ირჩევენ საკუთარ თვითმმართველობებს;

დ) მოსწავლეთა თვითმმართველობა არის მოსწავლეთა სავალდებულო გაერთიანება, რომლებიც ქმნიან თვითმმართველობებს.

ტესტი 18. მოსწავლეთა თვითმმართველობა:

ა) შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის შინაგანაწესის შესახებ;

ბ) უფლებამოსილია, სამეურვეო საბჭოს წარუდგინოს წინადადებები სკოლისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის მოპოვებული გრანტის განკარგვასთან დაკავშირებით;

გ) წევრთა ერთი მეხუთედის ინიციატივით ქმნის სასკოლო კლუბებს;

დ) ყველა პასუხი სწორია.

ტესტი 19. დისციპლინური კომიტეტის წევრობის კანდიდატურის დაყენების უფლება აქვს:

ა) სამეურვეო საბჭოს მშობლების მიერ არჩეულ წევრს;

ბ) პედაგოგიურ საბჭოს;

გ) საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობას;

დ) ყველა პასუხი სწორია.

ტესტი 20. დისციპლინურ კომიტეტს ირჩევს:

ა) სკოლის დირექტორი;

ბ) სამეურვეო საბჭო;

გ) მოსწავლეთა მშობლები;

დ) პედაგოგიური საბჭო.

ტესტების სწორი პასუხები:																			
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20
ა	ბ	გ	დ	გ	დ	დ	ბ	ა	ბ	გ	დ	გ	ბ	ა	დ	ა	დ	დ	ბ

თავი VII

მასწავლებელი

1. მასწავლებელი

მასწავლებელი არის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთ საგანს მაინც ასწავლის. „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულია მასწავლებლის თანამდებობის სახეები, მათ მიეკუთვნება:

- **დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი** – მასწავლებელი, რომელიც ერთ საგანს მაინც ასწავლის დაწყებით საფეხურზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, აკმაყოფილებს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს და ერთ-ერთ შემდეგ მოთხოვნას:
  - ა) უნდა ჰქონდეს მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მინიჭებული განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხი (ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების სწავლების უფლების მითითებით);
  - ბ) უნდა ჰქონდეს განათლების მიმართულებით მაგისტრის აკადემიური ხარისხი (ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების სწავლების უფლების მითითებით) და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია;

გ) უნდა ჰქონდეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის შესაბამისი ბაკალავრის/მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და მასწავლებლად მუშაობის დაწყებიდან 2 წლის ვადაში უნდა გაიაროს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დისტანციური კურსი;

დ) უნდა ჰქონდეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის შესაბამისი ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი უნდა ჰქონდეს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა და უნდა ჰქონდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია;

ე) უნდა ჰქონდეს მასწავლებლობის უფლება უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია;

ვ) უნდა ჰქონდეს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის ან განათლების მიმართულებაში შემავალი დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

- **საბაზო/საშუალო საფეხურის საგნის მასწავლებელი** – მასწავლებელი, რომელიც ერთ საგანს მაინც ასწავლის საბაზო და საშუალო საფეხურებზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, აკმაყოფილებს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს და ერთ-ერთ შემდეგ მოთხოვნას:

ა) უნდა ჰქონდეს მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მინიჭებული განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხი (ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების სწავლების უფლების მითითებით);

ბ) უნდა ჰქონდეს განათლების მიმართულებით მაგისტრის აკადემიური ხარისხი (ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების სწავლების უფლების მითითებით) და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია;

გ) უნდა ჰქონდეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის შესაბამისი ბაკალავრის/მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და მასწავლებლად მუშაობის დაწყებიდან 2 წლის ვადაში უნდა გაიაროს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დისტანციური კურსი;

დ) უნდა ჰქონდეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის შესაბამისი ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი უნდა ჰქონდეს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა და უნდა ჰქონდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია;

ე) უნდა ჰქონდეს მასწავლებლობის უფლება უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედ-

ვით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია;

ვ) უნდა ჰქონდეს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის ან განათლების მიმართულებაში შემავალი დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

- **საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი** – მასწავლებელი, რომელიც ერთ საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ ყველა საგანს ასწავლის საბაზო ან/და საშუალო საფეხურზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, აკმაყოფილებს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს და ერთ-ერთ შემდეგ მოთხოვნას:

ა) უნდა ჰქონდეს მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მინიჭებული განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხი (ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების სწავლების უფლების მითითებით);

ბ) უნდა ჰქონდეს განათლების მიმართულებით მაგისტრის აკადემიური ხარისხი (ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების სწავლების უფლების მითითებით) და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია;

გ) უნდა ჰქონდეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის შესაბამისი ბაკალავრის/მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და მასწავლებლად მუშაობის დაწყებიდან 2 წლის ვადაში უნდა გაიაროს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დისტანციური კურსი;

დ) უნდა ჰქონდეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის შესაბამისი ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი უნდა ჰქონდეს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა და უნდა ჰქონდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია;

ე) უნდა ჰქონდეს მასწავლებლობის უფლება უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია;

ვ) უნდა ჰქონდეს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის ან განათლების მიმართულებაში შემავალი დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

➢ **სახელოვნებო ან სასპორტო საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი** – მასწავლებელი, რომელიც სახელოვნებო ან სასპორტო საგანს/საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ ყველა საგანს ასწავლის შესაბამის საფეხურზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, აკმაყოფილებს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს, ამასთანავე, სახელოვნებო ან სასპორტო საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს:

ა) სრული ზოგადი განათლება;

ბ) შესაბამისი სახელოვნებო ან სასპორტო უმაღლესი განათლება ან/და სახელოვნებო ან სასპორტო პროფესიული განათლება და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გავლილი უნდა ჰქონდეს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა.

- **სპეციალური მასწავლებელი** – მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც დამოუკიდებლად ან საგნის მასწავლებელთან ერთად ასწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს/მოსწავლეებს ან/და ინდივიდუალურად/ჯგუფურად მუშაობს მასთან/მათთან სწავლის შედეგების გაუმჯობესებისა და სხვადასხვა უნარის განვითარების მიზნით, აკმაყოფილებს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს და ერთ-ერთ შემდეგ მოთხოვნას:
  ა) უნდა ჰქონდეს მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მინიჭებული განათლების მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი (ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების სწავლების უფლების მითითებით) და ჩაბარებული უნდა ჰქონდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სპეციალური მასწავლებლის გამოცდა, ან მოპოვებული უნდა ჰქონდეს სპეციალური მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი;
  ბ) უნდა ჰქონდეს მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მინიჭებული განათლების მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და ამ პროგრამის ფარგლებში გავლილი უნდა ჰქონდეს სპეციალური მასწავლებლის მომზადების მოდული;
  გ) უნდა ჰქონდეს სპეციალური განათლების ან განათლების მეცნიერებების (ნაშრომი უნდა ეხებოდეს ინკლუზიურ განათლებას) დოქტორის აკადემიური ხარისხი;

დ) უნდა ჰქონდეს, სულ მცირე, ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და გავლილი უნდა ჰქონდეს სპეციალური განათლების სამაგისტრო პროგრამა ან მოპოვებული უნდა ჰქონდეს სპეციალური მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი;

ე) უნდა ჰქონდეს მასწავლებლობის უფლება უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, ან, სულ მცირე, ფსიქოლოგიის ბაკალავრის, ან ოკუპაციური თერაპევტის აკადემიური ხარისხი და ჩაბარებული უნდა ჰქონდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სპეციალური მასწავლებლის გამოცდა, ან მოპოვებული უნდა ჰქონდეს სპეციალური მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი.

სპეციალური მასწავლებელი, რომელიც ასწავლის და მუშაობს მხედველობის ან სმენის დარღვევის მქონე, ან მრავლობითი სენსორული დარღვევის მქონე (ყრუ და უსინათლო), ან მძიმე/ღრმა ინტელექტუალური, ან/და მრავლობითი დარღვევის მქონე, ან ქცევითი და ემოციური დარღვევის მქონე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან, უნდა აკმაყოფილებდეს სპეციალური მასწავლებლისთვის ზემოხსენებულ ერთ-ერთ მოთხოვნას და გავლილი უნდა ჰქონდეს მხედველობის ან სმენის დარღვევის მქონე, ან მრავლობითი სენსორული დარღვევის მქონე (ყრუ და უსინათლო), ან მძიმე/ღრმა ინტელექტუალური, ან/და მრავლობითი დარღვევის მქონე, ან ქცევითი და ემოციური დარღვევის მქონე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის სწავლების სპეციალიზებული სასერტიფიკატო პროგრამა.

- **სამხედრო საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი** – სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სამხედრო საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი, რომელიც აკმაყოფილებს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს და უნდა ჰქონდეს:

ა) სრული ზოგადი განათლება;

ბ) შესაბამისი სამხედრო განათლება და, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გავლილი უნდა ჰქონდეს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა.

- **დაწყებითი საფეხურის მულტილინგვური განათლების მასწავლებელი** – არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/სექტორის მასწავლებელი, რომელიც სხვადასხვა ენაზე ასწავლის ერთ ან რამდენიმე საგანს დაწყებით საფეხურზე და უნდა იცოდეს ორი ენა, რომელთაგან ერთი აუცილებლად ქართული ენა უნდა იყოს. ამასთანავე, უნდა აკმაყოფილებდეს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს და დაწყებითი საფეხურის მასწავლებლისათვის დადგენილ ერთ-ერთ მოთხოვნას.
- **საბაზო/საშუალო საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მულტილინგვური განათლების მასწავლებელი** – არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/სექტორის მასწავლებელი, რომელიც სხვადასხვა ენაზე ასწავლის ერთ ან რამდენიმე საგანს საბაზო და საშუალო საფეხურებზე და უნდა იცოდეს ორი ენა, რომელთაგან ერთი აუცილებლად ქართული ენა უნდა იყოს. ამასთანავე, უნდა აკმაყოფილებდეს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს და საბაზო/საშუალო საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლისათვის დადგენილ ერთ-ერთ მოთხოვნას.[101]
- **მასწავლებლობის მაძიებელი** – პირი, რომელსაც აქვს, სულ მცირე, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის მიმართულებით ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ან/და სახელოვნებო ან სას-

[101] „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი, 21^2-ე-21^3-ე მუხლები.

მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა ითვალისწინებს მასწავლებლის სამ სტატუსს, ესენია: უფროსი მასწავლებლის სტატუსი, წამყვანი მასწავლებლის სტატუსი ან მენტორი მასწავლებლის სტატუსი. მასწავლებელს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი სტატუსი. მასწავლებლის სტატუსებიდან იერარქიულად ყველაზე დაბალი სტატუსია უფროსი მასწავლებლის სტატუსი, ხოლო შედარებით მაღალი სტატუსია მენტორი მასწავლებლის სტატუსი. მასწავლებლისთვის ზემოხსენებული სტატუსის მინიჭება ხდება უვადოდ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება მასწავლებლის სტატუსის მქონე პირისათვის მომდევნო, მაღალი სტატუსის მინიჭება. მასწავლებლისთვის სტატუსის მინიჭება დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატით, რომლის ფორმა მტკიცდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით.[104]

მასწავლებელი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც ნასამართლევია განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის და მოხსნილი არ აქვს ნასამართლეობა.[105]

2. მასწავლებლის უფლებები და მოვალეობები

მასწავლებელი პროფესიული ვალდებულების შესრულებისას დამოუკიდებელი, კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელია. პედაგოგიური საქმიანობის განხორციელებისას მასწავლებელი ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობითა და ეთიკის კოდექსის ნორმებით. მასწავლებელი ხელს უწყობს მოსწავ-

---

[104] „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილება.

[105] „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი, 21-ე მუხლის 1^2-ელი პუნქტი.

ლეებში დემოკრატიული და პატრიოტული ღირებულებების ჩამოყალიბებას. იგი თავისი პროფესიული საქმიანობისას სამართლიანობის, ურთიერთპატივისცემის, ადამიანის უფლებათა დაცვის, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და გარემოს დაცვის მაგალითს აძლევს მოსწავლეებს.

მასწავლებელი უნდა იცავდეს მოსწავლეებთან, მშობლებთან, მასწავლებლებსა და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. მასწავლებელი თავისი საქმიანობისას ყოველთვის უნდა იყოს პუნქტუალური, ეცვას მოწესრიგებულად, მეტყველებდეს ეთიკური ნორმების შესაბამისად, გამართული და მოსწავლეებისათვის გასაგები ენით. ეფექტურად იყენებდეს პედაგოგიური საქმიანობისთვის განკუთვნილ დროს, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად.

მოსწავლეებთან ურთიერთობისას მასწავლებელი:

- ითავსებს მოსწავლის მრჩევლის ფუნქციას სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სირთულეების გადასალახავად და, მოსწავლის სურვილის შემთხვევაში, ეხმარება მას პირადი პრობლემების მოგვარებაში.
- არ აყენებს მოსწავლეს სიტყვიერ ან ფიზიკურ შეურაცხყოფას და არ ახდენს მასზე ემოციურ (ფსიქოლოგიურ) ზეწოლას.
- არ უწევს საკუთარ მოსწავლეს დამატებით ფასიან საგანმანათლებლო მომსახურებას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- ინარჩუნებს სიმშვიდეს კონფლიქტურ სიტუაციებში, ისმენს მოსწავლეთა აზრს და იღებს ობიექტურ და სამართლიან გადაწყვეტილებებს.
- სასწავლო პროცესის განმავლობაში ზრუნავს მოსწავლის ჯანმრთელობის, პირადი უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვაზე.

- მაგალითს აძლევს და ეხმარება მოსწავლეებს ჯანსაღი ცხოვრების წესისათვის აუცილებელი ღირებულებებისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში.
- მოსწავლეებთან ურთიერთობის დროს იცავს მორალურ და ზნეობრივ ნორმებს.
- პატივს სცემს მოსწავლეთა აზრებს, უქმნის მათ ყველა პირობას იდეებისა და შეხედულებების თავისუფლად გამოსახატავად.
- არ ეწევა მოსწავლეებთან რელიგიურ (გარდა იმ სკოლების მასწავლებლებისა, რომლებიც ეწევიან რელიგიურ საგანმანათლებლო საქმიანობას) და პოლიტიკურ პროპაგანდას.
- არ იყენებს მოსწავლის ფიზიკურ და ინტელექტუალურ შრომას ან პოტენციალს პირადი მიზნებისათვის.
- იჩენს თანაბარ ყურადღებას ყველა მოსწავლის მიმართ, განურჩევლად სქესის, რასის, ენის, რელიგიის, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის ან სხვა ნიშნისა და ზრუნავს, რომ ყველა მოსწავლემ მიიღოს ხარისხიანი განათლება, მათი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა თუ შეზღუდული შესაძლებლობის მიუხედავად.

მშობლებთან ურთიერთობისას მასწავლებელი:

- თანამშრომლობს მოსწავლის მშობელთან და, საჭიროების შემთხვევაში, აწყობს მასთან ინდივიდუალურ შეხვედრებს.
- თანამშრომლობს მოსწავლის მშობელთან და თავაზიანია მასთან ურთიერთობისას.
- ყოველი სასწავლო ტრიმესტრის დასაწყისში განმარტებებს აძლევს მშობლებს სასწავლო გეგმისა და მის მიერ არჩეული სწავლების მეთოდების შესახებ.
- მოთხოვნისა და საჭიროების შესაბამისად, მშობელს დროულად და ინდივიდუალურად აწვდის ინფორმაციას მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ.

- თუ ის კლასის დამრიგებელია, აქვს ყველა მშობლის საკონტაქტო ინფორმაცია, რათა საჭიროების შემთხვევაში დროულად შეძლოს მშობელთან დაკავშირება.
- ატყობინებს მშობელს მოსწავლის დისციპლინური დარღვევის შესახებ და ხელს უწყობს მის ჩართვას სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულ დისციპლინურ წარმოებაში.
- დაუყოვნებლივ უზრუნველყოფს მშობლის ინფორმირებას, თუ მოსწავლე არ გამოცხადდა სკოლაში, ან მის ჯანმრთელობას და პირად უსაფრთხოებას საშიშროება დაემუქრა.

სკოლის დირექციასთან, მასწავლებლებსა და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებთან ურთიერთობისას მასწავლებელი:

- თანაბარი პატივისცემით ეპყრობა სკოლის დირექციას, მასწავლებლებსა და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებს, მიუხედავად მათი პროფესიული გამოცდილებისა თუ პიროვნული თავისებურებებისა.
- უზიარებს შეძენილ ცოდნასა და გამოცდილებას კოლეგებს და თანამშრომლობს მათთან.
- თანამშრომლობს სკოლის მანდატურთან და ითვალისწინებს მის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას.
- თანამშრომლობს სკოლის დირექციასთან და თავისი წვლილი შეაქვს სკოლის განვითარებისათვის დაგეგმილ ღონისძიებებში.[106]

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს დაწესებულებას მუშაობისთვის აუცილებელი პირობების შექმნა;

---

[106] იხ. ,,მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 ივლისის №57/ნ ბრძანება.

ბ) მიიღოს შრომის ანაზღაურება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილი ნორმატივების მიხედვით;

გ) აიმაღლოს კვალიფიკაცია, რისთვისაც 6 წელიწადში ერთხელ უფლებამოსილია, მოითხოვოს ანაზღაურების გარეშე შვებულება 1 წლამდე ვადით, სამუშაო ადგილის შენარჩუნებით;

დ) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

მასწავლებელი ვალდებულია:

ა) მისცეს მოსწავლეს ხარისხიანი განათლება;

ბ) იზრუნოს მოსწავლის პიროვნულ განვითარებასა და მისი მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე;

გ) იზრუნოს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე;

დ) ჩაერთოს მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში (ეს ვალდებულება არ ვრცელდება მოწვეულ მასწავლებელზე, უცხოელ მოწვეულ მასწავლებელსა და შემცვლელ მასწავლებელზე, ხოლო კერძო სკოლის მასწავლებელზე აღნიშნული ვალდებულება ვრცელდება მხოლოდ სქემით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევაში);

ე) დაიცვას მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი;

ვ) შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები;

ზ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას საქართველოს კანონმდებლობითა და შრომითი ხელშეკრულებით დადგენილი წესებით მიაწოდოს ინფორმაცია საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;

თ) უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინება სასწავლო პროცესში;

ი) ხელი შეუწყოს პირის/მოსწავლის ეფექტიან ტრანზიციას და მოამზადოს ის განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის.[107]

მასწავლებლად საქმიანობის დაწყება და შეწყვეტა ხდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად.

3. მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესი

3.1 მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე კონკურსის ჩატარება

მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესი განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაფუძნებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლაში მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, მათ შორის, კონკურსის ჩატარების წესსა და პირობებს, კონკურსის ეტაპებს, საკონკურსო კომისიის საქმიანობის წესსა და უფლებამოსილებებს და მასწავლებლის საქმიანობის შეწყვეტის წესსა და პირობებს. აღნიშნული წესი ვრცელდება იმ პირებზე, რომლებსაც სურთ დასაქმდნენ სკოლაში მასწავლებლის პოზიციაზე, მათ შორის მოწვეულ ან/და შემცვლელ მასწავლებლებზე, ასევე, იმ მასწავლებლებზე, რომლებიც კანონმდებლობით დადგენილი წესით წყვეტენ საქმიანობას სკოლაში.

პირი მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში/სკოლაში ინიშნება შიდა ან ღია კონკურსის საფუძველზე, ხოლო სპეციალური მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე ინიშნება ღია კონკურსის საფუძველზე. კონკურსის ეტაპებია:

---

[107] „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი, 21-ე მუხლი.

ა) კანდიდატების მიერ წარდგენილი განაცხადების გადარჩევა;
ბ) შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება;
გ) კონკურსის შედეგების განსაზღვრა.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს:

ა) ქმედუნარიან პირს, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს დადგენილ სპეციალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
ბ) 2015 წლის 1 იანვრამდე სერტიფიცირებულ პირს;
გ) 2015 წლამდე მოქმედ მასწავლებელს.

მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი, მოწვეული ან/და შემცვლელი მასწავლებელი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც ნასამართლევია განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის და მოხსნილი არ აქვს ნასამართლეობა. გარდა ამისა, სკოლას უფლება აქვს, ნარკოლოგიური შემოწმების ცნობის წარმოდგენა მოსთხოვოს როგორც მასწავლებლობის/სპეციალური მასწავლებლობის მსურველ კანდიდატს, ასევე პირს, რომელიც სკოლაში უნდა დასაქმდეს მოწვეულ ან/და შემცვლელ მასწავლებლად.

სკოლაში მასწავლებლის ვაკანტური პოზიციის არსებობის შემთხვევაში ცხადდება შიდა და ღია კონკურსი. სკოლაში მასწავლებლის ვაკანტური პოზიციის არსებობის შემთხვევაში არსებული ვაკანტური პოზიცია შეივსება შიდა კონკურსის საფუძველზე. შიდა კონკურსით მასწავლებლის ვაკანტური პოზიციის ვერშევსების შემთხვევაში, სკოლის დირექტორი უფლებამოსილია, გამოაცხადოს ღია კონკურსი. სკოლის დირექტორი უფლებამოსილია, დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე სკოლაში მასწავლებლის ვაკანტური პოზიცია შეავსოს შიდა კონკურსის გამოცხადების გარეშე, ღია კონკურსის მეშვეობით. ღია კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელიც აკმაყოფილებს მასწავლებლისთვის დადგენილ მოთხოვნებს, ხოლო შიდა კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს მხოლოდ შესაბამის სკოლაში დასაქმებულ მასწავლებელს. სკოლის შეუფერხებელი მუშაობის

უზრუნველსაყოფად სკოლა უფლებამოსილია, გამოაცხადოს კონკურსი იმ პოზიციაზე, რომელიც კონკურსის გამოცხადების მომენტისათვის არ არის ვაკანტური, მაგრამ არსებობს დადასტურებული საფუძველი, რომ აღნიშნული პოზიცია კონკურსის დასრულებამდე გახდება ვაკანტური.

სკოლაში კონკურსის გამოცხადება ხდება სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის – ბრძანების საფუძველზე, რომლითაც, ასევე, განისაზღვრება კონკურსის ვადები, პირობები, საკონკურსო კომისიის შემადგენლობა და სხვ.

განცხადება ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ უნდა გამოქვეყნდეს საჯაროდ, ინტერნეტსივრცეში არსებულ დასაქმების ვებგვერდზე – http://teacherjobs.ge/-ზე, ხოლო განცხადება შიდა კონკურსის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს საჯარო სკოლაში ყველა მასწავლებლისათვის ხელმისაწვდომ ადგილას, ინტერნეტსივრცეში არსებულ დასაქმების ვებგვერდზე – http://teacherjobs.ge/-ზე. კონკურსის განთავსების ვადები განისაზღვრება სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის საფუძველზე. სკოლა უფლებამოსილია, ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია დამატებით განათავსოს სკოლის ვებგვერდზე, ასევე შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებულ შესაბამის ვებგვერდებზე, სოციალურ ქსელებსა და ბეჭდვით ორგანოებში.

კონკურსის გამოცხადების შესახებ შეტყობინება უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) შესაბამისი სკოლის დასახელებას;

ბ) ღია კონკურსის წესით შესავსები მასწავლებლის ვაკანტური თანამდებობის დასახელებას და საგნის/კლასის მითითებას;

გ) კანდიდატის მიმართ წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

დ) ინფორმაციას სამუშაო საათების შესახებ;
ე) ინფორმაციას სავარაუდო შრომის ანაზღაურების შესახებ;
ვ) შესაბამისი სკოლის საკონტაქტო ინფორმაციას;
ზ) სამუშაოს დაწყების თარიღს;
თ) განცხადების წარდგენის ბოლო ვადას;
ი) სხვა ინფორმაციას სკოლის გადაწყვეტილებით.

განცხადებების წარდგენის ვადა განისაზღვრება სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით, რომელიც არ შეიძლება იყოს 5 კალენდარულ დღეზე ნაკლები.

კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად სკოლის დირექტორის მიერ იქმნება შესაბამისი კომისია. კომისია უზრუნველყოფს სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრულ მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციებზე საუკეთესო კანდიდატთა შერჩევას. კომისიის წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას, მათ შორის კომისიის თავმჯდომარეს, განსაზღვრავს სკოლის დირექტორი აუცილებელი საჭიროების გათვალისწინებით, მასწავლებლის ვაკანტური პოზიციის სპეციფიკიდან გამომდინარე, მაგრამ არანაკლებ სამი წევრისა, საჯარო სკოლის შემთხვევაში კი არანაკლებ 5 წევრისა. კომისიის წევრად უნდა განისაზღვროს დამოუკიდებელი მოწვეული სპეციალისტი, ხოლო საჯარო სკოლის კომისიის წევრად აგრეთვე უნდა განისაზღვროს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის წარმომადგენელი, სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი, სსიპ – მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი და მასწავლებელთა პროფესიული კავშირის წარმომადგენელი.

კანდიდატი ან მისი ახლო ნათესავი არ შეიძლება იყოს იმ კომისიის წევრი, რომელმაც უნდა მოახდინოს მისი შერჩევა. „ახლო ნათესავში" იგულისხმება „საჯარო დაწესებულებაში ინ-

ტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი.

კომისიის თავმჯდომარე ამ კომისიის წევრთაგან ნიშნავს თავმჯდომარის მოადგილეს, რომელიც კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ცვლის მას და კომისიის მდივანს, რომელიც ახორციელებს კონკურსთან დაკავშირებულ საორგანიზაციო და სხვა აუცილებელ ღონისძიებებს, სკოლასთან კოორდინებულად.

კომისიის წევრი ვალდებულია, კონკურსის ეტაპების დაწყებამდე წინასწარ განაცხადოს ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს კანდიდატის ობიექტურად შეფასებასა და მის მიმართ გადაწყვეტილების მიუკერძოებლად გამოტანაში. თუ კომისიის წევრი არ განაცხადებს გარემოების არსებობის შესახებ, ხოლო აღნიშნულის თაობაზე კომისიისათვის ცნობილი გახდება კონკურსის მიმდინარეობისას, კომისიის ამ წევრის მიერ კანდიდატის შეფასება არ იქნება გათვალისწინებული საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

კომისია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტად ითვლება სხდომის თავმჯდომარის ხმა. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ფარული კენჭისყრის საფუძველზე. კომისია აფასებს კანდიდატის შესაბამისობას მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული პროფესიულ ცოდნასთან, უნარ-ჩვევებსა და კვალიფიკაციასთან. კანდიდატის შეფასება უნდა იყოს ობიექტური, მიუკერძოებელი, თანმიმდევრულად და თანაბრად გამოყენებული ყველა კანდიდატისადმი კონკურსის ყველა ეტაპზე. კომისიის მიერ კანდიდატის შეფასების დასაბუთებული შედეგი აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და კომისიის დამსწრე წევრები. კომისიის წევრს უფლება

აქვს, თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

კომისია მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე დასანიშნავად სკოლის დირექტორს წარუდგენს საუკეთესო კანდიდატს ან უარს აცხადებს კანდიდატის წარდგენაზე. კომისია გადაწყვეტილების მიღებიდან ათი კალენდარული დღის ვადაში, თითოეულ კანდიდატს ელექტრონულად ან/და წერილობით აცნობებს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. კონკურსის ეტაპების დასრულებისას უნდა შედგეს შესაბამისი ოქმი.

კონკურსი ჩაშლილად მიიჩნევა, თუ:

ა) მასში მონაწილეობისათვის წარდგენილი არ იქნა არცერთი განაცხადი;

ბ) კომისიამ დასაბუთებული უარი განაცხადა მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე დასანიშნავად კანდიდატის წარდგენაზე.

ობიექტური მიზეზის არსებობის შემთხვევაში, სკოლა უფლებამოსილია, შეწყვიტოს გამოცხადებული კონკურსი ნებისმიერ ეტაპზე, კანდიდატისათვის კომისიის საბოლოო გადაწყვეტილების გაცნობამდე.

შესაბამისი კონკურსის პროცედურებთან, ეტაპებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით, სკოლის დირექტორის ბრძანებით, შესაძლებელია შეიქმნას საპრეტენზიო კომისია. საპრეტენზიო კომისიის წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას განსაზღვრავს სკოლის დირექტორი. საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრები (მათ შორის, შესაძლოა იყოს მოწვეული პირები). პირი, რომელიც მონაწილეობდა კონკურსის რომელიმე ეტაპის ჩატარებაში, არ შეიძლება იყოს საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობაში. საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს თავმჯდომარის მოად-

გილე. საპრეტენზიო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა.

კანდიდატს საპრეტენზიო კომისიისადმი მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ წერილობითი ფორმით, კონკურსის შედეგების (მის მიმართ გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილება) გამოცხადებიდან (გადაწყვეტილების ჩაბარებიდან – წერილობით გაგზავნის შემთხვევასა და გაგზავნიდან – გადაწყვეტილების ელექტრონული ფოსტით გაგზავნის შემთხვევაში) არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა. საპრეტენზიო კომისიის სახელზე შეტანილი განცხადება კომისიის მიერ განიხილება არაუმეტეს 5 სამუშაო დღეში.

საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტად ითვლება სხდომის თავმჯდომარის ხმა. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ საპრეტენზიო კომისიის სხდომის თავმჯდომარე და კომისიის დამსწრე წევრები.

საპრეტენზიო კომისიის წევრს უფლება აქვს, თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

კანდიდატს უფლება აქვს, კონკურსის პროცედურების, ეტაპებისა და შედეგების თაობაზე მიმართოს სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.2. შრომითი ხელშეკრულების დადება

კონკურსის საფუძველზე შერჩეულ საუკეთესო კანდიდატთან სკოლის დირექტორი წერილობითი ფორმით აფორმებს შრომით ხელშეკრულებას. მასწავლებელთან შესაძლებელია გაფორმდეს შემდეგი კატეგორიის შრომითი ხელშეკრულება:

ა) უფროსი მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება;

ბ) წამყვანი მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება;

გ) მენტორი მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება.

სკოლაში დასაქმების შემთხვევაში სპეციალურ მასწავლებელთან შესაძლებელია გაფორმდეს შემდეგი კატეგორიის შრომითი ხელშეკრულება:

ა) პრაქტიკოსი სპეციალური მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება;

ბ) უფროსი სპეციალური მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება;

გ) წამყვანი სპეციალური მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება.

სტატუსების მიხედვით შრომითი ხელშეკრულების დაყოფა მიზნად ისახავს მასწავლებლისა და სპეციალური მასწავლებლისთვის ფუნქციური დატვირთვისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ვალდებულების დაკისრებას და შესაბამისი შრომის ანაზღაურების გაცემას.[108]

შრომითი ხელშეკრულება უნდა დაიდოს მხარეთათვის გასაგებ ენაზე. შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს რამდენიმე ენაზე. ამ შემთხვევაში შრომითი ხელშეკრულების ერთ-ერთი ენა აუცილებლად უნდა იყოს ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, აგრეთვე, აფხაზური. ხელშეკრულების ტექსტებს შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს ქართულ ენაზე დადებული შრომითი ხელშეკრულების ტექსტს.

შრომითი ხელშეკრულების დადებაზე უფლებამოსილი სუბიექტები არიან: ერთი მხრივ, სკოლა (დამსაქმებელი), წარმოდგენილი სკოლის დირექტორით, და, მეორე მხრივ, ფიზიკური პირი – მასწავლებელი (დასაქმებული).

---

[108] „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანება.

შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობებს განეკუთვნება:

ა) შრომითი ხელშეკრულების სარეგისტრაციო ნომერი, მისი დადების თარიღი და ადგილი;
ბ) ინფორმაცია შრომითი ხელშეკრულების მხარეთა შესახებ;
გ) მუშაობის დაწყების თარიღი და შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა;
დ) შრომითი ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და მოვალეობები;
ე) სამუშაო დრო და დასვენების დრო;
ვ) სამუშაო ადგილი;
ზ) თანამდებობა და შესასრულებელი სამუშაოს სახე ან აღწერილობა;
თ) შრომის ანაზღაურების ოდენობა და გადახდის წესი;
ი) ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი;
კ) ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა, ანაზღაურებისგარეშე შვებულების ხანგრძლივობა და ამ შვებულებების მიცემის წესი;
ლ) მხარეთა პასუხისმგებლობის წესი;
მ) დამსაქმებლისა და დასაქმებულის მიერ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის წესი;
ნ) შრომითი ხელშეკრულების ეგზემპლართა რაოდენობა;
ო) შრომით ხელშეკრულებაზე ხელმომწერი მხარეების რეკვიზიტები;
პ) შრომითი ხელშეკრულებით უნდა განისაზღვროს, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია;
ჟ) სხვა დამატებითი პირობები, რომელთა გათვალისწინება არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.[109]

---

[109] „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკი-

გარდა შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობებისა:

- **ნამყვანი მასწავლებლის შრომით ხელშეკრულებაში** ქვემოთ ჩამოთვლილი ფუნქციებიდან გათვალისწინებულ უნდა იქნეს, მინიმუმ, ოთხი ფუნქცია:
  - ა) კოლეგების პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, დახმარება მათი საჭიროებების განსაზღვრაში; ტუტორის/პრაქტიკის ხელმძღვანელის ფუნქციების შესრულება, ან/და მათთვის რეკომენდაციების გაცემა;
  - ბ) ინკლუზიური განათლების მიმართულებით კოლეგების დახმარება;
  - გ) სკოლაში დემოკრატიული კულტურის, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის, ციფრული მოქალაქეობის, ინკლუზიური გარემოს, გლობალური მოქალაქეობის ხელშემწყობი აქტივობების დაგეგმვა, განხორციელება;
  - დ) სკოლაში მოსწავლეების პროფორიენტაციის ხელშეწყობა;
  - ე) მოსწავლეთა საჭიროების კვლევების განხორციელება და მიგნებების სწავლის ხარისხის ამაღლების მიზნით გამოყენება;
  - ვ) საუკეთესო პრაქტიკის დასანერგავად და მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებთან კომუნიკაციის დამყარება;
  - ზ) სოციალური აქტივობების ინიციირება და სასკოლო/სკოლათშორისი/სათემო პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში მონაწილეობა.
- **მენტორი მასწავლებლის შრომით ხელშეკრულებაში** ქვემოთ ჩამოთვლილი ფუნქციებიდან გათვალისწინებულ უნდა იქნეს, მინიმუმ, ოთხი ქვეპუნქტი:

ცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 11 ოქტომბრის №959 ბრძანება.

ა) კოლეგა მასწავლებელთა საჭიროებების დადგენა, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით სკოლის პედაგოგთა პროფესიული განვითარების ერთიანი სტრატეგიის დაგეგმვა;

ბ) ინკლუზიური განათლების მიმართულებით კოლეგების დახმარება;

გ) საუკეთესო პრაქტიკის დასანერგავად და მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად სკოლაში დემოკრატიული კულტურის, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის, ციფრული მოქალაქეობის, ინკლუზიური გარემოს, გლობალური მოქალაქეობის ხელშემწყობი აქტივობების დაგეგმვა, განხორციელება და სხვათა/სასკოლო საზოგადოების ჩართვა ამ აქტივობებში;

დ) სკოლაში მოსწავლეების პროფორიენტაციის ხელშეწყობისთვის პროფორიენტაციის, სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციების და კვალიფიციური კადრების იდენტიფიცირება და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა;

ე) სკოლის საჭიროების კვლევების განხორციელება და მიგნებების სკოლის განვითარების მიზნით გამოყენება;

ვ) ზოგადი განათლების სფეროში ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მიმდინარე საგანმანათლებლო სიახლეებისა და პროფესიულ ლიტერატურის გაცნობა და კოლეგებთან გაზიარება;

ზ) საუკეთესო პრაქტიკის დასანერგავად და მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებთან კონტაქტების დამყარება და ერთობლივი პროექტების განხორციელება;

თ) სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად შესაბამისი რესურსების მოზიდვა;

ი) რესურსების შექმნა და მასწავლებლებისთვის გაზიარება.

➢ **წამყვანი სპეციალური მასწავლებლის შრომით** ხელშეკრულებაში ქვემოთ ჩამოთვლილი ფუნქციებიდან გათვალისწინებულ უნდა იქნეს, მინიმუმ, ოთხი ქვეპუნქტი:

ა) მოსწავლეზე დაკვირვება სხვადასხვა საგანმანათლებლო გარემოში;

ბ) სხვა სპეციალისტისა და მშობლებისგან/სხვა კანონიერი წამომადგენლისგან/აღმზრდელისგან ინფორმაციის მიღება ან/და ინტერვიუს წარმოება;

გ) სასწავლო გარემოს შეფასება;

დ) დამხმარე ტექნოლოგიების, აპლიკაციების, ინფორმაციული რესურსების გამოყენება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლების პროცესში;

ე) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ხელშეწყობა სხვა სასწავლო საფეხურზე ტრანზიციის მიზნით, მის უნარებსა და ინტერესებზე მუშაობა;

ვ) მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების იდენტიფიცირება, შეფასება და დასკვნის გაკეთება;

ზ) მოსწავლის საჭიროების იდენტიფიცირება და საჭირო სპეციალისტების ინტერვენციის დასკვნა;

თ) ინკლუზიური განათლების დამხმარე სპეციალისტების კოორდინირება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის განვითარების მიზნით;

ი) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა საჭიროებების კვლევა და შედეგების გამოყენება მათი განვითარებისა და სასწავლო შედეგების გაუმჯობესებისათვის;

კ) საკუთარი და სხვა სკოლების/დღის ცენტრების სპეციალური მასწავლებლებისა და სხვა სპეციალისტების

მხარდაჭერა ინკლუზიური და სპეციალური განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;

ლ) პროფესიული რესურსების შექმნა, წერილობითი, ვიდეო- ან აუდიომასალები პროფესიულ განვითარებაზე.

შრომითი ურთიერთობა სკოლასა და მასწავლებელს შორის წარმოიშობა მასწავლებლის მიერ სამუშაოს შესრულების ფაქტობრივად დაწყების მომენტიდან, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.[110]

3.3. მასწავლებლის საქმიანობის შეწყვეტა

მასწავლებელთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას;

ბ) შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა;

გ) შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება;

დ) მასწავლებლის მიერ თანამდებობის/სამუშაოს საკუთარი ნებით, წერილობითი განცხადების საფუძველზე დატოვება;

ე) მასწავლებლისა და სკოლის წერილობითი შეთანხმება;

ვ) მასწავლებლის კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან შეუსაბამობა მასწავლებლის სტატუსის შეწყვეტისას;

ზ) მასწავლებლის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით, ან/და

---

[110] „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანება.

შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა;

თ) მასწავლებლის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით, ან/და შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების დარღვევა, თუ მის მიმართ ბოლო 1 წლის განმავლობაში უკვე გამოყენებული იყო ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით, ან/და შრომის შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე ზომა;

ი) თუ სკოლასა და მასწავლებელს შორის დადებული კონკრეტული შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასა და მასწავლებელს შორის შრომითი ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ხანგრძლივი შრომისუუნარობისას, თუ მასწავლებლის შრომისუუნარობის ვადა აღემატება ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს, ან 6 თვის განმავლობაში აღემატება 60 კალენდარულ დღეს, ამასთან, თუ მასწავლებელს გამოყენებული აქვს საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრული შვებულება.

კ) სასამართლო განაჩენის ან სხვა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა, რომელიც სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას გამორიცხავს;

ლ) სასამართლოს მიერ მიღებული და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება გაფიცვის უკანონოდ ცნობის შესახებ;

მ) მასწავლებლის გარდაცვალება;

ნ) სკოლის ლიკვიდაციის წარმოების დაწყება;

ო) სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს მასწავლებელთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას. ამ შემთხვევაში სკოლა ვალდებულია, წერილობით შეტყობინებაში დაასაბუთოს ის ობიექტური გარემოება, რომელიც,

მისი შეხედულებით, ამართლებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას.

დაუშვებელია მასწავლებელთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა:

ა) გარდა ზემოთ ჩამოთვლილისაგან სხვა საფუძვლით;

ბ) დისკრიმინაციის საფუძვლით;

გ) მასწავლებელი ქალის მიერ თავისი ორსულობის შესახებ სკოლისთვის შეტყობინებისას, ორსულობისა და მშობიარობის გამო, ბავშვის მოვლის გამო შვებულების პერიოდის განმავლობაში – ეკონომიკური გარემოებების, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებების (რომლებიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას) ან მასწავლებლის კვალიფიკაციის, ან პროფესიული უნარ-ჩვევების მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან შეუსაბამობის, ან ხანგრძლივი შრომისუუნარობისას (თუ მასწავლებლის შრომისუუნარობის ვადა აღემატება ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს, ან 6 თვის განმავლობაში აღემატება 60 კალენდარულ დღეს), ან სასამართლოს მიერ მიღებული და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაფიცვის უკანონოდ ცნობის შესახებ, ან სხვა ობიექტური გარემოების საფუძვლით;

დ) სასამართლოში ნაფიც მსაჯულად ყოფნის პერიოდში – ეკონომიკური გარემოებების, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებების (რომლებიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას), ან მასწავლებლის კვალიფიკაციის, ან პროფესიული უნარ-ჩვევების მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან შეუსაბამობის, ან ხანგრძლივი შრომისუუნარობისას (თუ მასწავლებლის შრომისუუნარობის ვადა აღემატება ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს, ან 6 თვის განმავლობაში აღემატება 60 კალენდარულ დღეს), ან სასამართლოს მიერ მიღებული და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების

გაფიცვის უკანონოდ ცნობის შესახებ, ან სხვა ობიექტური გარემოების საფუძვლით.

მასწავლებლის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მასწავლებელი ვალდებულია, სკოლას აღნიშნულის შესახებ აცნობოს წერილობით 30 კალენდარული დღით ადრე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს შეუძლებელია გადაუდებელი სამედიცინო ან ოჯახური პირობების გამო. ხოლო სკოლის ინიციატივით ხელშეკრულების ეკონომიკური გარემოებების, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებების (რომლებიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას), ან მასწავლებლის კვალიფიკაციის, ან პროფესიული უნარ-ჩვევების მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან შეუსაბამობის, ან ხანგრძლივი შრომისუუნარობისას (თუ მასწავლებლის შრომისუუნარობის ვადა აღემატება ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს, ან 6 თვის განმავლობაში აღემატება 60 კალენდარულ დღეს), ან სხვა ობიექტური გარემოების საფუძვლით შეწყვეტის შემთხვევაში, სკოლა ვალდებულია, მასწავლებელი არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე გააფრთხილოს წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით. ამ შემთხვევაში მასწავლებელს მიეცემა კომპენსაცია არანაკლებ 1 თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სკოლა მასწავლებელს არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე გააფრთხილებს წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით, მაშინ მასწავლებელს მიეცემა კომპენსაცია არანაკლებ 2 თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით.

მასწავლებელს უფლება აქვს, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ სკოლის შეტყობინების მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში გაუგზავნოს სკოლას წერილობითი შეტყობინება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის წერილობით დასაბუთების მოთხოვნის თაობაზე. ხოლო სკოლა ვალდებულია, მასწავლებლის მიერ მოთხოვნის წარ-

დგენიდან 7 კალენდარული დღის ვადაში წერილობით დაასაბუთოს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი.

მასწავლებელი უფლებამოსილია, სკოლის წერილობითი დასაბუთების მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში სასამართლოში გაასაჩივროს სკოლის გადაწყვეტილება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. სასამართლოს მიერ მასწავლებლის აღძრული სარჩელის მიღებაზე უარის თქმის ან სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში, მასწავლებელს უფლება აქვს, იმავე სარჩელით განმეორებით მიმართოს სასამართლოს სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინების ან სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინების მისთვის ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

თუ სკოლა მასწავლებლის მიერ მოთხოვნის წარდგენიდან 7 კალენდარული დღის ვადაში წერილობით არ დაასაბუთებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს, მასწავლებელს უფლება აქვს, 30 კალენდარული დღის ვადაში სასამართლოში გაასაჩივროს სკოლის გადაწყვეტილება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. ამ შემთხვევაში დავის ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი სკოლას ეკისრება. ხოლო თუ მასწავლებელი სკოლისაგან არ მოითხოვს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის წერილობით დასაბუთებას, მასწავლებელს უფლება აქვს, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ სკოლის გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ სკოლის შეტყობინების მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

სასამართლოს მიერ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ სკოლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, სკოლა ვალდებულია, პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს მასწავლებელი, რომელსაც შრომითი ხელშეკრულება შეუწყდა, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით. მასწავლებელს ასევე უფლება აქვს, მოითხოვოს იძულე-

ბითი განაცდურის ანაზღაურება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღიდან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ სკოლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების თარიღამდე. იძულებითი განაცდურის ანაზღაურების განსაზღვრისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს სკოლის მიერ მასწავლებლისთვის მიცემული კომპენსაცია.[111]

სკოლასა და მასწავლებელს შორის წარმოშობილ შრომით დავებს, როგორც სამოქალაქო დავებს, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილავს სასამართლო.[112]

შეამოწმე შენი ცოდნა:

ტესტი 1. „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, მასწავლებელი არის:

ა) აკადემიური უმაღლესი განათლების, დოქტორის ხარისხის მქონე პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს ერთიანი ეროვნული გამოცდები და დიპლომში სპეციალობად მითითებული აქვს „მასწავლებელი";

ბ) ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთ საგანს მაინც ასწავლის;

გ) მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთ საგანს მაინც ასწავლის;

დ) პირი, რომელიც უანგაროდ ან წინასწარ შეთანხმებული ანაზღაურების სანაცვლოდ ასწავლის პირს იმ საგანს, რომ-

---

[111] საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი", 47-ე-48-ე მუხლები.

[112] „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი, მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი.

ლის სწავლება მას შეუძლია და ფლობს შესაბამისი ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს.

ტესტი 2. „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით მასწავლებლის თანამდებობის სახეებს მიეკუთვნება:

ა) დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი;

ბ) საბაზო/საშუალო საფეხურის საგნის მასწავლებელი;

გ) საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი;

დ) ყველა პასუხი სწორია.

ტესტი 3. „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით მასწავლებლის თანამდებობის სახეებს მიეკუთვნება:

ა) სახელოვნებო ან სასპორტო საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი;

ბ) სპეციალური მასწავლებელი;

გ) სამხედრო საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი;

დ) ყველა პასუხი სწორია.

ტესტი 4. „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, მასწავლებლობის მაძიებელი არის პირი:

ა) რომელსაც აქვს, სულ მცირე, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის მიმართულებით ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და რომელსაც სურს დასაქმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;

ბ) რომელსაც აქვს, სულ მცირე, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის მიმართულებით ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ან/და სახელოვნებო ან სასპორტო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (სახელოვნებო ან სასპორტო საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის შემთხვევაში) და რომელიც, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროებიდან გამომდინარე, არაუმეტეს 2 წლისა დასაქმებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;

გ) რომელსაც აქვს მხოლოდ სასპორტო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და რომელიც, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროებიდან გამომდინარე, არაუმეტეს 5 წლისა დასაქმებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი 5. მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა ითვალისწინებს მასწავლებლის სამ სტატუსს, ესენია:

ა) უფროსი მასწავლებლის სტატუსი, წამყვანი მასწავლებლის სტატუსი ან მენტორი მასწავლებლის სტატუსი;

ბ) უფროსი მასწავლებლის სტატუსი, სრული მასწავლებლის სტატუსი ან ასოცირებული მასწავლებლის სტატუსი;

გ) ასისტენტი მასწავლებლის სტატუსი, ასოცირებული მასწავლებლის სტატუსი ან მენტორი მასწავლებლის სტატუსი;

დ) მასწავლებლის სტატუსი, დამრიგებელი მასწავლებლის სტატუსი ან ხელმძღვანელი მასწავლებლის სტატუსი.

ტესტი 6. „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი უნდა აკმაყოფილებდეს ერთ-ერთ შემდეგ მოთხოვნას:

ა) უნდა ჰქონდეს მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მინიჭებული განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხი (ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების სწავლების უფლების მითითებით);

ბ) უნდა ჰქონდეს განათლების მიმართულებით მაგისტრის აკადემიური ხარისხი (ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების სწავლების უფლების მითითებით) და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია;

გ) უნდა ჰქონდეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის შესაბამისი ბაკალავრის/მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და მასწავლებლად მუშაობის დაწყებიდან 2 წლის ვადაში უნდა გაიაროს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დისტანციური კურსი;

დ) ყველა პასუხი სწორია.

ტესტი 7. „მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის" თანახმად, მასწავლებელი უნდა:

ა) იცავდეს საკუთარ პირად და ქონებრივ ინტერესებს სასწავლო პროცესის დროს;

ბ) ხელმძღვანელობდეს პედაგოგიურ საბჭოს, იმ შემთხვევაში, თუ მისი შვილი, ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავი არ სწავლობს იმავე სკოლაში;

გ) იცავდეს მოსწავლეებთან, მშობლებთან, მასწავლებლებსა და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალობას;

დ) გადადგეს დაკავებული თანამდებობიდან, თუ მის მიერ აღზრდილმა მოსწავლემ უხეშად დაარღვია ზნეობრივ-ეთიკური ნორმები და მძიმე შეურაცხყოფა მიაყენა საზოგადოებას.

ტესტი 8. „მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის" თანახმად:

ა) მასწავლებელი ვალდებულია, საკუთარ მოსწავლეს გაუწიოს დამატებითი ფასიანი საგანმანათლებლო მომსახურება, თუ მოსწავლის მშობელი მოითხოვს ამას;

ბ) მასწავლებელი არ უწევს საკუთარ მოსწავლეს დამატებით ფასიან საგანმანათლებლო მომსახურებას;

გ) მასწავლებელი არ უწევს მოსწავლეს დამატებით ფასიან საგანმანათლებლო მომსახურებას, გარდა რეპეტიტორობისა;

დ) მასწავლებელი უწევს საკუთარ მოსწავლეს დამატებით ფასიან საგანმანათლებლო მომსახურებას.

ტესტი 9. „მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის“ თანახმად, მასწავლებელი:

ა) სასწავლო პროცესის განმავლობაში ზრუნავს მოსწავლის ჯანმრთელობის, პირადი უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვაზე;

ბ) სასწავლო პროცესის განმავლობაში ზრუნავს მხოლოდ საკუთარი უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვაზე;

გ) უფლებამოსილია, სასწავლო პროცესის განმავლობაში დადოს გარიგება თავისი საკუთრების დაცვაზე;

დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი 10. „მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის“ თანახმად, მასწავლებელი:

ა) მაგალითს აძლევს და ეხმარება მოსწავლეებს ჯანსაღი ცხოვრების წესისათვის აუცილებელი ღირებულებებისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში;

ბ) მოსწავლეებთან ურთიერთობის დროს იცავს მორალურ და ზნეობრივ ნორმებს;

გ) პატივს სცემს მოსწავლეთა აზრებს, უქმნის მათ ყველა პირობას იდეებისა და შეხედულებების თავისუფლად გამოსახატავად;

დ) ყველა პასუხი სწორია.

ტესტი 11. „მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის“ თანახმად, მშობლებთან ურთიერთობისას მასწავლებელი:

ა) თანამშრომლობს მოსწავლის მშობელთან და თავაზიანია მასთან ურთიერთობისას;

ბ) ყოველი სასწავლო ტრიმესტრის დასაწყისში განმარტებებს აძლევს მშობლებს სასწავლო გეგმისა და მის მიერ არჩეული სწავლების მეთოდების შესახებ;

გ) „ა“ და „ბ“ პასუხები არის სწორი;

დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი 12. „მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის“ თანახმად, სკოლის მასწავლებლებთან ურთიერთობისას მასწავლებელი:

ა) უზიარებს შეძენილ ცოდნასა და გამოცდილებას კოლეგებს და თანამშრომლობს მათთან;

ბ) კოლეგებს უზიარებს საკუთარი მოსწავლეების პირად ინფორმაციას და ზრუნავს მათ გავრცელებაზე;

გ) „ა“ და „ბ“ პასუხები არის სწორი;

დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი 13. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს დაწესებულებას მუშაობისთვის აუცილებელი პირობების შექმნა;

ბ) მიიღოს შრომის ანაზღაურება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილი ნორმატივების მიხედვით;

გ) აიმაღლოს კვალიფიკაცია, რისთვისაც 6 წელიწადში ერთხელ უფლებამოსილია, მოითხოვოს ანაზღაურების გარეშე შვებულება 1 წლამდე ვადით, სამუშაო ადგილის შენარჩუნებით;

დ) ყველა პასუხი სწორია.

ტესტი 14. პირი მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში/სკოლაში:

ა) ინიშნება დირექტორის დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში;

ბ) ინიშნება შიდა ან ღია კონკურსის საფუძველზე;

გ) ინიშნება დირექტორის მიერ პედაგოგიურ საბჭოსთან შეთანხმებით;

დ) ინიშნება სამეურვეო საბჭოს მიერ.

ტესტი 15. მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი, მოწვეული ან/და შემცვლელი მასწავლებელი არ შეიძლება იყოს:

ა) პირი, რომელიც წარსულში მუშაობდა საგამოძიებო ორგანოებში და გასული არ არის 2 წელი;

ბ) პირი, რომელიც ნასამართლევია განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის და მოხსნილი არ აქვს ნასამართლეობა;

გ) პირი, რომლის წინააღმდეგაც სასამართლოში მიმდინარეობს სამოქალაქო სამართალწარმოება;

დ) პირი, რომელიც, იმავდროულად, მუშაობს საჯარო სამსახურში.

ტესტი 16. კონკურსის საფუძველზე შერჩეულ მასწავლებელთან შესაძლებელია გაფორმდეს შემდეგი კატეგორიის შრომითი ხელშეკრულება:

ა) უფროსი მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება;

ბ) წამყვანი მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება;

გ) მენტორი მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება;

დ) ყველა პასუხი სწორია.

ტესტი 17. შრომითი ხელშეკრულების დადებაზე უფლებამოსილი სუბიექტები არიან:

ა) ერთი მხრივ, სკოლა (დამსაქმებელი), წარმოდგენილი სკოლის დირექტორით, და, მეორე მხრივ, ფიზიკური პირი – მასწავლებელი (დასაქმებული);

ბ) ერთი მხრივ, სკოლა (დამსაქმებელი), წარმოდგენილი სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარით, და, მეორე მხრივ, ფიზიკური პირი – მასწავლებელი (დასაქმებული);

გ) ერთი მხრივ, სკოლა (დამსაქმებელი), წარმოდგენილი სკოლის პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარით, და, მეორე მხრივ, ფიზიკური პირი – მასწავლებელი (დასაქმებული);

დ) ერთი მხრივ, მასწავლებლის სახლი (დამსაქმებელი), წარმოდგენილი მასწავლებლის სახლის დირექტორით, და, მეორე მხრივ, ფიზიკური პირი – მასწავლებელი (დასაქმებული).

ტესტი 18. მასწავლებელთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობებს განეკუთვნება:

ა) სამუშაო დრო და დასვენების დრო;

ბ) შრომის ანაზღაურების ოდენობა და გადახდის წესი;

გ) ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი;

დ) ყველა პასუხი სწორია.

ტესტი 19. მასწავლებელთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) მასწავლებელი ქალის მიერ თავისი ორსულობის შესახებ სკოლისთვის შეტყობინება;

ბ) სასამართლოში ნაფიც მსაჯულად ყოფნა;

გ) ხანგრძლივი შრომისუუნარობა (თუ მასწავლებლის შრომისუუნარობის ვადა არ აღემატება ზედიზედ 30 კალენდარულ დღეს);

დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი 20. მასწავლებელი უფლებამოსილია, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ სკოლის გადაწყვეტილება გაასაჩივროს:

ა) სკოლის სახელმწიფო კონტროლის განმხორციელებელ ორგანოში შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ სკოლის შეტყობინების მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში;

ბ) სკოლის პედაგოგიურ საბჭოში შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ სკოლის შეტყობინების მიღებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში;

გ) სასამართლოში შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ სკოლის შეტყობინების მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში;

დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტების სწორი პასუხები:																			
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20
გ	დ	დ	ბ	ა	დ	გ	ბ	ა	დ	გ	ა	დ	ბ	ბ	დ	ა	დ	დ	გ

თავი VIII

მოსწავლე

1. მოსწავლის ცნება და მოსწავლის სტატუსის მოპოვება

მოსწავლე არის პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ირიცხება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში. იმისათვის, რომ პირმა მოიპოვოს მოსწავლის სტატუსი, აუცილებელია, შეუსრულდეს სწავლის დაწყების ასაკი. ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების ასაკია 6 წელი, რომელიც პირს სასწავლო წლის დაწყების თარიღის ჩათვლით უსრულდება. ამასთანავე, პირს, რომელსაც 6 წელი სასწავლო წლის დაწყების თარიღის მომდევნო დღიდან 31 დეკემბრის ჩათვლით უსრულდება, უფლება აქვს, მშობლის გადაწყვეტილებით, ნებაყოფლობით დაიწყოს სწავლა ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე. იმისათვის, რომ პირმა დაიწყოს სწავლა საჯარო სკოლის ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე (პირველ კლასში) აუცილებელია, გაიაროს რეგისტრაცია. საჯარო სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რეგისტრაცია ხორციელდება ელექტრონულად, საჯარო სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლეთა რიცხოვნობის ფარგლებში, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით განსაზღვრული ფორმის/ფორმების შესაბამისად. ასევე, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით განისაზღვრება საჯარო სკოლის პირ-

ველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რეგისტრაციის და ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადები.

რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ ერთ საჯარო სკოლაში და ხორციელდება ოთხ ეტაპად:

- **პირველ ეტაპზე** – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის;
- **მეორე ეტაპზე** – იმ კატეგორიის მოსწავლეებისათვის, რომელთა და-ძმაც სწავლობს ამ საჯარო სკოლაში, რომელთა მშობელი/მეურვე/მზრუნველი ამ საჯარო სკოლის თანამშრომელია, რომელთა ოჯახიდან ერთდროულად ორი ან მეტი ბავშვი შედის პირველ კლასში;
- **მესამე ეტაპზე** – იმ კატეგორიის მოსწავლეებისათვის, რომლებიც არ მიეკუთვნებიან პირველ და მეორე ეტაპებზე დასარეგისტრირებელ პირთა წრეს (საყოველთაო რეგისტრაცია);
- **მეოთხე ეტაპზე** – პირველ, მეორე და მესამე ეტაპებზე დასარეგისტრირებელ პირთა რეგისტრაციისათვის განსაზღვრულ ვადებში მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების საჯარო სკოლაში წარუდგენლობის გამო გამოთავისუფლებულ ან თავისუფალ ადგილებზე.

საჯარო სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რეგისტრაციას/რეგისტრაციის გაუქმებას რეგისტრაციის პირველ, მეორე და მეოთხე ეტაპებზე, პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიმართვის საფუძველზე, უზრუნველყოფს ის საჯარო სკოლა, სადაც მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სურს, რომ ჩაირიცხოს მოსწავლე. ხოლო მესამე ეტაპზე რეგისტრაციას ახორციელებს უშუალოდ პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი. რეგისტრაციის ოთხივე ეტაპის ვადის ამოწურვამდე მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი უფლებამოსილია, გააუქმოს რეგისტრაცია მართვის სისტემის მიერ რეგისტრაციისას მინიჭებული უნიკალური კოდის გამო-

ყენებით და ამავე ვადაში განახორციელოს ხელახალი რეგისტრაცია.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადაში მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების საჯარო სკოლაში წარუდგენლობა იწვევს რეგისტრაციის ავტომატურ გაუქმებას.[113] მოსწავლის მშობლმა/კანონიერმა წარმომადგენლმა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის პირველ კლასში ჩასარიცხად მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადაში უნდა წარადგინოს მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს კანონიერი წარმომადგენლის საცხოვრებელი ადგილისა და ტელეფონის ნომრის თაობაზე ინფორმაციას და უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ სხვა მოთხოვნებს, კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და საქართველოში ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მოსწავლის დაბადების მოწმობის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და საქართველოში ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე).[114]

---

[113] „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანება.

[114] იხ. „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების

საჯარო სკოლა ვალდებულია, პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ დოკუმენტების წარდგენიდან ორ სამუშაო დღეში განიხილოს დოკუმენტაცია და:

ა) ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში შესაბამისი ღილაკის გამოყენებით დაადასტუროს, კანონმდებლობით დადგენილი, მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების მიღება, რის შემდეგაც საჯარო სკოლის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულსამართლებრივ აქტს მოსწავლის პირველ კლასში ჩარიცხვის შესახებ. სკოლა ვალდებულია, ამ მოსწავლის/მოსწავლეების პირველ კლასში ჩარიცხვის შესახებ შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი ასახოს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში შესაბამისი სასწავლო წლის დაწყებამდე.

ბ) შეუსაბამო ან არასრული დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში, მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, დამატებით განუსაზღვროს ვადა ხარვეზის აღმოფხვრისთვის, არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა;

გ) დასაბუთებული უარი განუცხადოს მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს წარდგენილი დოკუმენტაციის მიღებაზე.

კერძო სამართლის იურიდიული პირის სახით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების – კერძო სკოლის პირველ კლასში მოსწავლეთა რეგისტრაცია ხორციელდება ელექტრონულად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში, მართვის სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე, საქართველოს განათლების, მეცნი-

---

ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 აგვისტოს №675 ბრძანება.

ერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადაში. კერძო სკოლა დირექტორის აქტით განსაზღვრავს მოსწავლის პირველ კლასში ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალსა და მათი წარდგენის ვადას.

კერძო სკოლა ვალდებულია, პირველ კლასში ჩარიცხული მოსწავლის/მოსწავლეების ჩარიცხვის შესახებ გამოცემული შესაბამისი აქტი/აქტები ასახოს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სასწავლო წლის დაწყებამდე.

ობიექტური გარემოების არსებობის შემთხვევაში თანხმობას/უარს საჯარო ან კერძო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვის თაობაზე რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ გასცემს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ის ტერიტორიული ორგანო – საგანმანათლებლო რესურსცენტრი, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს სკოლა, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სკოლების შემთხვევაში – განათლების სფეროში უფლებამოსილი შესაბამისი სამინისტრო.

სკოლაში დაწყებითი (გარდა პირველი კლასისა), საბაზო და საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასებში, სკოლაში არსებული თავისუფალი ადგილის შესაბამისად, მოსწავლეთა ჩარიცხვაზე გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი.[115]

სრულწლოვანმა მოსწავლემ, მოსწავლის მშობლმა/კანონიერმა წარმომადგენლმა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩასარიცხად უნდა წარადგინოს სრულწლოვანი მოსწავლის, ხოლო არასრულწლოვანი მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს

[115] „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/6 ბრძანება.

საცხოვრებელი ადგილისა და ტელეფონის ნომრის თაობაზე ინფორმაციას და უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ სხვა მოთხოვნებს. არასრულწლოვანი მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და საქართველოში ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მოსწავლის დაბადების მოწმობის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და საქართველოში ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), იმ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირის მიერ იმ სახის განათლების მიღებას, რომელიც წინ უძღვის ჩასარიცხი კლასის განათლებას. დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე.[116]

წარმოდგენილი განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების განხილვის შემდგომ სკოლის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის თაობაზე და ბრძანების გამოცემიდან ორი სამუშაო დღის ვადაში ჩარიცხული მოსწავლის შესახებ მონაცემებს და ამ მოსწავლის ჩარიცხვის თაობაზე შესაბამის ბრძანებას ასახავს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

პირის, რომლის ასაკი აღემატება 10 წელს და არ აქვს საგანმანათლებლო ისტორია ან მან გარკვეული მიზეზების გამო გამოტოვა კლასი/კლასები, სკოლაში ჩარიცხვა ხორციელდება

---

[116] „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 აგვისტოს №675 ბრძანება.

ზოგადი განათლების დაწყებით ან საბაზო საფეხურზე ასაკის შესაბამის კლასში ან არაუმეტეს 3 კლასით დაბალ კლასში.[117]

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობა არის მოსწავლეთა თავისუფალი გადაადგილება სასწავლო პროცესში მონაწილეობის მისაღებად როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, საქართველოს კანონმდებლობითა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესებით, რასაც თან სდევს სწავლის პერიოდში მიღებული განათლებისა და შეფასებების აღიარება.[118]

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი ნორმატიული აქტით – ბრძანებით ამტკიცებს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესს". ეს წესი არეგულირებს მოსწავლის გადასვლას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, განსაზღვრავს მობილობის უფლების მქონე პირს, წინაპირობებსა და პროცედურებს.

მობილობის უფლება აქვს მოსწავლეს, რომლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლე. მოსწავლეების მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს მიმღებ ზოგადსაგანმა-

---

[117] „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანება.

[118] იხ. „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი, მე-2 მუხლის ღ [5] ქვეპუნქტი.

ნათლებლო დაწესებულებაში არსებული თავისუფალი ადგილების ფარგლებში. მობილობა დაუშვებელია:

ა) კალენდარული წლის პირველი სექტემბრიდან პირველ ოქტომბრამდე;

ბ) ერთი სასწავლო წლის განმავლობაში იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების პირველი კლასის მოსწავლეებისათვის, რომლებმაც სწავლა დაიწყეს სასწავლო წლის დაწყების თარიღზე გვიან (საქართველოს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო წელი 15 სექტემბერს იწყება. თუ 15 სექტემბერი დასვენების დღეს ან უქმე დღეს ემთხვევა, სწავლა მის მომდევნო პირველ სამუშაო დღეს იწყება). ეს შეზღუდვა არ ვრცელდება იმ პირველი კლასის მოსწავლეებზე, რომლებსაც ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების ასაკი შეუსრულდათ სასწავლო წლის დაწყების თარიღის ჩათვლით და სწავლობენ იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებმაც სწავლა დაიწყეს სასწავლო წლის დაწყების თარიღიდან არაუგვიანეს 1 თვისა;

გ) სასწავლო წლის დასრულებამდე 30 კალენდარული დღის განმავლობაში;

დ) მე-12 კლასელებისათვის მე-12 კლასის მე-2 სემესტრის მიმდინარეობისას.

ზემოხსენებული მობილობის შეზღუდვა არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია.

ობიექტური მიზეზების არსებობის შემთხვევაში საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანო – საგანმანათლებლო რესურსცენტრი, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს მიმღები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე – შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტრო, უფლებამო-

სილია, განსხვავებულ პერიოდში მიიღოს გადაწყვეტილება მოსწავლის მობილობის თაობაზე.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, მობილობის მსურველის ჩარიცხვის შემდგომ, გასაუბრების ან გამოცდის საფუძველზე, დაადგინოს მოსწავლის ცოდნისა და უნარების ცალკეული კლასის/კლასების ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონესთან თავსებადობა, ცალკეულ საგანში/საგნებში მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საჭიროების განსაზღვრის მიზნით.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული რომელიმე საგნის/საგნების გაძლიერებულ სწავლებას, უფლებამოსილია, მობილობის მსურველი მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, ელექტრონულად მოსწავლის მობილობის განხორციელებამდე, გაძლიერებული სწავლების საგანში/საგნებში ჩაატაროს გამოცდა მიმღები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ცალკეული კლასის/კლასების სასკოლო სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონესთან მოსწავლის ცოდნისა და უნარების თავსებადობის დადგენის მიზნით. სკოლა უფლებამოსილია, მიღებული შედეგების საფუძველზე, უარი უთხრას მოსწავლეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვაზე, ან დაიწყოს ელექტრონულად მოსწავლის მობილობის განხორციელების პროცედურა და ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში შეავსოს მობილობის მოთხოვნის ელექტრონული ფორმა და მოთხოვნის დადასტურების შემდეგ მოსწავლე ჩარიცხოს იმ კლასში, რომლის წინმსწრები კლასის საგანმანათლებლო პროგრამაც აქვს დაძლეული. მიმღები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება არ არის უფლებამოსილი, მოსწავლე ჩარიცხოს იმ კლასში, რომელიც უკვე დაძლეული აქვს.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები, ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში გათვალისწინე-

ბული სპეციალური მოდულის მეშვეობით, ელექტრონულად ახორციელებენ მოსწავლეთა მობილობას. მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი მობილობის შესახებ წერილობით მიმართავს იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლიდანაც გადადის მოსწავლე და მიმღებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიმართვის/განცხადების საფუძველზე, მიმღები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ავსებს მობილობის მოთხოვნის ელექტრონულ ფორმას. ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მიმღები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება მობილობის მოთხოვნის ელექტრონულ ფორმას თან ურთავს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადებას.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომლიდანაც გადადის მოსწავლე, ახდენს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მობილობაზე შემოსული ელექტრონული მოთხოვნის დადასტურებას ან უარყოფას. ელექტრონული მოთხოვნის დადასტურების შემთხვევაში, სკოლა, რომლიდანაც გადადის მოსწავლე, უზრუნველყოფს მოსწავლის ამორიცხვის შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანების ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში განთავსებას/ატვირთვას. მობილობის ელექტრონული მოთხოვნის უარყოფის შემთხვევაში კი პროცესი წყდება და სკოლა ვალდებულია, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს წერილობითი ფორმით აცნობოს დასაბუთებული უარი მოსწავლის მობილობის ფორმით გადაყვანის თაობაზე.

მობილობის ელექტრონული მოთხოვნის დადასტურების შემთხვევაში, მიმღები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანების ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში განთავსებას/ატვირთვას და მობილობის პროცესის დასრულებას.

იმ შემთხვევაში, თუ მიმღებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე დადგინდება, რომ ერთი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან მეორე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის სურვილი მიმდინარე კალენდარული კვირის განმავლობაში გამოთქვა 50-მა ან მეტმა მოსწავლემ, მიმღები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, წერილობით მიმართოს სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას და მოითხოვოს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მოსწავლეთა მობილობის განხორციელება, რისთვისაც წერილს თან უნდა დაურთოს მობილობის მსურველი მოსწავლეების სახელობითი სია (ელექტრონული სახით), ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების თანხმობა, რომლიდანაც გადადიან მოსწავლეები და მათი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან ამორიცხვის შესახებ ბრძანება, ასევე, მიმღებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეების ჩარიცხვის შესახებ ბრძანება. ხოლო სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში უზრუნველყოფს წარმოდგენილი მოსწავლეების მობილობას მიმღებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, რის შემდეგაც მიმღები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება გადაანაწილებს მოსწავლეებს შესაბამის კლასებში/პარალელურებში.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის შესრულებაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი.[119]

---

[119] „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანება.

3. მოსწავლის ქცევის კოდექსი

მოსწავლის ქცევის კოდექსი არის მოსწავლის ქცევის წესების ერთობლიობა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ნორმატიული აქტით – ბრძანებით. მოსწავლის ქცევის კოდექსი არეგულირებს მოსწავლის ქცევის წესებს, რომლებსაც მოსწავლე იცავს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სკოლაში, აგრეთვე სკოლის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობის დროს. ქცევის კოდექსი ხელს უწყობს სწავლისათვის ისეთი გარემოსა და პირობების შექმნას, სადაც მოსწავლე შეძლებს ცოდნის მიღებას, უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და ღირებულებების ჩამოყალიბებას, ასევე, მოსწავლის მიერ საკუთარი ქცევის მართვას, მოსწავლეთა დისციპლინისა და ურთიერთპატივისცემის, სკოლაში კეთილგანწყობილი და უსაფრთხო სასწავლო გარემოს დამკვიდრებას.

მოსწავლის ქცევის კოდექსი ვრცელდება საქართველოს მოქალაქე, უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე სკოლის ყველა მოსწავლეზე. სკოლის დირექცია, მასწავლებლები, სკოლაში დასაქმებული სხვა პირები და მშობლები ვალდებულნი არიან, ხელი შეუწყონ მოსწავლეს ქცევის კოდექსის დაცვაში.

მოსწავლის ქცევის კოდექსის თანახმად, მოსწავლე:

- ყოველთვის თავაზიანია მასწავლებელთან და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირთან ურთიერთობაში და არ აყენებს მათ რაიმე სახის შეურაცხყოფას.
- ემორჩილება სკოლის დირექტორის, მასწავლებლის, სკოლაში დასაქმებული სხვა პირისა და მანდატურის კანონიერ მითითებებს.
- თავაზიანად ეპყრობა სხვა მოსწავლეებს, თავს იკავებს მათთან ძალადობის მუქარისგან, ცილისმწამებლური ან

დამცინავი განცხადებებისაგან და არ აყენებს მათ რაიმე სახის შეურაცხყოფას.

- სკოლაში ცხადდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის შესაფერისი სამოსითა და აქსესუარებით.
- დროულად ცხადდება გაკვეთილზე ან სკოლის მიერ ორგანიზებულ სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებაზე.
- გაკვეთილზე ყოფნისას აქვს სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი ნივთები.
- გამოხატავს აზრებს და შეხედულებებს სხვა პირთა უფლებების შელახვის გარეშე.
- არ იყენებს მობილურ ტელეფონს ან სხვა ტექნიკურ საშუალებებს სასწავლო პროცესის დროს, არასასწავლო მიზნით.
- ხელს არ უშლის მასწავლებელსა და სხვა მოსწავლეებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას.
- პატივს სცემს სხვის აზრსა და აკადემიურ ნაშრომს, სხვისი ინტელექტუალური საქმიანობის შედეგად შექმნილ პროდუქტს არ ასაღებს თავისად.
- არ ეწევა რელიგიურ და პოლიტიკურ პროპაგანდას.
- არ ტოვებს გაკვეთილს მასწავლებლის ნებართვის გარეშე.
- უფრთხილდება და არ აზიანებს საკუთარ, სხვა პირთა და სკოლის ქონებას.
- იცავს სისუფთავეს სკოლაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე.
- არ ცხადდება სკოლაში შემდეგი ნივთებით:
  - ა) თამბაქოს ნაწარმი;
  - ბ) ყველანაირი სახის იარაღი ან ისეთი ბასრი ნივთები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს იარაღად;
  - გ) სანთებელა ან ასანთი;
  - დ) ალკოჰოლური სასმელები;
  - ე) ტექნიკური საშუალებები, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს სასწავლო პროცესს;

ვ) ძვირადღირებული ნივთები ან დიდი ოდენობით ფული;
ზ) აზარტული თამაშის საშუალებები;
თ) უხამსობის ამსახველი ნივთები;
ი) ნარკოტიკული საშუალებები;
კ) ასაფეთქებელი და მომწამლავი ნივთიერებები;
ლ) ფსიქოტროპული საშუალებები, ექიმის შესაბამისი ნებართვის გარეშე.

სკოლა ვალდებულია, ყველა მასწავლებელს, მოსწავლესა და მშობელს გააცნოს მოსწავლის ქცევის კოდექსი და სკოლის შინაგანაწესი უნდა ეფუძნებოდეს მოსწავლის ქცევის კოდექსს. მოსწავლის მიერ მოსწავლის ქცევის კოდექსით განსაზღვრული ქცევის ნორმების დარღვევა იწვევს დისციპლინური დევნის დაწყებას „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.[120]

4. მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა, სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა

სასკოლო დისციპლინა დაცულ უნდა იქნეს იმ მეთოდების მეშვეობით, რომლებიც ეფუძნება მოსწავლის თავისუფლებისა და ღირსების პატივისცემას. სასკოლო დისციპლინის ისეთი დარღვევა, რომელიც მიეკუთვნება დისციპლინურ გადაცდომას, შეიძლება გახდეს დისციპლინური დევნის დაწყებისა და დისციპლინური სახდელის შეფარდების საფუძველი.

მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა არის მოსწავლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შინაგანაწესით განსაზღვრული წესების დარღვევა.

---

[120] „მოსწავლის ქცევის კოდექსის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს №79/ნ ბრძანება.

დისციპლინური დევნა არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ჩატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელთა მიზანია მოსწავლის ან მასწავლებლის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის გამოვლენა.

დისციპლინური სახდელი არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შინაგანაწესით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომისათვის გათვალისწინებული ზემოქმედების ზომა.

სკოლის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები, დისციპლინური დევნა და სახდელი უნდა იყოს გონივრული, დასაბუთებული და თანაზომადი. დისციპლინური დევნა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, ჯეროვანი და სამართლიანი პროცედურით. დისციპლინური დევნისას სკოლა ვალდებულია, განუმარტოს მოსწავლეს მის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის არსი. მოსწავლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების, აგრეთვე დისციპლინური სახდელის გამოყენების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მის მშობელს. მოსწავლეს უფლება აქვს, მასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტისას მშობელთან ერთად წარდგეს და დისციპლინური დევნისას ისარგებლონ დუმილის უფლებით. დუმილის უფლება არ ათავისუფლებს მოსწავლეს დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან.

სკოლის შინაგანაწესით შეიძლება გათვალისწინებული იყოს შემდეგი დისციპლინური სახდელები: მოსწავლის გაფრთხილება, მკაცრი გაფრთხილება, გაკვეთილიდან გაძევება, სკოლიდან დროებით დათხოვნა, მოსწავლისთვის სკოლისათვის სასარგებლო საქმიანობის დაკისრება და სხვა დისციპლინური სახდელები. მოსწავლის სკოლიდან დროებით დათხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მის მშობელს. სკოლა ვალდებულია:

- მოსწავლე გაკვეთილიდან გაძევების ან სკოლიდან დროებით დათხოვნის შემთხვევაში თავისი მზრუნველობის ქვეშ ჰყავდეს.
- მიიღოს ზომები, რათა დისციპლინურმა სახდელმა არ გამოიწვიოს მოსწავლის არსებითი ჩამორჩენა სასწავლო პროცესისგან.

დაუშვებელია სასტიკი ან ისეთი დისციპლინური სახდელის გამოყენება, რომელიც ლახავს მოსწავლის პატივსა და ღირსებას; აგრეთვე დაუშვებელია სკოლის მიერ მოსწავლის დისციპლინური დევნა იმ ქმედებისთვის, რომელიც მან სასკოლო დროისგან თავისუფალ დროს ან სკოლის ტერიტორიის გარეთ ჩაიდინა.

„ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი განსაზღვრავს ზოგიერთი დისციპლინური სახდელის შეფარდების წესსა და პირობებს, კერძოდ:

- მოსწავლის გაკვეთილიდან გაძევების გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს მასწავლებელს, სკოლიდან 5 დღემდე ვადით დათხოვნის გადაწყვეტილების მიღების უფლება – სკოლის დირექტორს, ხოლო 5-10 დღემდე ვადით დათხოვნის ან სკოლიდან გარიცხვის გადაწყვეტილების მიღების უფლება – დისციპლინურ კომიტეტს ფარული კენჭისყრით.
- დაუშვებელია დაწყებით და საბაზო საფეხურებზე მოსწავლის სკოლიდან გარიცხვა.
- მოსწავლისთვის სკოლისათვის სასარგებლო საქმიანობის დაკისრებისას უნდა განისაზღვროს: სასარგებლო საქმიანობის შინაარსი; მისი განხორციელების წესი და პირობები; სასარგებლო საქმიანობის განხორციელების ადგილი სკოლის ტერიტორიის ფარგლებში; მისი ხანგრძლივობა, რომელიც დაწყებითი საფეხურის მოსწავლისათვის არ უნდა აღემატებოდეს დღეში 1 საათს, საბაზო საფეხურის მოსწავლისათვის – დღეში 2 საათს და საშუალო საფეხურის მოსწავლისათვის – დღეში 3 საათს; უფლებამოსილი პირის

ვინაობა, რომელიც უშუალო ზედამხედველობას გაუწევს მოსწავლის მიერ სკოლისათვის სასარგებლო საქმიანობის განხორციელებას. სკოლისათვის სასარგებლო საქმიანობა მოსწავლეს შეიძლება დაეკისროს მშობლის თანხმობით. მოსწავლის მიერ სკოლისათვის სასარგებლო საქმიანობის განხორციელებისას მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება სკოლის ადმინისტრაციას.

დაუშვებელია სკოლაში ძალადობა მოსწავლის ან ნებისმიერი სხვა პირის მიმართ. ფიზიკური ან/და სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევაში სკოლა ვალდებულია, დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით მოსწავლე ვალდებულია, შეასრულოს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრული საამისოდ უფლებამოსილი პირის კანონიერი მითითებები. საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრული საამისოდ უფლებამოსილი პირი ვალდებულია, მოსწავლის მიერ სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენისა და ამის გამო მოსწავლის მიმართ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ შეატყობინოს მოსწავლის მშობელსა და სკოლის დირექტორს. მოსწავლის მიერ სავარაუდო სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური ვალდებულია, ამის შესახებ შეატყობინოს სამართალდამცავ ორგანოებს.

სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით დასაშვებია მოსწავლის უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელება, რომლის მიზანია სა-

განმანათლებლო დაწესებულების მანდატურის, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრული საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნივთის, მოსწავლის მიერ სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის იარაღის აღმოჩენა, იმ საგნის აღმოჩენა, რომელსაც სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის კვალი ატყვია, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენით მოპოვებული ნივთისა და ფასეულობის, აგრეთვე იმ საგნისა და დოკუმენტის აღმოჩენა, რომლებიც საჭიროა სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის გარემოებათა გასარკვევად. უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გარემოებები მიუთითებს მოსწავლის მიერ სკოლის შინაგანაწესის შესაძლო დარღვევაზე ან/და შესაძლო სამართალდარღვევის ჩადენაზე და არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების შედეგად გამოვლინდება სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა ან/და შესაძლო სამართალდარღვევა.

უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება ხორციელდება საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის ან/და სკოლის თანამშრომლის ინიციატივით. უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელების უფლება აქვს იმავე სქესის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურს ან სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრულ იმავე სქესის საამისოდ უფლებამოსილ პირს. ამ პუნქტიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სკოლაში არ არის მოსწავლის შესაბამისი სქესის პირი. უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებას უნდა ესწრებოდეს აგრეთვე სკოლის თანამშრომელი. კოლექტიური უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორცი-

ელება დაუშვებელია. საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური/სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრული საამისოდ უფლებამოსილი პირი ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს მოსწავლის მშობელს მოსწავლის მიმართ უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელების შესახებ.

უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელებამდე საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურმა ან სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრულმა საამისოდ უფლებამოსილმა პირმა მოსწავლე უნდა გააფრთხილოს უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელების შესახებ. თუ მოსწავლე წარმოადგენს, ან საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური/სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრული საამისოდ უფლებამოსილი პირი აღმოაჩენს იმგვარ, სავარაუდოდ, კანონსაწინააღმდეგო ნივთს/საგანს, რომლის მოსწავლის მიერ ფლობაზე რეაგირებაც საქართველოს კანონმდებლობით სამართალდამცავი ორგანოს კომპეტენციაა, ამის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება სამართალდამცავ ორგანოს. აღმოჩენილ ნივთს/საგანს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური/სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრული საამისოდ უფლებამოსილი პირი გადასცემს მოსწავლის მშობელს ან სამართალდამცავ ორგანოს, ნივთის/საგნის ხასიათის გათვალისწინებით.

მოსწავლის/მოსწავლეების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, დასაშვებია განხორციელდეს მოსწავლის/მოსწავლეების განცალკევება ემოციურად და ფიზიკურად უსაფრთხო გარემოში, სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრული საამისოდ უფლებამოსილი პირის თანდასწრებით, იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლის/მოსწავლეების ქმედებით საფრთხე ემუქრება პირის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, ან მოსწავლე უარს აცხადებს უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე და საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნივთის, მოსწავლის მიერ სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სა-

მართალდარღვევის ჩადენის იარაღის, იმ საგნის აღმოჩენა, რომელსაც სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის კვალი ატყვია, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენით მოპოვებული ნივთისა და ფასეულობის, აგრეთვე იმ საგნისა და დოკუმენტის აღმოჩენა, რომლებიც საჭიროა სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის გარემოებათა გასარკვევად და აღმოჩენა სხვაგვარად შეუძლებელია, ან მოსწავლე უარს აცხადებს უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელებისას აღმოჩენილი ზემოხსენებული ნივთის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურისათვის/სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრული საამისოდ უფლებამოსილი პირისათვის გადაცემაზე.

მოსწავლის განცალკევების შემთხვევაში შესაძლებელია, მასწავლებლის/სკოლის თანამშრომლის ან/და საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის მეთვალყურეობით განხორციელდეს მოსწავლის/მოსწავლეების სხვადასხვა სახის სასკოლო აქტივობებში ჩართვა. მოსწავლის/მოსწავლეების განცალკევების მომენტიდან სკოლის, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში – ფსიქოლოგის ან/და სოციალური მუშაკის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები უნდა ემსახურებოდეს ისეთ მიზნებს, როგორებიცაა: მოსწავლის/მოსწავლეების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რისკის შემცირება და მოსწავლის/მოსწავლეების ქცევის მართვა.

მოსწავლის განცალკევების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მოსწავლის მშობელს, ხოლო მოსწავლის მიერ შესაძლო სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში – სამართალდამცავ ორგანოს. მოსწავლის განცალკევების უფლება აქვს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურს, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრულ საამისოდ უფლებამოსილ პირს. მოსწავლის/მოს-

წავლეების განცალკევება უნდა განხორციელდეს მოსწავლის მშობლის ან მოსწავლის მშობლის მიერ განსაზღვრული პირის სკოლაში გამოცხადებამდე.

უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების/მოსწავლის განცალკევების განხორციელებისას საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური/სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრული საამისოდ უფლებამოსილი პირი მოსწავლეს მისთვის გასაგებ ენაზე განუმარტავს იმ გარემოებებს, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება/მოსწავლის განცალკევება. საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური/სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრული საამისოდ უფლებამოსილი პირი ადგენს უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების/მოსწავლის განცალკევების განხორციელების შესახებ ოქმს. ამ ოქმში სხვა ინფორმაციასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რა გარემოების საფუძველზე, რა მიზნით, სად, რა პირობებში, ვისი თანდასწრებითა და მონაწილეობით განხორციელდა უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება/მოსწავლის განცალკევება.

სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა ხდება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესაბამისად", რომელიც დამტკიცებულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ნორმატიული აქტით – ბრძანებით. ამ წესითა და პირობებით რეგულირდება შემდეგი საკითხები:

ა) სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლის, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურისა და სხვა პირების მიერ განსახორციელებელი მოქმედებები;

ბ) სკოლის ვიდეოთვალთვალის სისტემით აღჭურვისა და ადმინისტრირების წესი;

გ) სკოლაში გამოვლენილი დარღვევების ელექტრონული საინფორმაციო ბაზის წარმოების წესი;

დ) უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელების წესი;

ე) მოსწავლის განცალკევების განხორციელების წესი და მისი განცალკევების შემდეგ სკოლის, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის ან/და ფსიქოლოგის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები;

ვ) უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების, მოსწავლის განცალკევებისა და საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის მიერ ფიზიკური ძალის გამოყენების შესახებ ოქმის ფორმა და შედგენის წესი;

ზ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ სკოლებისათვის უსაფრთხოების საკითხებზე რეკომენდაციების მიცემის წესი, აგრეთვე ამ რეკომენდაციებთან დაკავშირებით სკოლების მიერ განხორციელებული მოქმედების შესახებ უკუკავშირის წესი;

თ) საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის ეთიკა;

ი) საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის მიერ მეტალოდეტექტორის გამოყენების წესი;

კ) საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურების სკოლებში განაწილებისა და როტაციის წესი;

ლ) საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურობის კანდიდატის შერჩევის წესი;

მ) სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.[121]

---

[121] „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი, მე-19-მე-20 მუხლები.

5. მოსწავლის სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა

სკოლა ვალდებულია, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეს შეუჩეროს მოსწავლის სტატუსი იმ შემთხვევაში, თუ:

ა) მოსწავლე 45 სასწავლო დღის განმავლობაში ზედიზედ არ ცხადდება სკოლაში/არ მონაწილეობს დისტანციური სწავლების სრულად ელექტრონული მოდელის გამოყენებით ჩატარებულ გაკვეთილებში და არ იღებს შეფასებას;

ბ) მოსწავლე მიემგზავრება/გაემგზავრა საზღვარგარეთ და მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი წერილობით მიმართავს სკოლას;

გ) სკოლაში 12 წლის სწავლის შემდეგ მოსწავლემ ვერ დაძლია ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონე და სტანდარტული ვაუჩერის შესაბამის თანხას არ შეიტანს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესაბამის სახაზინო ანგარიშზე;

დ) არასრულწლოვანი მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი/სრულწლოვანი მოსწავლე სკოლას მიმართავს სტატუსის შეჩერების შესახებ განცხადებით. არასრულწლოვანი მოსწავლის სტატუსის შეჩერების გადაწყვეტილების მიღებამდე სკოლა ვალდებულია, მოიკვლიოს და, საჭიროების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალურ მუშაკთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეფერირების გზით დაადგინოს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნის მიზეზები. ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალური მუშაკი ვალდებულია, თავის მხრივ, მოიკვლიოს და საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს რეფერირება შესაბამის ორგანოში.

თუ მოსწავლე 45 სასწავლო დღის განმავლობაში ზედიზედ არ ცხადდება სკოლაში/არ მონაწილეობს დისტანციური სწავლების სრულად ელექტრონული მოდელის გამოყენებით ჩატა-

რებულ გაკვეთილებში და არ იღებს შეფასებას, ამ საფუძვლით მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერებამდე სკოლა ვალდებულია, განახორციელოს პრევენციული ღონისძიებები, მათ შორის, ზედიზედ მე-10 და მე-20 სასწავლო დღის გაცდენის შემთხვევაში, კლასის დამრიგებელმა მოამზადოს წერილობითი ანგარიში მოსწავლის მიერ სასწავლო პროცესის გაცდენის მიზეზების დასადგენად და მის სასწავლო პროცესში ჩასართავად გატარებული ღონისძიებებისა და მიღწეული შედეგის შესახებ, რომელსაც სკოლა მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგენს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს – საგანმანათლებლო რესურსცენტრს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს სკოლა, ხოლო ზედიზედ გაცდენილი 20 სასწავლო დღის შემდეგ, მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩაურთველობის შემთხვევის მართვის მიზნით, კლასის დამრიგებელთან ერთად ჩართოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალური მუშაკი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც, მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩაურთველობის შემთხვევის მასთან რეფერირებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის განმავლობაში, ახორციელებს ვიზიტს ოჯახში დამრიგებლის მიერ მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით დასახული ღონისძიებების გაუტარებლობის მიზეზების დასადგენად და/ან მიღწეული შედეგების მდგრადობის შესაფასებლად.

მოსწავლეს ავტომატურად უჩერდება სტატუსი, თუ სკოლას უარი ეთქვა ავტორიზაციაზე, გაუუქმდა ავტორიზაცია ან გავიდა ავტორიზაციის ვადა და არ ჰყავს უფლებამონაცვლე და მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ათი სამუშაო დღის ვადაში არ მიმართავს სხვა სკოლას მობილობის მოთხოვნით, ასეთ შემთხვევაში მას უფლება აქვს, აღიდგინოს მოსწავლის სტატუსი. სკოლა, რომელსაც უარი ეთქვა ავტორიზაციაზე ან გაუუქმდება ავტორიზაცია, ვალდებულია, იმ მოსწავლის პირადი საქმე, რომლის მშობელი/კანონიერი წარმო-

მადგენელი 10 სამუშაო დღის ვადაში არ მიმართავს სხვა სკოლას მობილობის თხოვნით, გადასცეს იმ საგანმანათლებლო რესურსცენტრს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს ის სკოლა, რომელსაც უარი ეთქვა ავტორიზაციაზე ან გაუუქმდა ავტორიზაცია, ხოლო მოთხოვნის საფუძველზე აღნიშნული პირადი საქმე შემდგომ გადაეცემა იმ სკოლას, სადაც მოსწავლე განაგრძობს სწავლას და აღუდგება სტატუსი.

მოსწავლის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სკოლის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულსამართლებრივ აქტს მოსწავლის სტატუსის შეჩერების თაობაზე და სკოლა ვალდებულია, მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება ორი სამუშაო დღის ვადაში აცნობოს მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. ინფორმაცია მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ სკოლის მიერ აისახება ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

მოსწავლის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა, რომელსაც სურს მოსწავლის სტატუსის აღდგენა, უნდა მიმართოს იმ სკოლას, რომელმაც შეუჩერა მოსწავლეს სტატუსი ან მის უფლებამონაცვლეს. იმ შემთხვევაში, თუ სკოლამ შეწყვიტა საგანმანათლებლო საქმიანობა და არ ჰყავს უფლებამონაცვლე, მოსწავლის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა, რომელსაც სურს მოსწავლის სტატუსის აღდგენა, უნდა მიმართოს იმ სკოლას, სადაც სურს სწავლის გაგრძელება.

მოსწავლეს აღუდგება მოსწავლის სტატუსი იმავე კლასში, სადაც შეუჩერდა სტატუსი. იმ შემთხვევაში, თუ დასტურდება მოსწავლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მომდევნო კლასის/კლასების საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის ფაქტი, მას სტატუსი აღუდგება შესაბამის კლასში.

მოსწავლის სტატუსის აღდგენა ხდება სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქ-

ტით და მოსწავლის სტატუსის აღდგენის შესახებ ინფორმაცია სკოლამ უნდა ასახოს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემიდან ორი სამუშაო დღის ვადაში.[122]

მოსწავლის სტატუსის შეწყვეტა ხდება სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით, თუ:

- მოსწავლემ დაძლია ზოგადი განათლების საშუალო საფეხური;
- მოსწავლემ დაძლია ზოგადი განათლების საბაზო საფეხური და მოსწავლის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა მოსწავლის სტატუსის შეწყვეტის (სკოლიდან ამორიცხვის) მოთხოვნით განცხადებით მიმართა სკოლას;
- საშუალო საფეხურის მოსწავლის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა მოსწავლის სტატუსის შეწყვეტის (სკოლიდან ამორიცხვის) მოთხოვნით განცხადებით მიმართა სკოლას;
- საშუალო საფეხურის მოსწავლე გაირიცხება სკოლიდან.

კერძო სკოლა უფლებამოსილია, ფინანსური დავალიანების მქონე მოსწავლეს შეუწყვიტოს მოსწავლის სტატუსი მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულების შემდეგ, მომდევნო სასწავლო სემესტრის დაწყებამდე გონივრულ ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსწავლის შეუფერხებელი მობილობის უზრუნველსაყოფად.

მოსწავლის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია სკოლამ უნდა ასახოს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, დირექტორის ინდივიდუალური ადმინის-

---

[122] იხ. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანება.

ტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემიდან ორი სამუშაო დღის ვადაში და შეატყობინოს მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს.

შეამოწმე შენი ცოდნა:

ტესტი 1. ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების ასაკია:

ა) 6 წელი;

ბ) 7 წელი;

გ) 9 წელი;

დ) სწავლის დაწყების ასაკი კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის.

ტესტი 2. იმისათვის, რომ პირმა დაიწყოს სწავლა საჯარო სკოლის ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე (პირველ კლასში), აუცილებელია:

ა) გაიაროს რეგისტრაცია;

ბ) გაიაროს გასაუბრება სკოლის დირექტორის ინდივიდუალურადმინისტრაციული აქტით შექმნილ კომისიასთან;

გ) მოსწავლის მშობელმა წერილობითი განცხადებით მიმართოს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს;

დ) მოსწავლის მშობელმა სამოქალაქო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში გააგზავნოს მოსწავლის საჯარო სკოლის ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე (პირველ კლასში) ჩასარიცხად საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული საბუთები.

ტესტი 3. რომელია სწორი მსჯელობა?

ა) საჯარო სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რეგისტრაციას/რეგისტრაციის გაუქმებას, პირველ კლასში

ჩასარიცხი მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიმართვის საფუძველზე, უზრუნველყოფს ის საჯარო სკოლა, სადაც მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სურს, რომ ჩაირიცხოს მოსწავლე;

ბ) საჯარო სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რეგისტრაციას/რეგისტრაციის გაუქმებას რეგისტრაციის პირველ, მეორე და მეოთხე ეტაპებზე, პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიმართვის საფუძველზე, უზრუნველყოფს ის საჯარო სკოლა, სადაც მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სურს, რომ ჩაირიცხოს მოსწავლე;

გ) საჯარო სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რეგისტრაციას/რეგისტრაციის გაუქმებას, პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიმართვის საფუძველზე, უზრუნველყოფს ის საგანმანათლებლო რესურსცენტრი, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს ის სკოლა, სადაც მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სურს, რომ ჩაირიცხოს მოსწავლე;

დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი 4. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადაში მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების საჯარო სკოლაში წარუდგენლობა:

ა) არ იწვევს რეგისტრაციის ავტომატურ გაუქმებას;

ბ) იწვევს რეგისტრაციის ავტომატურ გაუქმებას;

გ) იწვევს მშობლის დაჯარიმებას 200 ლარით;

დ) იწვევს მშობლის დაჯარიმებას 300 ლარით და მოსწავლე სკოლაში ავტომატურად ჩარიცხულად ითვლება.

ტესტი 5. საჯარო სკოლა ვალდებულია, პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ დოკუმენტების წარდგენიდან ორ სამუშაო დღეში განიხილოს დოკუმენტაცია და:

ა) ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში შესაბამისი ღილაკის გამოყენებით დაადასტუროს, კანონმდებლობით დადგენილი, მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების მიღება, რის შემდეგაც საჯარო სკოლის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს მოსწავლის პირველ კლასში ჩარიცხვის შესახებ. სკოლა ვალდებულია, ამ მოსწავლის/მოსწავლეების პირველ კლასში ჩარიცხვის შესახებ შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი ასახოს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში შესაბამისი სასწავლო წლის დაწყებამდე;

ბ) შეუსაბამო ან არასრული დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში, მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, დამატებით განუსაზღვროს ვადა ხარვეზის აღმოფხვრისთვის, არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა;

გ) დასაბუთებული უარი განუცხადოს მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს წარდგენილი დოკუმენტაციის მიღებაზე;

დ) განახორციელოს „ა", „ბ" და „გ" პასუხებში აღნიშნული ქმედება.

ტესტი 6. სკოლაში დაწყებითი (გარდა პირველი კლასისა), საბაზო და საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასებში, სკოლაში არსებული თავისუფალი ადგილის შესაბამისად, მოსწავლეთა ჩარიცხვაზე გადაწყვეტილებას იღებს:

ა) სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) პედაგოგიური საბჭოს დასკვნის საფუძველზე სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე;

გ) სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით სკოლის დირექტორი;

დ) სკოლის დირექტორი.

ტესტი 7. პირის, რომლის ასაკი აღემატება 10 წელს და არ აქვს საგანმანათლებლო ისტორია ან მან გარკვეული მიზეზების გამო გამოტოვა კლასი/კლასები:

ა) სკოლაში ჩარიცხვა ხორციელდება ზოგადი განათლების პირველ კლასში;

ბ) ობიექტური მიზეზის არსებობის შემთხვევაში, მშობლის მიმართვისა და პედაგოგიური საბჭოს დასკვნის საფუძველზე, ირიცხება მეოთხე კლასში;

გ) სკოლაში ჩარიცხვა ხორციელდება ზოგადი განათლების დაწყებით ან საბაზო საფეხურზე ასაკის შესაბამის კლასში ან არაუმეტეს 3 კლასით დაბალ კლასში;

დ) დაუშვებელია სკოლაში ჩარიცხვა.

ტესტი 8. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობა არის:

ა) მოსწავლეთა თავისუფალი გადაადგილება ზოგადი განათლების საფეხურიდან საფეხურში, რასაც თან სდევს სწავლის პერიოდში მიღებული შეფასებების ატესტატით დადასტურება და უცხოეთში სწავლის გაგრძელება;

ბ) მოსწავლეთა თავისუფალი გადაადგილება კლასიდან კლასში, რასაც თან სდევს სწავლის პერიოდში მიღებული განათლებისა და შეფასებების აღიარება;

გ) მოსწავლეთა თავისუფალი გადაადგილება სწავლო პროცესში მონაწილეობის მისაღებად როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, საქართველოს კანონმდებლობითა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესებით, რასაც თან სდევს სწავლის პერიოდში მიღებული განათლებისა და შეფასებების აღიარება;

დ) მოსწავლის სხვა სკოლაში გადასვლის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობითა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწე-

სებულების მიერ დადგენილი წესით გადასასვლელი გამოცდების ჩაბარება.

ტესტი 9. მობილობის უფლება აქვს:

ა) მოსწავლეს, რომლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლე;

ბ) მოსწავლეს მხოლოდ საბაზო საფეხურზე;

გ) მოსწავლეს მხოლოდ საბაზო-საშუალო საფეხურზე;

დ) მოსწავლეს ფინანსური დავალიანების წარმოშობიდან 5 წლის განმავლობაში.

ტესტი 10. მობილობა დაუშვებელია:

ა) კალენდარული წლის პირველი სექტემბრიდან პირველ ოქტომბრამდე;

ბ) ერთი სასწავლო წლის განმავლობაში, იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების პირველი კლასის მოსწავლეებისათვის, რომლებმაც სწავლა დაიწყეს სასწავლო წლის დაწყების თარიღზე გვიან (საქართველოს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო წელი 15 სექტემბერს იწყება. თუ 15 სექტემბერი დასვენების დღეს ან უქმე დღეს ემთხვევა, სწავლა მის მომდევნო პირველ სამუშაო დღეს იწყება). ეს შეზღუდვა არ ვრცელდება იმ პირველი კლასის მოსწავლეებზე, რომლებსაც ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების ასაკი შეუსრულდათ სასწავლო წლის დაწყების თარიღის ჩათვლით და სწავლობენ იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებმაც სწავლა დაიწყეს სასწავლო წლის დაწყების თარიღიდან არაუგვიანეს 1 თვისა;

გ) სასწავლო წლის დასრულებამდე 30 კალენდარული დღის განმავლობაში და მე-12 კლასელებისათვის მე-12 კლასის მე-2 სემესტრის მიმდინარეობისას;

დ) ყველა პასუხი სწორია.

ტესტი 11. მოსწავლის ქცევის კოდექსი:

ა) განსაზღვრავს მოსწავლის დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეებს და მათი შეფარდების წესს;

ბ) არეგულირებს მოსწავლის ქცევის წესებს, რომლებსაც მოსწავლე იცავს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სკოლაში, აგრეთვე სკოლის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობის დროს;

გ) არეგულირებს მოსწავლის ქცევის წესებს საგზაო მოძრაობისას;

დ) არეგულირებს მოსწავლის ქცევის წესებს ოჯახში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, საზოგადოებრივი და მასობრივი თავშეყრის ადგილებში.

ტესტი 12. მოსწავლის ქცევის კოდექსის თანახმად, მოსწავლე:

ა) ყოველთვის თავაზიანია მასწავლებელთან და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირთან ურთიერთობაში და არ აყენებს მათ რაიმე სახის შეურაცხყოფას;

ბ) ემორჩილება სკოლის დირექტორის, მასწავლებლის, სკოლაში დასაქმებული სხვა პირისა და მანდატურის კანონიერ მითითებებს;

გ) თავაზიანად ეპყრობა სხვა მოსწავლეებს, თავს იკავებს მათთან ძალადობის მუქარისგან, ცილისმწამებლური ან დამცინავი განცხადებებისაგან და არ აყენებს მათ რაიმე სახის შეურაცხყოფას;

დ) ყველა პასუხი სწორია.

ტესტი 13. მოსწავლის ქცევის კოდექსის თანახმად, მოსწავლე:

ა) სკოლაში ცხადდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის შესაფერისი სამოსითა და აქსესუარებით;

ბ) დროულად ცხადდება გაკვეთილზე ან სკოლის მიერ ორგანიზებულ სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებაზე;

გ) გაკვეთილზე ყოფნისას აქვს სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი ნივთები;

დ) ყველა პასუხი სწორია.

ტესტი 14. მოსწავლის ქცევის კოდექსის თანახმად, მოსწავლე:

ა) ხელს არ უშლის მასწავლებელსა და სხვა მოსწავლეებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;

ბ) პატივს სცემს სხვის აზრსა და აკადემიურ ნაშრომს, სხვისი ინტელექტუალური საქმიანობის შედეგად შექმნილ პროდუქტს არ ასაღებს თავისად;

გ) არ ეწევა რელიგიურ და პოლიტიკურ პროპაგანდას;

დ) ყველა პასუხი სწორია.

ტესტი 15. „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა არის:

ა) მოსწავლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შინაგანაწესით განსაზღვრული წესების დარღვევა;

ბ) სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა;

გ) მასწავლებლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შინაგანაწესით განსაზღვრული წესების დარღვევა;

დ) ყველა პასუხი სწორია.

ტესტი 16. „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, დისციპლინური დევნა არის:

ა) საგამოძიებო ორგანოების მიერ ჩატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელთა მიზანია მოსწავლის ან მასწავლებლის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის გამოვლენა;

ბ) სასამართლოს მიერ ჩატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელთა მიზანია მოსწავლის ან მასწავლებლის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის გამოვლენა;

გ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ჩატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელთა მიზანია მოსწავლის ან მასწავლებლის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის გამოვლენა;

დ) მშობლებისა და სამეურვეო საბჭოს მიერ ჩატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელთა მიზანია მოსწავლის ან მასწავლებლის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის გამოვლენა.

ტესტი 17. დისციპლინურ სახდელად სკოლის შინაგანაწესით შეიძლება გათვალისწინებული იყოს:

ა) მოსწავლის გაფრთხილება, მკაცრი გაფრთხილება, გაკვეთილიდან გაძევება;

ბ) სკოლიდან დროებით დათხოვნა;

გ) მოსწავლისთვის სკოლისათვის სასარგებლო საქმიანობის დაკისრება;

დ) ყველა პასუხი სწორია.

ტესტი 18. სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით:

ა) დასაშვებია მოსწავლის ფიზიკური ჩხრეკის განხორციელება;

ბ) დასაშვებია მოსწავლის უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელება;

გ) აუცილებელია მოსწავლეების იზოლირებულ და უსაფრთხო თავშესაფარში გადაყვანა;

დ) დასაშვებია მოსწავლეების სამაგალითოდ დასჯა.

ტესტი 19. სკოლა ვალდებულია, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეს შეუჩეროს მოსწავლის სტატუსი იმ შემთხვევაში, თუ:

ა) მოსწავლე 45 სასწავლო დღის განმავლობაში ზედიზედ არ ცხადდება სკოლაში/არ მონაწილეობს დისტანციური სწავლე-

ბის სრულად ელექტრონული მოდელის გამოყენებით ჩატარებულ გაკვეთილებში და არ იღებს შეფასებას;

ბ) მოსწავლე მიემგზავრება/გაემგზავრა საზღვარგარეთ და მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი წერილობით მიმართავს სკოლას;

გ) სკოლაში 12 წლის სწავლის შემდეგ მოსწავლემ ვერ დაძლია ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონე და სტანდარტული ვაუჩერის შესაბამის თანხას არ შეიტანს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესაბამის სახაზინო ანგარიშზე;

დ) ყველა პასუხი სწორია.

ტესტი 20. მოსწავლის სტატუსის შეწყვეტა ხდება, თუ:

ა) მოსწავლემ დაძლია ზოგადი განათლების საშუალო საფეხური;

ბ) მოსწავლემ დაძლია ზოგადი განათლების საბაზო საფეხური და მოსწავლის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა მოსწავლის სტატუსის შეწყვეტის (სკოლიდან ამორიცხვის) მოთხოვნით განცხადებით მიმართა სკოლას;

გ) საშუალო საფეხურის მოსწავლის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა მოსწავლის სტატუსის შეწყვეტის (სკოლიდან ამორიცხვის) მოთხოვნით განცხადებით მიმართა სკოლას;

დ) ყველა პასუხი სწორია.

ტესტების სწორი პასუხები:																			
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20
ა	ა	ბ	ბ	დ	დ	გ	გ	ა	დ	ბ	დ	დ	დ	ა	გ	დ	ბ	დ	დ

თავი IX

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფინანსები და ქონება

1. ზოგადი განათლების დაფინანსება

საქართველოს კონსტიტუციით „დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა. ზოგად განათლებას კანონით დადგენილი წესით სრულად აფინანსებს სახელმწიფო."[123] „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფო უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის) მიერ ზოგადი განათლების თავის საცხოვრებელ ადგილთან მაქსიმალურად ახლოს, სახელმწიფო ან მშობლიურ ენაზე მიღების უფლებას.

მოსწავლის განათლების სახელმწიფო დაფინანსება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში გრძელდება 12 წლის განმავლობაში და ვრცელდება საქართველოს მოქალაქეზე, დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობის მქონე პირზე, „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 20[13] მუხლით გათვალისწინებულ პირზე, უცხო ქვეყნის მოქალაქეზე (მათ შორის, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე სხვა სახელმწიფოს მოქალაქეზე), მოქალაქეობის არმქონე პირსა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირზე.

---

[123] „საქართველოს კონსტიტუცია", 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

სახელმწიფოს მიერ მოსწავლის განათლების დაფინანსება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხორციელდება ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი ვაუჩერით. ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

ტერმინი ვაუჩერი განისაზღვრება როგორც ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც განკუთვნილია მოსწავლის მიერ ზოგადი განათლების მიღების დასაფინანსებლად.

სტანდარტული და გაზრდილი ვაუჩერების ოდენობები განისაზღვრება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიღწევის დონისათვის მაქსიმალური დატვირთვის მიხედვით, განსხვავებულ მდგომარეობაში მყოფ მოსწავლეთა ფინანსური შესაძლებლობების შესაბამისად, განათლების მიღების უფლების უზრუნველყოფაში თანასწორობის პრინციპის დაცვით.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვის შემთხვევაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მოსწავლის შესახებ მონაცემები შეაქვს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში, რომლის ადმინისტრირებასაც ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ამუშავებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირების შესახებ მონაცემებს და წარუდგენს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს. სწორედ ზემოაღნიშნული მონაცემების საფუძველზე ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, ვაუჩერის თანხის გადარიცხვას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

სამინისტრო უზრუნველყოფს მინისტრის მიერ დაფუძნებული საჯარო სკოლების რესურსსკოლების მიერ განხორციელებული პროგრამების/სერვისების, კონსულტირებისა და პანსიონური მომსახურების დაფინანსებას. აგრეთვე ინკლუზიური განათლების, მათ შორის, სპეციალიზებული კლასებისა და ინტეგრირებული კლასების, დაფინანსებას, რაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს შესაბამისი ადამიანური რესურსითა და პროგრამებით/სერვისებით უნდა უზრუნველყოფდეს.

გარდა სახელმწიფოს მხრიდან ზოგადი განათლების სრულად დაფინანსებისა, ზოგადი განათლების და საგანმანათლებლო რესურსების თანაბრად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოში ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული შემდეგი პროგრამები:

- უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა;
- განსაკუთრებით ნიჭიერ მოსწავლეთა საგანმანათლებლო და საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა;
- მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა;
- ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის ზოგადი განათლების მიღების ხელმისაწვდომობა;
- საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა;
- ზოგადი განათლების ხელშეწყობა;
- და სხვა პროგრამები.

სკოლას უფლება აქვს, მოიზიდოს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა ფინანსური სახსრები, მათ შორის, მიიღოს შემოსავალი ეკონომიკური საქმიანობით, თუ ეს საქმიანობა არ ახდენს მავნე ზეგავლენას მოსწავლეთა ფიზიკურ და ზნეობრივ განვითარებაზე. მიღებული სახსრები, კანონმდებლობის შესაბამისად, ხმარდება მხოლოდ სკოლის მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას. სკოლის ყველა შემოსავალი და ხარჯი აისახება მის ბიუჯეტში.[124]

---

[124] „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი.

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ვაუჩერის გაცემა და გადატანა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ვაუჩერის გაცემა და გადატანა ხორციელდება „ვაუჩერის გაცემისა და გადატანის წესის" საფუძველზე, რომელსაც ადგენს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ერთად.

სახელმწიფო უზრუნველყოფს სრული ზოგადი განათლების დაფინანსებას საქართველოს ტერიტორიაზე, კანონმდებლობის შესაბამისად, არაუმეტეს 12 წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული და გაზრდილი ვაუჩერის ოდენობების შესაბამისად. ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერი გაიცემა „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ სასკოლო ასაკს მიღწეული ბავშვის სრული ზოგადი განათლების დასაფინანსებლად. ვაუჩერის გაცემა ხორციელდება იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის თანხის გადაცემის გზით, სადაც სწავლობს მოსწავლე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს შეჩერებული აქვს მოსწავლის სტატუსი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაზე ვაუჩერი არ გაიცემა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ოპტიმიზაციის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში თითოეულ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ვაუჩერი გადაეცემა ოპტიმიზებული ან ლიკვიდირებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების უფლებამონაცვლეს (გარდა კერძო სამართლის იურიდიული პირის სახით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა).

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლებას ვაუჩერით სახელმწიფო დააფინანსებს მხოლოდ იმ შემთხვევაში,

თუ მას მინიჭებული აქვს შესაბამისი ავტორიზაცია. სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ავტორიზაციის მინიჭების ან ცვლილების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, წერილობით აწვდის სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შემდეგ ინფორმაციას:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე;
ბ) საიდენტიფიკაციო კოდი;
გ) მისამართი (რეგიონის და თვითმმართველი ქალაქის/მუნიციპალიტეტის მითითებით);
დ) მინიჭებული ავტორიზაციის ხანგრძლივობა;
ე) საფეხური, რაზეც მინიჭებული აქვს ავტორიზაცია;
ვ) მოსწავლეთა ზღვრული ოდენობა;
ზ) ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა.

სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ზემოაღნიშნულ ინფორმაციას, მიღებიდან არაუგვიანეს ორი სამუშაო დღისა, ასახავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში. ასევე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახავს ინფორმაციას მოსწავლეთა შესახებ სახელის, გვარის, პირადი ნომრის, დაბადების თარიღის, მოქალაქეობის, კლასის, სექტორის (რომელზეც ირიცხება მოსწავლე) მითითებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საბანკო რეკვიზიტებს, ასევე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობების რაოდენობის შესა-

ხებ, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესისათვის და რომელშიც სწავლა მიმდინარეობს ზოგადი განათლების საფეხურზე/საფეხურებზე, შესაბამისი საფეხურის/საფეხურების რაოდენობის მითითებით.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაზე ვაუჩერის გაცემის მიზნით, სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წლის განმავლობაში სამჯერ, შემდეგი ვადების დაცვით:

ა) ყოველი წლის 1 ოქტომბრამდე – 25 სექტემბრის მდგომარეობით;

ბ) ყოველი წლის 1 თებერვლამდე – 25 იანვრის მდგომარეობით;

გ) ყოველი წლის 1 ივნისამდე – 10 მაისის მდგომარეობით.

წარუდგენს:

ა) ინფორმაციას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით ელექტრონული ფორმის შესაბამისად, რაც მოიცავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების:

ა.ა) სრულ დასახლებას;

ა.ბ) საიდენტიფიკაციო კოდს;

ა.გ) საბანკო რეკვიზიტებს;

ა.დ) მაღალმთიან რეგიონში/სოფელში/დაბაში მდებარეობაზე მითითებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ა.ე) მოსწავლეთა სრულ რაოდენობას (გარდა სტატუსშეჩერებული მოსწავლეებისა);

ა.ვ) ქართული და არაქართულენოვანი სექტორების მოსწავლეთა საერთო რაოდენობას კლასების მიხედვით;

ა.ზ) ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის განხორციელების ენას.

ბ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობების რაოდენობას, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესისათვის და რო-

მელშიც სწავლა მიმდინარეობს ზოგადი განათლების საფეხურზე/საფეხურებზე, შესაბამისი საფეხურის/საფეხურების მითითებით.

ახალდაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, ავტორიზაციის მინიჭების შემდეგ, ვაუჩერით დაფინანსების მიღების მიზნით, 5 სამუშაო დღის ვადაში შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრს წარუდგინოს დაფუძნებისა და ავტორიზაციის მინიჭების დოკუმენტაცია, რომელსაც მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში საგანმანათლებლო რესურსცენტრი წარუდგენს მართვის სისტემას. ამ ვადაში საგანმანათლებლო რესურსცენტრისათვის ინფორმაციის წარუდგენლობა ახალდაფუძნებულ სკოლას ართმევს უფლებას, მოითხოვოს ვაუჩერის შესაბამისი თანხის გადარიცხვა ავტორიზაციის მინიჭების თვიდან. ამ შემთხვევაში, ახალდაფუძნებულ სკოლას ვაუჩერის შესაბამისი თანხა გადაერიცხება სტანდარტულად დადგენილი ვადების შესაბამისად.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ახალდაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის ვაუჩერის შესაბამისი თანხის გადარიცხვას განახორციელებს ავტორიზაციის მინიჭების თვიდან:

ა) მხოლოდ იმ მოსწავლეებზე, რომლებიც არ ირიცხებოდნენ სხვა სკოლებში, შესაბამისი სასწავლო წლის 25 სექტემბრის მდგომარეობით, იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების უფლება ახალდაფუძნებულმა კერძო სკოლამ მოიპოვა 25 სექტემბრიდან 25 იანვრამდე;

ბ) მხოლოდ იმ მოსწავლეებზე, რომლებიც არ ირიცხებოდნენ სხვა სკოლებში შესაბამისი სასწავლო წლის 25 იანვრის მდგომარეობით, იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების უფლება ახალდაფუძნებულმა კერძო სკოლამ მოიპოვა 25 იანვრიდან 20 მაისამდე;

გ) მხოლოდ იმ მოსწავლეებზე, რომლებიც არ ირიცხებოდნენ სხვა სკოლებში შესაბამისი სასწავლო წლის 10 მაისის მდგომარეობით, იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების უფლება ახალდაფუძნებულმა კერძო სკოლამ მოიპოვა 10 მაისიდან 25 სექტემბრამდე.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, ახალდაფუძნებული სკოლისათვის ავტორიზაციის მინიჭების თვეში ვაუჩერის თანხის გადარიცხვისას ვაუჩერის თანხის ოდენობას იანგარიშებს ავტორიზაციის მინიჭების დღიდან შესაბამისი თვის დასრულებამდე დარჩენილი კალენდარული დღეების რაოდენობის შესაბამისი თვის კალენდარული დღეების რაოდენობასთან თანაფარდობის პროპორციულად.

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოსწავლის მობილობის დროს ვაუჩერი მიმღებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას გადაეცემა:

ა) 1 ოქტომბრიდან, თუ მოსწავლე იმავე კალენდარული წლის 11 მაისიდან 25 სექტემბრის ჩათვლით მობილობით გადავიდა სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, ასევე, თუ აღიდგინა მოსწავლის სტატუსი;

ბ) 1 თებერვლიდან, თუ მოსწავლე ერთსა და იმავე სასწავლო წლის 26 სექტემბრიდან 25 იანვრის ჩათვლით მობილობით გადავიდა სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, ასევე, თუ აღიდგინა მოსწავლის სტატუსი.

გ) 1 ივნისიდან, თუ მოსწავლე ერთსა და იმავე სასწავლო წლის 26 იანვრიდან 10 მაისის ჩათვლით მობილობით გადავიდა სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, ასევე, თუ აღიდგინა მოსწავლის სტატუსი.

იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, საიდანაც გაირიცხა/ამოირიცხა მოსწავლე, უნარჩუნდება ვაუჩერის გადარიცხული თანხის ოდენობა:

ა) 1 თებერვლამდე, თუ მოსწავლე გაირიცხა/ამოირიცხა ერთსა და იმავე სასწავლო წლის 26 სექტემბრიდან 25 იანვრის ჩათვლით;

ბ) 1 ივნისამდე, თუ მოსწავლე გაირიცხა/ამოირიცხა ერთსა და იმავე სასწავლო წლის 26 იანვრიდან 10 მაისის ჩათვლით;

გ) 1 ოქტომბრამდე, თუ მოსწავლე გაირიცხა/ამოირიცხა იმავე კალენდარული წლის 11 მაისიდან 25 სექტემბრის ჩათვლით.

მოსწავლის მიერ მოსწავლის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში შესაბამის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ვაუჩერის გადარიცხული თანხის ოდენობა შეუნარჩუნდება:

ა) 1 ოქტომბრამდე, თუ მოსწავლეს სტატუსი შეუჩერდა იმავე კალენდარული 11 მაისიდან 25 სექტემბრის ჩათვლით.

ბ) 1 თებერვლამდე, თუ მოსწავლეს სტატუსი შეუჩერდა ერთსა და იმავე სასწავლო წლის 26 სექტემბრიდან 25 იანვრის ჩათვლით;

გ) 1 ივნისამდე, თუ მოსწავლეს სტატუსი შეუჩერდა ერთსა და იმავე სასწავლო წლის 26 იანვრიდან 10 მაისის ჩათვლით.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ ვაუჩერის თანხის გადარიცხვის შემდგომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის გაუქმების შემთხვევაში, იურიდიული პირი ვალდებულია, სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე დააბრუნოს ავტორიზაციის გაუქმების დღიდან შესაბამისი პერიოდის დასრულებამდე დარჩენილი კალენდარული დღეების რაოდენობის შესაბამისი პერიოდის კალენდარული დღეების რაოდენობასთან თანაფარდობის პროპორციული ვაუჩერის თანხის ოდენობა.[125]

---

[125] იხ. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ვაუჩერის გაცემისა და გადატანის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს

3. სკოლის საბუღალტრო აღრიცხვა და ქონება

სკოლა ვალდებულია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს მეშვეობით, ხოლო აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე – შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მეშვეობით.

სკოლის დირექტორი თანხებს განკარგავს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის ბიუჯეტის მიხედვით. დირექტორი უფლებამოსილია, გადაუდებელი აუცილებლობისას სამეურვეო საბჭოს თანხმობის გარეშე გადაანაცვლოს ბიუჯეტის ერთი მუხლის სახსრები არაუმეტეს 10%-ისა მეორე მუხლში. ამ ცვლილებამ არ უნდა გამოიწვიოს მასწავლებელთა ხელფასების შემცირება. სკოლის ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში დირექტორი უფლებამოსილია, ყოველთვიურად გასცეს თანხები არაუმეტეს გასული წლის ბიუჯეტის 1/12-ის ოდენობით.

სკოლის წლიურ ბალანსს ამოწმებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორი.

დასახული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად საჯარო სკოლას საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 11 თებერვლის №13/ნ№29 ერთობლივი ბრძანება.

მიერ გადაეცემა სათანადო ქონება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესი.

საჯარო სკოლის შენობა და შესაბამისი მიწის ფართობი სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაეცემა უვადო და უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით. საჯარო სკოლა მისთვის სახელმწიფოს მიერ გადაცემულ ქონებას განკარგავს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობის საფუძველზე, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებზე – განათლების სფეროში უფლებამოსილი შესაბამისი სამინისტროს თანხმობის საფუძველზე.[126]

საჯარო სკოლამ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობით, შეიძლება განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;
ბ) სესხის აღება (აუცილებელია, აგრეთვე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობა);
გ) თავდებობა (აუცილებელია, აგრეთვე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობა);
დ) საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის განსაზღვრა;
ე) სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებით დასასაქმებელი პირების ფუნქციებისა და რაოდენობის განსაზღვრა;
ვ) სხვა გადაწყვეტილებები საჯარო სკოლის ქონებასთან დაკავშირებით, თუ ისინი სცდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს უარი ზემოხსენებული ქმედებების განხორციელებაზე უნდა იყოს დასაბუთებული. უარი შეიძლება

---

[126] „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი, 50-ე მუხლი.

გასაჩივრდეს ზემდგომ სახელმწიფო ორგანოში ან/და სასამართლოში.[127]

შეამოწმე შენი ცოდნა:

ტესტი 1. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად:

ა) ზოგად განათლებას, კანონით დადგენილი წესით, სრულად აფინანსებს მშობელი;

ბ) ზოგად განათლებას, კანონით დადგენილი წესით, საბაზო საფეხურის ჩათვლით აფინანსებს სახელმწიფო;

გ) თუ მშობელი გადახდისუუნაროა, ზოგად განათლებას, კანონით დადგენილი წესით, აფინანსებს სახელმწიფო;

დ) ზოგად განათლებას, კანონით დადგენილი წესით, სრულად აფინანსებს სახელმწიფო.

ტესტი 2. რამდენი წლის განმავლობაში გრძელდება მოსწავლის განათლების სახელმწიფო დაფინანსება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში?

ა) 6 წლის განმავლობაში;

ბ) 9 წლის განმავლობაში;

გ) 12 წლის განმავლობაში;

გ) მშობლის გადახდისუუნარობის პერიოდში.

ტესტი 3. სახელმწიფოს მიერ მოსწავლის განათლების დაფინანსება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხორციელდება:

ა) მოსწავლის მშობლის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით;

ბ) ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი ვაუჩერით;

---

[127] „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონი, მე-12 მუხლი.

გ) მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი ობლიგაციით;

დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი 4. თუ მოსწავლეს შეჩერებული აქვს მოსწავლის სტატუსი, სახელმწიფოს მიერ მოსწავლის განათლების დაფინანსება:

ა) არ გაიცემა;

ბ) გაიცემა;

გ) გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს სტატუსი ფინანსური დავალიანების გამო აქვს შეჩერებული;

დ) გაიცემა, მიუხედავად სტატუსის შეჩერებისა, ვინაიდან ასანაზღაურებელია მასწავლებლის ხელფასები.

ტესტი 5. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლებას ვაუჩერით სახელმწიფო დააფინანსებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მინიჭებული აქვს შესაბამისი ავტორიზაცია;

ბ) მოსწავლე ჩაირიცხა სკოლაში ერთიანი ეროვნული რეგისტრაციის საფუძველზე შესაბამისი სასწავლო წლის 1 ნოემბრამდე;

გ) მოსწავლე სწავლობს აკრედიტებულ პროგრამაზე;

დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პირობა ერთდროულად არსებობს.

ტესტი 6. რომელი მსჯელობაა სწორი?

ა) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ ვაუჩერის თანხის გადარიცხვის შემდგომ სკოლის აკრედიტაციის გაუქმების შემთხვევაში, სკოლის სამეურვეო საბჭო ვალდებულია, სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე დააბრუნოს მიღებული ვაუჩერის თანხის ოდენობა სრულად;

ბ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ ვაუჩერის თანხის გადარიცხვის შემდგომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის გაუქმების შემთხვევაში, იურიდიული პირი ვალდებულია, სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე დააბრუნოს ავტორიზაციის გაუქმების დღიდან შესაბამისი პერიოდის დასრულებამდე დარჩენილი კალენდარული დღეების რაოდენობის შესაბამისი პერიოდის კალენდარული დღეების რაოდენობასთან თანაფარდობის პროპორციული ვაუჩერის თანხის ოდენობა;

გ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ვაუჩერის თანხის გადარიცხვის შემდგომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაციის გაუქმების შემთხვევაში, იურიდიული პირი ვალდებულია, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ანგარიშზე დააბრუნოს მოსწავლის სკოლაში მიღების დღიდან შესაბამისი პერიოდის დასრულებამდე დარჩენილი კალენდარული დღეების რაოდენობის შესაბამისი პერიოდის კალენდარული დღეების რაოდენობასთან თანაფარდობის პროპორციული ვაუჩერის თანხის ოდენობა;

დ) არცერთი მსჯელობა არ არის სწორი.

ტესტი 7. სკოლა ვალდებულია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით:

ა) შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს სამეურვეო საბჭოს;

ბ) აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება და დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს;

გ) აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს;

დ) აწარმოოს სამეწარმეო საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს სასწავლო პროცესის დროს რეალიზებული პროდუქციის ჩამონათვალი და წარუდგინოს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს.

ტესტი 8. სკოლის დირექტორი სკოლის თანხებს განკარგავს:

ა) საკუთარი გადაწყვეტილებით და არ არის შეზღუდული ხარჯვაში;

ბ) პედაგოგიურ საბჭოსთან შეთანხმებით;

გ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული სკოლის ბიუჯეტის მიხედვით;

დ) სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის ბიუჯეტის მიხედვით.

ტესტი 9. დასახული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად საჯარო სკოლას:

ა) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანხმობით, მშობლების მიერ გადაეცემა სათანადო ქონება, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით პრივატიზების მიზნით;

ბ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გადაეცემა სათანადო ქონება, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) მშობლების, მასწავლებლებისა და დირექტორის თანხმობის საფუძველზე, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ გადაეცემა ფინანსური სახსრები სკოლის შენობის შეძენის მიზნით;

დ) აქვს სკოლის შენობა, რომელიც წარმოადგენს მოსწავლეთა და მასწავლებელთა საერთო საკუთრებას.

ტესტი 10. საჯარო სკოლამ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობით, შეიძლება, განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;

ბ) სესხის აღება (აუცილებელია, აგრეთვე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობა);

გ) თავდებობა (აუცილებელია, აგრეთვე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობა);

დ) ყველა პასუხი სწორია.

ტესტების სწორი პასუხები:									
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
დ	გ	ბ	ა	ა	ბ	გ	დ	ბ	დ

თავი X

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმწიფო კონტროლი

საჯარო სკოლის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე – აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტრო, კანონით გათვალისწინებული წესით. საჯარო სკოლა მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარუდგენს გასული წლის საქმიანობის ანგარიშს საქართველოს კანონმდებლობის შესრულებისა და სასწავლო პროცესის შესახებ.

სახელმწიფო კონტროლი ეწოდება საჯარო სკოლის მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტების შესრულების ზედამხედველობას.

სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო გამოითხოვს მასალებსა და ინფორმაციას, ან ადგილზე შეისწავლის სკოლის მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტების შესრულებას. სკოლამ მოთხოვნილი ინფორმაცია უნდა წარუდგინოს მოთხოვნიდან 15 დღის ვადაში.

საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტების დარღვევის შემთხვევაში საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, ხოლო აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში – შესაბამისი სამინისტრო უფლებამოსილია, აღნიშნულ საჯარო სკოლას მისცეს წერილობითი გაფრთხილება, ან/და საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს მიმართოს შესაბამისი დასაბუთებული წარდგინებით დირექტორისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე. საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭო დირექტორისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს განიხილავს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარდგინებაში მითითებულ ვადაში, ხოლო აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში – შესაბამისი სამინისტროს წარდგინებაში მითითებულ ვადაში. სამეურვეო საბჭო ვალდებულია, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, თუ ვადამდე არ შეუწყვეტს უფლებამოსილებას სკოლის დირექტორს. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო უფლებამოსილია, არ დაეთანხმოს სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებას და ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება სკოლის დირექტორს.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, ხოლო აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში – შესაბამისი სამინისტრო უფლებამოსილია:

ა) დაითხოვოს სამეურვეო საბჭო, თუ საჯარო სკოლაში სამეურვეო საბჭოს საქმიანობის გამო დაირღვევა საქართველოს კანონმდებლობა;

ბ) ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება დირექტორს, თუ საჯარო სკოლა დირექტორის საქმიანობის გამო 1 წლის განმავლობაში 2 წერილობით გაფრთხილებას მიიღებს;

გ) ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, თუ საჯარო სკოლა დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის საქმიანობის გამო 1 წლის განმავლობაში 2 წერილობით გაფრთხილებას მიიღებს;

დ) დაითხოვოს სამეურვეო საბჭო ან/და ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება დირექტორს/დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, თუ საჯარო სკოლა წერილობით გაფრთხილებაში მითითებულ ვადაში არ აღმოფხვრის დარღვევას.

სახელმწიფო კონტროლთან დაკავშირებით გამოცემული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სამართლებრივი აქტები, ხოლო აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში – შესაბამისი სამინისტროს მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტები საჩივრდება სასამართლოში და მათი გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტების მოქმედების შეჩერებას.[128]

შეამოწმე შენი ცოდნა:

ტესტი 1. საჯარო სკოლის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს:

ა) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე – აგრეთვე, ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტრო კანონით გათვალისწინებული წესით;

ბ) საქართველოს მთავრობა;

გ) სკოლის სამეურვეო საბჭო;

დ) სახელმწიფო შიდა აუდიტის სამსახური.

---

[128] იხ. „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი, 49-ე მუხლი.

ტესტი 2. სახელმწიფო კონტროლი ეწოდება:

ა) საჯარო სკოლის მიერ სასწავლო პროცესის ზედამხედველობას;

ბ) საქართველოს მთავრობის მიერ ზედამხედველობას სკოლის მიერ გაწეულ საქმიანობაზე;

გ) საჯარო სკოლის მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტების შესრულების ზედამხედველობას;

დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი 3. საჯარო სკოლა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს – საქართველოს კანონმდებლობის შესრულებისა და სასწავლო პროცესის შესახებ გასული წლის საქმიანობის ანგარიშს წარუდგენს:

ა) ყოველთვიურად;

ბ) მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე;

გ) დირექტორის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე ექვსი თვით ადრე;

დ) „ბ" და „გ" პასუხებია სწორი.

ტესტი 4. საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტების დარღვევის შემთხვევაში საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, ხოლო აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შესაბამისი სამინისტრო უფლებამოსილია:

ა) დაითხოვოს აღნიშნული საჯარო სკოლის ყველა თანამშრომელი;

ბ) აღნიშნულ საჯარო სკოლას წერილობით გამოუცხადოს სასტიკი საყვედური;

გ) აღნიშნულ საჯარო სკოლას გამოუცხადოს სასტიკი საყვედური და საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს მიმართოს შესაბამისი დასაბუთებული წარდგინებით სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე;

დ) აღნიშნულ საჯარო სკოლას მისცეს წერილობითი გაფრთხილება ან/და საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს მიმართოს შესაბამისი დასაბუთებული წარდგინებით დირექტორისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე.

ტესტი 5. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, ხოლო აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შესაბამისი სამინისტრო უფლებამოსილია:

ა) დაითხოვოს სამეურვეო საბჭო, თუ საჯარო სკოლაში სამეურვეო საბჭოს საქმიანობის გამო დაირღვევა საქართველოს კანონმდებლობა;

ბ) დაითხოვოს სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, თუ საჯარო სკოლაში სამეურვეო საბჭოს საქმიანობის გამო დაირღვევა საქართველოს კანონმდებლობა;

გ) დაითხოვოს დირექტორი, თუ საჯარო სკოლაში სამეურვეო საბჭოს საქმიანობის გამო დაირღვევა საქართველოს კანონმდებლობა;

დ) დაითხოვოს სამეურვეო საბჭო ნებისმიერი საფუძვლით.

ტესტი 6. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, ხოლო აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შესაბამისი სამინისტრო უფლებამოსილია:

ა) ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება დირექტორს ნებისმიერი საფუძვლით;

ბ) ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება დირექტორს, თუ საჯარო სკოლა დირექტორის საქმიანობის გამო 1 წლის განმავლობაში 2 წერილობით გაფრთხილებას მიიღებს;

გ) ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება დირექტორს, თუ საჯარო სკოლა დირექტორის საქმიანობის გამო 2 წლის განმავლობაში 1 წერილობით გაფრთხილებას მიიღებს;

დ) ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება დირექტორს, თუ საჯარო სკოლა სამეურვეო საბჭოს საქმიანობის გამო 1 წლის განმავლობაში წერილობით გაფრთხილებას მიიღებს.

ტესტი 7. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, ხოლო აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შესაბამისი სამინისტრო უფლებამოსილია:

ა) დაითხოვოს სამეურვეო საბჭო ან/და ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება დირექტორს/დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, თუ საჯარო სკოლა წერილობით გაფრთხილებაში მითითებულ ვადაში არ აღმოფხვრის დარღვევას;

ბ) დაითხოვოს სამეურვეო საბჭო ან/და ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება დირექტორს/დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, თუ საჯარო სკოლის მოსწავლეთა ნახევარზე მეტი ჩაიჭრება ერთიან ეროვნულ გამოცდებში;

გ) დაითხოვოს სამეურვეო საბჭო ან/და ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება დირექტორს/დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, თუ საჯარო სკოლა წერილობით გაფრთხილებაში მითითებულ ვადაში არ გაათავისუფლებს სკოლიდან მასწავლებლებს;

დ) ყველა პასუხი სწორია.

ტესტი 8. სახელმწიფო კონტროლთან დაკავშირებით გამოცემული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სამართლებრივი აქტები, ხოლო აფხაზე-

თის ან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შესაბამისი სამინისტროს მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტები საჩივრდება:

ა) საქართველოს პრეზიდენტთან;

ბ) საქართველოს მთავრობაში;

გ) სკოლის სამეურვეო საბჭოში;

დ) სასამართლოში.

ტესტი 9. სახელმწიფო კონტროლთან დაკავშირებით გამოცემული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სამართლებრივი აქტები, ხოლო აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შესაბამისი სამინისტროს მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების გასაჩივრება:

ა) იწვევს სადავო აქტების ავტომატურ გაუქმებას;

ბ) იწვევს სადავო აქტების მოქმედების შეჩერებას;

გ) არ იწვევს სადავო აქტების მოქმედების შეჩერებას;

დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

ტესტი 10. საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭო დირექტორისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს განიხილავს:

ა) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადაში;

ბ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარდგინებაში მითითებულ ვადაში, ხოლო აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შესაბამისი სამინისტროს წარდგინებაში მითითებულ ვადაში;

გ) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში;

დ) საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წესდებით განსაზღ-ვრულ ვადაში.

ტესტების სწორი პასუხები:									
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ა	გ	ბ	დ	ა	ბ	ა	დ	გ	ბ

კაზუსები

კაზუსი 1.

გიორგის, რომელიც არის თბილისის ერთ-ერთი სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე, საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას სიტყვიერი კონფლიქტი მოუვიდა თანაკლასელ თომასთან. ეს კონფლიქტი გადაიზარდა ჩხუბში, რამაც სერიოზული სახე მიიღო და გიორგიმ თომას ბასრი საგნით დაზიანება მიაყენა. სიტუაციის გასანეიტრალებლად ადგილზე მისულმა დამრიგებელმა გააშველა მოსწავლეები და დასახმარებლად მოუხმო დირექტორს – ქალბატონ მაიას.

დირექტორმა გადაწყვიტა, საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნივთის აღმოჩენის მიზნით თავად დაეთვალიერებინა გიორგის ჯიბეები, მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში იყო მანდატური, გიორგის შარვლისა და პერანგის ჯიბეები შეუმოწმა, რა დროსაც აღმოაჩინა მცირე ზომის დასაკეცი დანა. დირექტორმა ჩათვალა, რომ სახეზე იყო გიორგის მიერ სავარაუდო სამართალდარღვევის ფაქტი და, ვინაიდან აღნიშნული სკოლის ტერიტორიაზე მოხდა, გადაწყვიტა, ეს ფაქტი პედაგოგიური საბჭოსთვის შეეტყობინებინა, რადგან, სკოლის შინაგანაწესით, სწორედ პედაგოგიური საბჭოა უფლებამოსილი, განიხილოს საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას მოსწავლის მიერ ჩადენილი ნებისმიერი გადაცდომის ფაქტი. მასწავლებლებისა და ფინანსისტისგან დაკომპლექტებულმა პედაგოგიურმა საბჭომ, მხოლოდ დირექტორის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, დაადგინა, რომ სახეზე იყო გიორგის მხრიდან დანაშაულის ნიშნები და დისციპლინური სახდელის სახით შეუფარდეს დისტანციური სწავლება ორი კვირის ვადით.

შეაფასეთ კაზუსში მოცემული გარემოებების საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

კაზუსი 2.

2023 წლის აგვისტოში სსიპ ქალაქ თბილისის N375 სკოლაში გაფუჭდა სავენტილაციო სისტემა. დირექტორმა გადაწყვიტა, პრობლემა მოეგვარებინა და დაექირავებინა კომპანია, რომელიც შეაკეთებდა სისტემას სასწავლო წლის დაწყებამდე, თუმცა ბიუჯეტში შესაბამისი თანხები გათვალისწინებული არ იყო. იმის გამო, რომ დირექტორს უნდოდა, პრობლემა დროულად მოეგვარებინა, რამდენიმე დღეში შეიმუშავა ახალი ბიუჯეტის პროექტი და დაამტკიცა. ამასთანავე, შემჭიდროებული ვადების გამო გადაწყვიტა, მომსახურების ხელშეკრულება თავისი ძმის კომპანიისთვის გაეფორმებინა. ხელშეკრულების გაფორმება მან თავის მოადგილეს მიანდო, რომელმაც შეადგინა ხელშეკრულება და საჯარო სკოლის სახელით მოაწერა ხელი.

იმსჯელეთ, სამართლებრივად სწორად მოიქცა თუ არა დირექტორი?

კაზუსი 3.

ნინო არის 14 წლის, ეტლით მოსარგებლე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი, რომელიც სწავლობს კასპის საჯარო სკოლაში. სკოლამ სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო სასწავლო წლის დასაწყისში შეიცვალა შენობა, რომელიც მდებარეობს ნინოს სახლიდან მოშორებით. ნინო ვერ ახერხებს ტრანსპორტის გარეშე სკოლაში სიარულს.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ გამოყო ადაპტირებული ტრანსპორტი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა გადაადგილებას, თუმცა ნინო უარს აცხადებს ტრანსპორტით სარგებლო-

ბაზე, რადგან სკოლის შენობა მდებარეობს მისი სახლიდან მოშორებით.

იმსჯელეთ, ირღვევა თუ არა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნინოს განათლების მიღების უფლება?

კაზუსი 4.

ნიკო არის VII კლასის მოსწავლე. ის მძიმე ოჯახურ პირობებში ცხოვრობს და გადაწყვეტს, რომ სკოლას თავი დაანებოს და დაიწყოს მუშაობა. ნიკოს მშობლები თვლიან, რომ ნიკო სკოლაში დროს ტყუილად კარგავს, ამასთან, მათი აზრით, ნიკო არაერთხელ გამხდარა მასწავლებლებისა თუ მოსწავლეების მხრიდან დაცინვის ობიექტი, მისი ოჯახის სოციალური მდგომარეობის გამო. აღნიშნულის გათვალისწინებით, ისინი ნიკოს გადაწყვეტილებას სიხარულით შეხვდნენ და სკოლასაც მიმართეს შესაბამისი განცხადებით.

სკოლამ დააკმაყოფილა მშობლების მოთხოვნა და ნიკოს შეუწყვიტა მოსწავლის სტატუსი.

იმსჯელეთ და სამართლებრივი შეფასება მიეცით კაზუსში მოყვანილ ქმედებებს.

კაზუსი 5.

გიორგი VIII კლასის მოსწავლეა. ის ხშირად არღვევს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შინაგანაწესით განსაზღვრულ წესებს და აქვს დაბალი აკადემიური შეფასება. მან აღნიშნულის გამო არაერთხელ მიიღო გაფრთხილება, მკაცრი გაფრთხილება, ასევე, რამდენჯერმე იქნა გაძევებული კლასიდან. აღნიშნულის თაობაზე, ასევე, ინფორმირებულები იყვნენ მისი მშობლებიც.

რადგან გიორგის მხრიდან სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული წესების დარღვევამ მიიღო სისტემატიური ხასიათი, სკოლის დისციპლინურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება გიორგის სკოლიდან გარიცხვასთან დაკავშირებით.

გიორგის მშობლებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ გიორგის სწავლა გაეგრძელებინა მათ სახლთან ახლოს მდებარე ერთ-ერთ სკოლაში და შესაბამისი განცხადებით მიმართეს სკოლის დირექტორს. სკოლიდან მათ მიიღეს უარი გიორგის სკოლაში ჩარიცხვასთან დაკავშირებით, რადგან ისინი ვერ მიიღებდნენ სკოლაში ისეთ მოსწავლეს, რომელიც გამოირჩევა დაბალი აკადემიური შეფასებით და სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული წესების დარღვევით.

იმსჯელეთ და სამართლებრივი შეფასება მიეცით კაზუსში მოყვანილ ქმედებებს.

კაზუსი 6.

ქეთევანი არის 10 წლის მოსწავლე, რომელმაც შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი და გადავიდა საცხოვრებლად ქალაქ დუშეთში. ქეთევანი არ ფლობს ქართულ ენას, მისი მშობლიური ენა არის აზერბაიჯანული. მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა მიმართა მის საცხოვრებელ სახლთან არსებულ ქალაქ დუშეთის საჯარო სკოლას სწავლის გაგრძელებასთან დაკავშირებით. აღნიშნულმა სკოლამ უარი განაცხადა ქეთევანის სკოლაში მიღებაზე, რადგან სკოლას არ აქვს აზერბაიჯანული სექტორი. სკოლამ ქეთევანის კანონიერ წარმომადგენელს შესთავაზა მათ სახლთან მოშორებით არსებული სკოლა, რომელსაც აქვს აზერბაიჯანული სექტორი. ქეთევანის კანონიერი წარმომადგენელი უარს აცხადებს მისი საცხოვრებელი ადგილიდან მოშორებით არსებულ სკოლაში სიარულზე.

იმსჯელეთ, ირღვევა თუ არა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული განათლების მიღების უფლება?

კაზუსი 7.

ქუთაისის N50 საჯარო სკოლაში არჩევნების შემდგომ სამეურვეო საბჭო დაკომპლექტდა 6 წევრით, რომელთაგან 3 მასწავლებელი იყო, ხოლო 3 მშობელი. ერთი წლის შემდეგ, მოსწავლე, რომლის წარმომადგენლადაც ითვლებოდა სამეურვეო საბჭოს წევრი ნინო, გადავიდა ზოგადი განათლების შემდგომ საფეხურზე, კერძოდ კი საბაზო საფეხურიდან საშუალო საფეხურზე. იმის გამო, რომ სკოლაში არ იყო მშობელი, რომელმაც არჩევნებში საბაზო საფეხურის მშობლებს შორის მიიღო სხვა კანდიდატებზე მეტი, მაგრამ საბჭოში მოსახვედრად არასაკმარისი რაოდენობის ხმები, სამეურვეო საბჭომ სიითი შემადგენლობის უმრავლესობით მიიღო გადაწყვეტილება, ნინოსთვის არ შეეწყვიტათ წევრის უფლებამოსილება, რადგან ერთი წევრის მოკლება გამოიწვევდა სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილების შეჩერებას.

იმსჯელეთ, იყო თუ არა სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილება კანონის შესაბამისი?

კაზუსი 8.

2023 წლის 10 ივნისს, საქართველოში არსებული ყველა საჯარო სკოლის მსგავსად, სამეურვეო საბჭოს არჩევნები ჩატარდა დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მაღაროსკარის საჯარო სკოლაში. სკოლა მცირეკონტინგენტიანია, სოფელში კი ყველა ერთმანეთს იცნობს, ამიტომ საჯარო სკოლის დირექციამ მიიღო გადაწყვეტილება, საარჩევნო პროცედურები გაემარტივებინა. თანასწორობის, პირდაპირობისა და გამჭვირვალობის პრინციპი რომ არ დარღვეულიყო, გადაწყდა, კანდიდატებისათვის ხმა ხელის აწევით მიეცათ მოსწავლეთა მშობლებსაც და პედაგოგებსაც. სკოლის მოსწავლე გიორგიმ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ორივე მშობელი წაიყვანა, რომელ-

თაც ხელის აწევით მისცეს ხმა სამეურვეო საბჭოში როგორც პედაგოგების, ასევე მშობლების წარმომადგენლების კანდიდატებს.

იმსჯელეთ, რამდენად სწორად ჩატარდა არჩევნები საჯარო სკოლაში?

კაზუსი 9.

საჯარო სკოლის ბიბლიოთეკარი ეკა, რომელიც, ამავე დროს, ქართული ენის პედაგოგიც იყო, სამეურვეო საბჭომ დირექტორად აირჩია. ეკამ გადაწყვიტა, სანამ ახალ ბიბლიოთეკარს არ მოძებნიდნენ, აღნიშნულ პოზიციაზე ისევ თვითონ ყოფილიყო დასაქმებული. კონკურსის რამდენჯერმე გამოცხადების მიუხედავად, ბიბლიოთეკარად დასაქმება არავინ ისურვა, ამიტომ ეკამ გააგრძელა თავისი ძველი ფუნქციების შესრულებაც.

ჰქონდა თუ არა უფლება ეკას, დირექტორის ფუნქციების პარალელურად დასაქმებული ყოფილიყო პედაგოგად და ბიბლიოთეკარად იმავე სკოლაში?

კაზუსი 10.

საჯარო სკოლის დირექტორის არჩევის დღეს სამეურვეო საბჭოს წევრების უმრავლესობა არ გამოცხადდა კენჭისყრაში მონაწილეობის მისაღებად, რის გამოც სოფელ გუთურის საჯარო სკოლაში დირექტორის არჩევა ვერ მოხერხდა. სკოლაში დირექტორის ფუნქციებს ძველი დირექტორი ასრულებდა, თუმცა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა მიიღო გადაწყვეტილება, დირექტორად დაენიშნა ერთ-ერთი იმ კანდიდატთაგანი, რომელიც არჩევნებში იღებდა მონაწილეობას. მიუხედავად ამისა, სამეურვეო საბ-

ჭომ დანიშნულ დირექტორს შრომითი ხელშეკრულება არ გაუფორმა.

იმსჯელეთ, სწორად მოხდა თუ არა დირექტორის დანიშვნა და არის თუ არა იგი უფლებამოსილი, განახორციელოს თავისი ფუნქციები?

კაზუსი 11.

საჯარო სკოლის დირექტორი, რომელიც რაიონში ცნობილი ისტორიის მასწავლებელია, სასკოლო დროისაგან თავისუფალ დროს ეროვნული გამოცდებისათვის ამზადებს მოსწავლეებს. ამავე საჯარო სკოლის მოსწავლე ნიკამ მიმართა დირექტორს თხოვნით, გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ მისთვისაც გამოეყო დრო ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებლად. დირექტორი დათანხმდა, თუმცა ანაზღაურების ნაცვლად შეთანხმდნენ, რომ ნიკას მამა მისთვის ტანსაცმლის კარადას დაამზადებდა.

იმსჯელეთ, დაარღვია თუ არა სკოლის დირექტორმა კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლები?

კაზუსი 12.

პედაგოგი, რომელიც 1 წელი, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ანაზღაურებისგარეშე შვებულებაში იმყოფებოდა, სასწავლო პროცესს დაუბრუნდა 30 ნოემბერს. საჯარო სკოლის დირექტორმა მიიღო გადაწყვეტილება, საგაკვეთლო საათები ხელახლა გაენაწილებინა, რათა შვებულებიდან გამოსული თანამშრომლის სასწავლო პროცესისგან ჩამოშორება აერიდებინა თავიდან. აღნიშნული მიზნის მისაღწევად მან ცვლილება შეიტანა სასკოლო სასწავლო გეგმაში.

იმსჯელეთ, ჰქონდა თუ არა დირექტორს ამ ქმედების განხორციელების უფლება?

კაზუსი 13.

საჯარო სკოლის შუალედური სასწავლო მიზნების, ძირითადი და დამატებითი საგანმანათლებლო რესურსების შემუშავების მიზნით, სკოლის დირექტორმა პედაგოგიური საბჭოს სხდომა მოიწვია. პედაგოგიური საბჭოს შემადგენლობაში სულ 26 მასწავლებელი შედიოდა, თუმცა სხდომა საღამოს საათებში იყო დანიშნული და მას 13 მასწავლებელი დაესწრო. სხდომაზე იმსჯელეს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე, მოისმინეს დირექტორის პოზიცია სასკოლო სასწავლო გეგმის ცვლილებების თაობაზე და კენჭისყრის საფუძველზე, თერთმეტი ორის წინააღმდეგ, მიიღეს გადაწყვეტილება შესაბამისი ცვლილებების გეგმაში ასახვის თაობაზე.

იმსჯელეთ, იყო თუ არა სამეურვეო საბჭო უფლებამოსილი, დაემტკიცებინა სასკოლო სასწავლო გეგმის ცვლილება.

კაზუსი 14.

2023 წლის 14 ოქტომბერს, სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით, საჯარო სკოლის დირექტორმა დანიშნა მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების თარიღი – 25 ოქტომბერი. მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას იღებდნენ იმავე სკოლის მე-6-მე-12 კლასების მოსწავლეები. მე-9 კლასელმა გიორგიმ მოგვიანებით მიიღო გადაწყვეტილება, კენჭი ეყარა მოსწავლეთა თვითმმართველობაში და 23 ოქტომბერს მივიდა კლასის დამრიგებელთან რეგისტრაციის გასავლელად, რაზეც უარი მიიღო რეგისტრაციის ვადების დასრულების გამო. გაბრაზებულმა გიორგიმ გადაწყვიტა, გულისყურით დაკვირვებოდა წინასაარჩევნო პროცესს, რა-

თა დაეფიქსირებინა შესაძლო დარღვევები და არჩევნების შედეგები სადავოდ გაეხადა.

აქვს თუ არა გიორგის საფუძველი, ეჭვქვეშ დააყენოს არჩევნების ჩატარების კანონიერება?

კაზუსი 15.

30 ივნისს დაგეგმილი იყო სამეურვეო საბჭოს შეკრება, რათა დირექტორის მიერ წარდგენილი სკოლის წესდების პროექტზე ემსჯელათ. სამეურვეო საბჭოს სხდომაზე არ დაიბარეს მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი (სამეურვეო საბჭოს წევრი), იმ მოტივით, რომ სასწავლო პროცესი დასრულებული იყო და მოსწავლეთა თვითმმართველობას უფლებამოსილება შეწყვეტილი ჰქონდა.

სწორი გადაწყვეტილება მიიღო თუ არა სამეურვეო საბჭომ?

კაზუსი 16.

საჯარო სკოლის დისციპლინურ კომიტეტს განსახილველად გადაეცა ამავე სკოლაში 30-წლიანი გამოცდილების მქონე პედაგოგის, ლევანის, სავარაუდო გადაცდომების შესახებ განცხადება. დისციპლინური კომიტეტის წევრ პედაგოგებს მრავალწლიანი საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდათ ლევანთან, ამის გამო მიიღეს გადაწყვეტილება, დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში მყოფი 2 პედაგოგი სხვა, საჯარო სკოლაში ახალი მოსული მასწავლებლებით ჩაენაცვლებინათ და ამით გადაწყვეტილების ობიექტურობაც გაემყარებინათ.

სწორად მოიქცნენ თუ არა დისციპლინური კომიტეტის წევრები?

კაზუსი 17.

საჯარო სკოლის მასწავლებლის მხრიდან სავარაუდო გადაცდომის ჩადენის გამოკვლევის მიზნით, დისციპლინურ კომიტეტის სხდომას 12-წევრიანი დისციპლინური კომიტეტის 6 წევრი დაესწრო, რომელთაგან ოთხმა მხარი დაუჭირა პედაგოგისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრებას. სხდომის ოქმს ხელს მხოლოდ თავმჯდომარე და მდივანი აწერდნენ. შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით, ოქმი შედგენიდან 3 დღის ვადაში გაეგზავნა სკოლის დირექტორს, რომელმაც უარი განაცხადა, ამ ოქმის საფუძველზე სახდელი დაეკისრებინა პედაგოგისათვის.

სწორად მოიქცა თუ არა დირექტორი?

კაზუსი 18.

ქართული ლიტერატურის გაკვეთილზე ერთ-ერთი პერსონაჟის მიმართ მოსწავლე ანამ პედაგოგის მოსაზრებისგან განსხვავებული აზრი დააფიქსირა. მასწავლებელს ანას მოსაზრებაზე გაეღიმა და უთხრა, რომ ის ჯერ პატარაა და ამიტომ ფიქრობს ასე, ხოლო თუ კარგი ნიშნის მიღება უნდოდა, საშინაო დავალების შესრულების დროს, ჯობდა, პედაგოგის მოსაზრებას გაჰყოლოდა, რადგან ის უფრო მიღებული იყო საზოგადოებაში.

დაარღვია თუ არა მასწავლებელმა ეთიკის ნორმები?

კაზუსი 19.

გიორგი საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლეა, რომელიც 30 სასწავლო დღის განმავლობაში ზედიზედ არ ცხადდებოდა სკოლაში. აღნიშნულის თაობაზე დამრიგებელმა 31-ე დღეს აცნობა საჯარო სკოლის დირექტორს, რომელმაც უთხრა, დაჰ-

კავშირებოდა გიორგის მშობლებს და გაეგო, რა ხდებოდა. დამრიგებელმა სკოლაში არსებულ ნომერზე რამდენჯერმე დაურეკა გიორგის დედას, თუმცა ტელეფონი მუდმივად გამორთული იყო ქსელიდან. 46-ე დღეს საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე გიორგის მოსწავლის სტატუსი შეუწყდა.

იმსჯელეთ, დაარღვია თუ არა სკოლამ მოქმედი კანონმდებლობა?

კაზუსი 20.

საჯარო სკოლის მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად საჯარო სკოლის დირექტორმა ბრძანებით განსაზღვრა კომისიის შემადგენლობა, რომელშიც შედიოდნენ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის წარმომადგენელი, სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი, სსიპ – მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი, მასწავლებელთა პროფესიული კავშირის წარმომადგენელი და ამავე სკოლის პედაგოგი. გასაუბრების ჩატარების შემდგომ კომისიამ დასაბუთებული უარი განაცხადა მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე დასანიშნავად კანდიდატის წარდგენაზე.

იმსჯელეთ, ჰქონდა თუ არა ზემოაღნიშნულ კომისიას კონკურსის ჩაშლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება?

გამოყენებული ნორმატიული აქტები

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია;
3. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის" ევროპის კონვენციის რატიფიცირების თაობაზე" საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 12 მაისის №1940–IIს დადგენილება;
4. „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი";
5. „საქართველოს შრომის კოდექსი" საქართველოს ორგანული კანონი;
6. „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონი;
7. „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი;
8. „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონი;
9. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი;
10. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონი;
11. „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი;
12. 2017 წლის 15 მარტის N130 საქართველოს მთავრობის დადგენილება;
13. „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილება;
14. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანება;
15. „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ" საქართველოს

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანება;

16. „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანება;
17. „ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №18/ნ ბრძანება;
18. „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება;
19. „საქართველოს საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრების არჩევის, მათთვის უფლებამოსილების შეწყვეტისა და რეგისტრაციის წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის N30 ბრძანება;
20. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 1 სექტემბრის №110/ნ/№124 ერთობლივი ბრძანება;
21. „საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 26 სექტემბრის №109/ნ ბრძანება;
22. „სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს №80/ნ ბრძანება;
23. „საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის გამართვის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის ბრძანება.
24. „მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №167/ნ ბრძანება;

25. „მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 ივლისის №57/ნ ბრძანება;
26. „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანება;
27. „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 11 ოქტომბრის №959 ბრძანება;
28. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანება;
29. „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 აგვისტოს №675 ბრძანება;
30. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანება;
31. „მოსწავლის ქცევის კოდექსის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს №79/ნ ბრძანება;
32. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ვაუჩერის გაცემისა და გადატანის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 11 თებერვლის №13/ნ№29 ერთობლივი ბრძანება.